საქართველო მიესალმება მისი უწმინდესობის, იოანე პავლე მეორის ჩამობრძანებას საქართველოში და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოსა და ვატიკანს შორის არსებული გულითადი ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც ხელს შეუწყობს კათოლიკებისა და მართლმადიდებლების ურთიერთდაახლოებას და ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას

არჩევნები: ნამდვილად კი ასე იყო... გვ. 4.
რეგიონი: იმედის მწვანე კონცხი დიდი ლიახვის ხეობაში გვ. 7.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №305 (3346) ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

ვიზიტი

შევარდნაძის ავტორიტეტის წყალობით

რომის პაპის იოანე პავლე მეორის ვიზიტი საქართველოში მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრშია. აღნიშნავენ უმაღლესი პონტიფიკის საქართველოში გულთბილ მიღებას, ხაზს უსვამენ, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების დაახლოებას, საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიო თანამეგობრობაში.

სააგენტოები განსაკუთრებით გამოყოფენ ფაქტს, რომ ეს არის პირველი ვიზიტი ყოფილ სსრკ და ამჟამინდელ დსთ სივრცეში, აგრეთვე, მეორე შემთხვევა, რუმინეთის შემდეგ, როდესაც კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი პირი მართლმადიდებლურ ქვეყანას ეწვია.

ინფორმაციებში ხაზგასმულია, რომ ეს მოვლენა შესაძლებელი გახდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მცდელობითა და მსოფლიოში მისი დიდი ავტორიტეტის წყალობით. იმ წარმატებებით, რასაც საქართველომ დემოკრატიის მშენებლობაში მიაღწია.

რომის პაპის წმინდა მესა თბილისში კათოლიკური ეკლესიის მრევლისათვის

რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ საქართველოში თავისი ვიზიტის მეორე დღე წმინდა მესით დაიწყო, რომელიც მან სპორტის სასახლეში 14 ათასი კათოლიკეს წინაშე აღავლინა.

სპორტის სასახლეში იყვნენ მოწვეული სტუმრები, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, ქვეყნის სხვა ოფიციალური პირები, ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

„ბედნიერი ვარ, რომ დღეს, როდესაც ქრისტიანული მსოფლიო მაცხოვრის დაბადების ორი ათასი წლისთავს ზეიმობს, ვიმყოფები უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მქონე საქართველოში და, წილად მხვდა ბედნიერება აღვავლინო წმინდა მესა ამ დალოცვილ მიწაზე", — განაცხადა რომის პაპმა.

წმინდა მესა ორი საათისა და ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაიცა.

საქინფორმი.

კომუნიკე რომის პონტიფიკის, მისი უწმინდესობის იოანე პავლე მეორისა და საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია მეორის მოწვევით 1999 წლის 8-9 ნოემბერს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა რომის პონტიფიკი, მისი უწმინდესობა იოანე პავლე მეორე.

საქართველოს პრეზიდენტისა და პაპის შეხვედრაზე, რომელიც 9 ნოემბერს გაიმართა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობისა და კავკასიაში მცხოვრები ხალხებისათვის, ყველა ქრისტიანისა და სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეთათვის რომის ეპისკოპოსის.

იხ. მე-2 გვ.

რომ სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა" და კაცთა შორის სათნოება"

რომის პაპის იოანე პავლე მეორისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ერთობლივი მიმართვა

მისი უწმინდესობა, რომის პაპი იოანე პავლე II და მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ქალაქ თბილისში ძმური შეხვედრის დროს, შესთხოვენ რა მშვიდობის მეუფეს — იესო ქრისტეს, მშვიდობის მიმართვას უგზავნიან ქვეყნების მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რელიგიურ ლიდერებსა და კეთილი ნების ყველა ადამიანს.

ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 4 ნოემბერი ქ. თბილისი

ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის სახელმწიფო კოლეჯის პედაგოგთა საქართველოს ორდენებით, მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის სახელმწიფო კოლეჯის პედაგოგები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა:

ღირსების ორდენით:

გივი გვილავა — დირექტორი.

ღირსების მედლით:

ტრიფონ ნანავა — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **კლავდია როჟნოვა** — დირექტორის მოადგილე სასწავლო და აღმზრდელობით დარგში; **გურამ ხორავა** — დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში.

გამოეცხადოთ მადლობა:

დარიკო ალშიბაიას — ტექნიკური სერვისის მასწავლებელს; **ფაცია აფხაზავას** — აგროქიმიის მასწავლებელს; **მადონა ბერულავას** — ფიზიკის მასწავლებელს; **ვადინა ბიგვავას** — ანატომია-ფიზიოლოგიის მასწავლებელს; **რევაზ ბიგვავას** — ბიზნესის ორგანიზაციის მასწავლებელს; **პეტრე გვიჩიანს** — ტექნიკის მართვის მასწავლებელს; **მანანა გულორდავას** — ინგლისური ენის მასწავლებელს; **ამირან ლაგვილავას** — დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელს; **კლიმენტი ქობალიას** — მათემატიკის მასწავლებელს; **გოგონა ყალიჩავას** — ზოოტექნიკის მასწავლებელს; **ინეზა შონიას** — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს; **მარინა ძიმცეიშვილს** — ეკონომიკის თეორიის საფუძვლების მასწავლებელს; **გულნარა ჯგუშიას** — გარემოს დაცვის საგნის მასწავლებელს.

ე. შევარდნაძე.

მილოცვა

„გაერთიანებული ბერლინი ახალი პოლიტიკური აზროვნების, განახლებული და ერთიანი ევროპის ჭეშმარიტი სიმბოლოა"

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს იოჰანეს რაუს და ფედერალურ კანცლერს გერჰარდ შრედერს ბერლინის კედლის დაცემის 10 წლისთავთან დაკავშირებით თავისი და ქართველი ხალხის სახელით მილოცვის წერილები გაუგზავნა, სადაც, კერძოდ, ნათქვამია:

„ცივი ომის პერიოდში გაყოფილი ბერლინი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, წარმოადგენდა ორი დაპირისპირებული სამყაროსა და აზროვნების მიჯნას. ბერლინის კედლის დანგრევით რეალობად იქცა ევროპაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმების დემონტაჟი, 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინელთა,

იხ. მე-3 გვ.

10 ნოემბერი

პოლიციის დღეა

იწყება უშეღავათო ბრძოლა თეთრსაყელოიან რეკეტიორებთან

დღეს ჩვენ შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს შევხვდებით. შეხვედრის მიზეზი დღევანდელი დღე — 10 ნოემბერია. ჩვენთვის არაფრით გამორჩეული, ზამთრისპირის ერთი ჩვეულებრივი დღე, მინისტრისა და მისი კოლეგებისთვის კი, პროფესიული დღესასწაულის ხიბლით გაჯერებული თარიღი.

რომ გითხრათ, კახა თარგამაძესთან შეკითხვებით ჯიბედატენილი მივედი-მეთქი, არ ყოფილა ასე. წინა კვირაში მთავრობის სხდომიდან გამოსულმა მინისტრმა თანამებრძოლებისთვის საჯაროდ მილოცვისა და მადლობის თქმის სურვილი გამოთქვა, მეც ავდექი და ვესტუმრე. თუმცა სიტყვამ სიტყვა მოიტანა და საინტერესო საუბარიც შედგა.

იხ. მე-5 გვ.

დღეს საქართველოში არ არსებობს ორგანიზებული რეკეტი, სამაგიეროდ არსებობს სახელმწიფო რეკეტი.

დღის განწყობილება

მოუყვარეს ჯირში უმრახე...

ასეთია მკითხველთა გამოხმაურების დედააზრი „საქართველოს რესპუბლიკის" ერთი პუბლიკაციის გამო

ჩვენი გაზეთის 6 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „რით იწყება რწმენა?", რომელშიც რამდენიმე კონკრეტული ფაქტისა და მაგალითის მოშველებით შევეცადე გამომეხატა საკუთარი პოზიცია ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების შემდგომ შექმნილ სიტუაციასა და უახლოესი მომავლის პერსპექტივასთან დაკავშირებით, გულწრფელად, შეულამაზებლად და მიუკიბ-მოუკიბავად მეთქვა ჩემი სათქმელი, როგორც ერთ რიგით მოქალაქესა და ამომრჩეველს. მაგრამ, როგორც ჟურნალისტს, გამიჩნდა სურვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკითხველის თვალით განმეჩხრიკა და შემეფასებინა ჩემი ნააზრევის ავ-კარგი და პატარა მინაწერით ვთხოვე კიდეც მას, მკითხველს, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, პუბლიკაციის დღესვე, 13-დან 15 საათამდე, დამკავშირებოდა რედაქციაში ტელეფონით და გაეზიარებინა თავისი შეხედულებები.

მათმა გამოხმაურებამ რამდენიმე საინტერესო და, ჩემი აზრით, მტკივნეული პრობლემა წამოჭრა, რომლებსაც დღევანდელ მიმოხილვაში ცალკეულ თემებად შემოგთავაზებთ.

იხ. მე-3 გვ.

ელექტორატი

ვინც ხმა მოგცათ

ახალმა პარლამენტმა საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს

ვინ გსურთ იხილოთ მთავრობის წევრებად? „საქართველოს რესპუბლიკის" შეკითხვებს უპასუხებენ გუშინდელი ამომრჩევლები

1. როგორი პიროვნული და პროფესიული თვისებების მქონე მოღვაწე იქნება მისაღები მინისტრის თანამდებობაზე? პირადად თქვენ დღევანდელი მინისტრებიდან ვის გაუწევდით რეკომენდაციას?
2. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ ის მოღვაწენი, ვისი აზრიც პარლამენტისთვის გასათვალისწინებელია დიდმნიშვნელოვანი კანონის, ან გადაწყვეტილების მიღებისას?
3. რომელი პრობლემა მიგაჩნიათ საქართველოსათვის ყველაზე აქტუალურად. რომლის გადაჭრიდანაც უნდა დაიწყოს მოღვაწეობა ახალმა პარლამენტმა.
4. რას შესთავაზებდით პირადად თქვენ ახალ პარლამენტს სოციალურ სფეროში არსებული დისბალანსის მოსაწესრიგებლად?

ამ კითხვებით მივმართეთ რამდენიმე რესპონდენტს, რომლებმაც არჩევნებში ხმა მოქალაქეთა კავშირს მისცეს.

იხ. მე-3 გვ.

პროკურატურა

ფიდელ კასტრო... მარტვილში

თავის დროზე კუბის რევოლუციის ბელადსა და მის მომხრეებს ჰქონდათ ასეთი ლოზუნგი: — ვენოერემოს! გამარჯვება! ორმოციოდე წლის შემდეგ ასეთივე ლოზუნგი მარტვილში ააფრიალეს ლეიბორისტთა მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატმა ფრიდონ ინჯიამ და მისმა მომხრეებმა და ყველა ლონეც იხმარეს ამ ლოზუნგის ხორცშესასხმელად.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

პირველი სესია — 19 ნოემბერს

საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სესიას ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დანიშნავს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ახალმა პარლამენტმა მუშაობა არჩევნებიდან 20 დღეში, ანუ მიმდინარე წლის 19 ნოემბერს უნდა დაიწყოს.

პარლამენტი იმ შემთხვევაში შეუდგება მუშაობას, თუ დადასტურდება დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

სამშაბათის აუქციონზე

საქართველოს ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების სამშაბათს გამართულ აუქციონზე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 27 პროცენტით განისაზღვრა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოში აცნობეს, აუქციონზე, სადაც 4 კომერციული ბანკი მონაწილეობდა, რესურსები 7-დღიანი ვადით განთავსდა, ხოლო გარიგებათა საერთო თანხა 1 700 000 ლარს გაუტოლდა.

ლტოლვილები შევიფარეთ

გუშინდელი მონაცემებით 1353 ჩეჩენი ლტოლვილი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, რომელთა შორის 488 ქალია, 606 ბავშვი და 259 მამაკაცი. როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სამსახურში, 15 სექტემბრიდან 9 ნოემბრამდე საქართველოში შემოვიდა 2240 ჩეჩენი ლტოლვილი, ხოლო გავიდა 887.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

მყავს ყრუ-მუნჯი შვილი, მეორე ჯგუფის ინვალიდი, რომელიც 16 წლამდე დახმარებას იღებდა. ამჟამად ჩემი შვილი 19 წლისაა და დახმარება სამი წელიწადია არ მიუღია.

გთხოვთ, განმიმარტოთ ეკუთვნის თუ არა მას დახმარება?

ლალი ჯოხაძე, თბილისი.

— შეკითხვიდან გაურკვეველია, თქვენს მეორე ჯგუფის ინვალიდ შვილს დანიშნული აქვს თუ არა სოციალური პენსია თვეში 14 ლარის ოდენობით, რომელიც მას ეკუთვნის.

თუ პენსია უკვე დანიშნული აქვს და ითხოულობთ დამატებით მიიღოს ყოველთვიური დახმარება, კანონით არ არის გათვალისწინებული.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველო.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

უკანასკნელ საათს

გუშინ რუსეთის მთავრობამ სპეციალური დადგენილებით დროებით აკრძალა საერთაშორისო რეისები სამხრეთის ქალაქებიდან, მათ შორის თბილისიდან და ბაქოდან. გუშინვე დაიხურა მახაჩყალის აეროპორტი.

გუშინ პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ისეთივე მონდომებით უნდა ებრძოლონ კორუფციას რუსეთში, როგორც ტერორიზმს — კავკასიაში.

რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, ყოველწლიურად საზღვარგარეთ 1,5-2 მილიარდი დოლარი არალეგალურად გაედინება რუსეთიდან.

წუხელ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ. ამ ნაბიჯს იგი ხსნის იმით, რომ მან ვერ შეძლო მსოფლიო სავალუტო ბაზარზე კრიზისების აცილება.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ბარში: ღამით +2+7; დღისით +15+20.
მთაში: ღამით -1+4; დღისით +11+16.
მაღალ მთაში: ღამით -3+2; დღისით +5+10.

აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ბარში: ღამით 0+5; დღისით +14+19.
მთაში: ღამით 0-5; დღისით +10+15.
მაღალ მთაში: ღამით -3-8; დღისით +5+10.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +2+4; დღისით +17+19.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	1.0616 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9999 ლარი
ევრო	1	2.0763 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0762 ლარი

საქართველოს რესპუბლიკა
№305. ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზიტი

„დაე, ჩვენს მიერ დანთებული ეს სანთლები იქცეს სიმბოლოდ და საწინდრად ჩვენი ძალისხმევისა, რათა ქრისტეს ნათელი მოეფინოს სავალ ბილიკებს, გაფანტოს წყვდიადი და გვიჩვენოს გზა ნათელი მომავლისაკენ“

კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი მისი უწმინდესობა რომის პაპი იოანე პავლე მეორე ჩვენს ქვეყანაში ვიზიტის პირველ დღეს, 8 ნოემბერს საღამოს ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანების სავანეს — მცხეთას ეწვია, სადაც საქართველოს დედაეკლესია სვეტიცხოველი მოინახულა. ტაძარი, რომელიც ცხრა საუკუნეა ძველი დიდების უტყვი მოწმეა, ტაძარი, რომელშიც კიდევ ერთხელ გაცხადდა იშვიათი ქართული გენი და სული. სწორედ მცხეთაში, სვეტიცხოვლის წიაღში დავანებულია ქრისტეს კვართი, უფლის კვართის პატივსაცემად კი აქ აიგო დიდებული ტაძარი, ხელოვნების მიუწვდომელი ქმნილება, რომელსაც სასწაულებრივი მოვლენის გამო სვეტიცხოველი უწოდეს.

სვეტიცხოველი ყოველ ეპოქაში ერის სულიერი გამთლიანების სიმბოლოდ გვევლინება და სიმბოლური იყო ისიც, რომ ამ ერთობისა და სიყვარულის დასტურად მისმა უწმინდესობამ რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში შეკრებილ მრევლს ერთხელ კიდევ მოუწოდეს მშვიდობის განმტკიცებისათვის, მოყვასის სიყვარულისადმი, ურთიერთპატივისცემისადმი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა მის უწმინდესობას რომის პაპს იოანე პავლე მეორეს:

— თქვენო უწმინდესობავ, ჩვენო ძვირფასო ძმაო!

დღეს ჩვენი ძველი დედაქალაქი მცხეთა და საპატრიარქო, უპირველესი ტაძარი — სვეტიცხოველი პირველად ხედავს რომის ეკლესიის მეთაურს, მის უწმინდესობას იოანე პავლე მეორეს.

უპირველესად გულითადად მოგესალმებით თქვენო უწმინდესობავ, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის, სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის სახელით. თქვენ მობრძანდით იმ წმინდა ადგილზე, სადაც დაკრძალულია ქრისტეს შობამდე მე-6 საუკუნეში ჩამოტანილი ხალენი წმინდა ილია წინასწარმეტყველისა, სადაც პირველი საუკუნიდანვე ინახება ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდე — კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც განისვენებენ ჩვენი მეფენი და დიდებული წინაპარნი, სადაც ბოლო დრომდე ხდებოდა კურთხევა მეფეთა და საუკუნეთა მანძილზე აღესრულება ინტრონიზაცია პატრიარქთა.

ჩვენ მოგესალმებით იმ ეკლესიის და ქვეყნის სახელით, სადაც იქადაგეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, ბართლომემ, თადეოზმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ, რომელთაგანაც ორი მოციქული — სვიმონ კანანელი და მატათა საქართველოში არიან დაკრძალული.

საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც უკვე მე-4 საუკუნის დამდეგს, ბიზანტიის მსგავსად, ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა გამოცხადებული.

საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც ინახება იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილი სამსჭვალი და კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წმიდა ნინოს ჯვარი ვაზისა და სხვა სიწმინდენი.

საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც აღესრულენ წმიდა იოანე ოქროპირი და მაქსიმე აღმსარებელი.

საქართველო არის ის ქვეყანა, რომლის დედა და დიასახლისიც ბრძანდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რამეთუ ეს მიწა მისი წილხვედრია; ამასთან [illegible] იმყოფება წმიდა გიორგისა და წმიდა ნიკოლოზის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ. ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ საქართველოს იცავს ღვთის მარჯვენა და ღვთის კალთა.

თუ არა ღვთის დიდი წყალობა ჩვენი ქვეყანა ვერ გაუძლებდა საუკუნეთა მანძილზე ურიცხვ მტერთა შემოტევებს. საქართველო მრავალგზის იქნა დარბეული და იავარქმნილი, მაგრამ მომხდურმა ვერ გატეხა ჩვენი შინაგანი სიმტკიცე და ქრისტესადმი ერთგულება. რწმენისადმი თავდადება იმდენად შეურყეველი იყო ჩვენს ხალხში, რომ მეზობელი ქვეყნებისათვის ქართველობა და ქრისტიანობა სინონიმებად იქცა. ჩვენს უახლეს წარსულსაც რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ მიუხედავად 70-წლიანი ურწმუნოების პერიოდისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში უამრავი ეკლესია-მონასტერი უღმრთოთა ხელით დაინგრა, სასულიერო პირთა უდიდესი ნაწილი რეპრესიებს ემსხვერპლა და მატერიალისტური ცხოვრების წესი დამკვიდრდა, დღეს, როდესაც კვლავ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და განვთავისუფლდით ათეისტური პროპაგანდისაგან, ჩვენი ხალხისათვის უმთავრეს მიზნად კვლავაც ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვა იქცა.

ეს ის სამი ფენომენია, რომლის შელახვასაც ქართველი ადამიანი არასოდეს ეგუებოდა და არც მომავალში დაუშვებს. შევნიშნავთ იმასაც, რომ იგია ჩვენი სულის ტკივილი საუკუნეთა მანძილზე, იგია ჩვენი მეობის განმსაზღვრელი დღესაც. მართალია, ჩვენ ახლა დამოუკიდებელნი ვართ, მაგრამ ამის მიღწევა ძვირად დაგვიჯდა. გარეშე ძალების მიერ ხელოვნურად გამოწვეულმა კონფლიქტებმა შედეგად მოგვიტანა ტერიტორიული მთლიანობის [illegible] რღვევა. ისედაც ეკონომიკურად რთულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას მეტად დიდ სიმძიმედ დააწვა სამასიათასზე მეტი ლტოლვილი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. ჩვენ ასევე მოგვეძალა სხვადასხვა მიმართულების სექტები და რელიგიური მიმდინარეობები უცხო ქვეყნებიდან, რომელნიც ე.წ. „ჰუმანიტარული“ დახმარებებისა და „საქველმოქმედო“ დაწესებულებების დაარსების საშუალებით ცდილობენ გადაიბირონ რელიგიურად გაუცნობიერებელი გაჭირვებული მოსახლეობა და თავისი წევრნი გახადონ.

დიახ, ჩვენ გვიჭირს სოციალურად, ეკონომიკურად, სულიერად. როგორც აღვნიშნეთ, ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც კვლავ ღიად არის... მაგრამ ამ გაჭირვებაშიც არის ღვთის დიდი წყალობა; ხალხის დიდი ნაწილი ნელ-ნელა გამოფხიზლდა, მძიმე მდგომარეობამ მოსახლეობას ღმერთი გაახსენა, მათ თანდათან დაიწყეს დაკვირვება თავის ცხოვრებაზე, ფიქრი მარადიულ სიცოცხლეზე, დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე.

სულიერი აღმავლობის მაგალითად, ალბათ, ის ფაქტიც კმარა, რომ დღეს, მიუხედავად საყოველთაო სიდუხჭირისა, საქართველოს თითქმის ყველა რაიონში შენდება რამდენიმე ეკლესია-მონასტერი და ამას ხალხი თავის სახსრებით, უანგაროდ შეწირული შრომითა და მატერიალური საშუალებებით აკეთებს. ასეთი აღმშენებლობის პერიოდი იშვიათად ახსოვს ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

სულ მოკლე ხანში ჩვენთან დაარსდა ორი სასულიერო აკადემია და ერთი მეცნიერებათა აკადემია. გაიხსნა სასულიერო სემინარიები, გიმნაზიები, სასწავლებლები, დიდად იმატა მრევლის რიცხვმა.

ყოველივე ეს იმედს გვაძლევს, რომ მრავალმხრივი პრობლემების [illegible] ყოვლადწმიდა სამებისა და ღვთისმშობელი დედის, ანგელოზთა დასისა და ჩვენი სალოცავების მადლი დაიფარავს, განამტკიცებს და განაძლიერებს ჩვენს ხალხს, რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემსი.

საქართველო სტუმართმოყვარე ქვეყანაა. ჩვენ ხშირად ვამბობთ და კვლავაც გავიმეორებთ, რომ 26 საუკუნეა საქართველოში ცხოვრობენ ებრაელები და ამ ხნის განმავლობაში მათ არასოდეს უგრძვნიათ ანტისემიტიზმი. საუკუნეებია აქ მკვიდრობენ ჩამოსახლებული აზერბაიჯანელები, სომხები, იეზიდები, ბერძნები, რუსები... და მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ვერც ერთი მათგანი ვერ იტყვის, რომ როდესმე ეროვნული თუ სარწმუნოებრივი ნიშნით განეცდალოთ შევიწროება. ამ დამოუკიდებლობას მოყვასისადმი განაპირობებდა ჩვენი ბუნებით მოსიყვარულე გული და ამასთან ქრისტიანული სარწმუნოება, რომელმაც ოცი საუკუნის განმავლობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ერის შინაგანი სამყაროს ფორმირებაში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იდგა ერის გვერდით, თანაბრად იზიარებდა მის ჭირსა და ლხინს და ასწავლიდა სწორი ცხოვრების წესს. უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთმა დამოკიდებულებამ შემოსული ხალხიც გარკვეულ კალაპოტში მოაქცია და პატივისცემა და სიყვარული ჩაუნერგა, როგორც ჩვენი ერის, ისე ეკლესიის მიმართაც.

ჩვენთვის ცხოვრების მხოლოდ ასეთი წესია მისაღები. ხოლო, სადაც ძალადობაა, იქ სიყვარული ვერ იღორძინებს.

თქვენო უწმინდესობავ,

ღმერთმა ინებოს, ჩვენი ქვეყნები და თანამედროვე მსოფლიო მშვიდობით შეხვდეს ქრისტეს შობის 2000 წლის [illegible]

უფალი ჩვენი იესო ქრისტე იყოს შემწე ყოველი გაჭირვებული ადამიანისა. ყოვლადწმიდა სამებამ გადააფაროს თავისი მოწყალე კალთა ობოლთა, ქვრივთა, უნუგეშოთა, გლახაკთა, სნეულთა, ტვირთმძიმეთა და ყოველთა მისთა მორწმუნეთა.

ინებოს ღმერთმა, ყოველი ადამიანის გულში დაიბადოს 20 საუკუნის წინათ ჩვენი ხსნისათვის ამქვეყნად მოვლენილი იესო ქრისტე, რათა მის თანა ვიყოფოდეთ განუშორებლად.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ:

— „კურთხეულ იყოს ღმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით“.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,

ეს წამი ჩემთვის ჭეშმარიტად წყალობაა ყოვლისშემძლე ღმერთისა, რომელიც არის წყარო ჩვენი სასოებისა და იმედისა. სწორედ უფალმა მიწყალობა ეს შესაძლებლობა, რათა შევხვედროდი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქსა და სინოდის წევრებს აქ, სვეტიცხოვლის საპატრიარქო საკათედრო ტაძარში. ეს ისტორიული ნაგებობა სიმბოლურად განასახიერებს ქართულ ეკლესიას. საუკუნეთა მანძილზე, ჭირშიც და ლხინშიც, სწორედ ეს ტაძარი გახლდათ წყარო ერის სულიერი ძალებისა.

ნივთიერი შენობის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვამცნობს იმ უზენაეს სინამდვილეს, რაიც გახლავთ „შენობა ღვთისა“ „ნაგები ცოცხალი ქვებით“. აქ აღვასრულებთ ღვთისმსახურებას, როგორც გამოხატულებას იმ სულიერი კავშირისა, რომლითაც მიწიერი ეკლესია ზეციერს ერთვის წმინდანთა დასის მეშვეო[illegible] ქანი და წმინდა ხატები გვიამბობენ საქართველოს წმინდანთა და წამებულთა შესახებ, რომლებიც წმიდა მარიამ ღვთისმშობელთან და სხვა წმინდანებთან ერთად, სამოთხეში იმყოფებიან!

მართლაც, ეკლესიის ურყევი რწმენის თანახმად, სწორედ სულიერი საჩუქრის გაცვლა-გამოცვლით ხდება კავშირის განახლება ჯერ კიდევ მიწიერ ყარიბობაში მყოფთა და ქრისტეში მიძინებულთა შორის. სწორედ წმინდანთა ძმური მეოხებით ვპოულობთ შვებას საკუთარი სისუსტის ჟამს.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,

მაგონდება სიტყვები ებრაელთა მიმართ წერილიდან: „რადგანაც გარს მოწმეთა ღრუბელი გვაკრავს, დაე, ჩვენც ჩამოვიცილოთ ყოველი ტვირთი, დავეხსნათ ცოდვას და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი“. რაღა თქმა უნდა, მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე, ეკლესიის წინაშე არსებული ეს სარბიელი იმაში მდგომარეობს, რომ წარსულის მქადაგებლებზე არანაკლები მგზნებარებით ვუქადაგოთ იესო ქრისტე ჩვენი თაობის ადამიანებს. მადლობა ვუძღვნათ ღმერთს, რომ საქართველოს ეკლესია, მტკიცე რწმენითა და უფლის მცნებათა ერთგულებით, საუკუნეთა მანძილზე ქადაგებდა სახარებას. უფალი განაგებს ადამიანთა ისტორიას, გვიხსნის და გვასწავლის მას. დღეს ქრისტიანთა წინაშე ახალი თვალსაწიერი გადაშლილა, სულიწმიდა მოგვიწოდებს ყური მივუგდოთ ქრისტეს მოწოდებას: „რათა ყველა ერთი იყოს... რათა ირწმუნოს წუთისოფელმა, რომ მამამ მომავლინა“. ამგვარი მომავალი კი მარტოოდენ ჩვენი ძალისხმევით ვერ მიიღწევა; არამედ იქნება ღვთით ნაბოძები წყალობა.

ამიტომაც, ჩვენი ეკლესიების მომავალს ვავედრებ მა[illegible] მეუღლეს წმიდა იოსებს, წმიდა ანდრიასა და ყველა წმიდა მოციქულს, ყველა წამებულსა და წმინდანს.

დაე, ჩვენს მიერ დანთებული ეს სანთლები იქცეს სიმბოლოდ და საწინდრად ჩვენი ძალისხმევისა, რათა ქრისტეს ნათელი მოეფინოს სავალ ბილიკებს, გაფანტოს წყვდიადი და გვიჩვენოს გზა ნათელი მომავლისაკენ. დაე, წმიდა ღვთისმშობელმა, საქართველოს მფარველმა, რომელმაც სულიწმიდის მეოხებით ქვეყნიერებას მოუვლინა შემოქმედი სიცოცხლისა, თავისი კალთა გადააფაროს საქართველოს ეკლესიას. დაე, დედა უფლისა გაუძღვეს თქვენს უწმინდესობასა და მის მოძმე მღვდელმთავრებს სამწყსო საქმიანობაში, რათა თქვენს მრევლს კიდევ უფრო განუმტკიცდეს რწმენა უფლისა, რომელიც მოგვიწოდებს ვიყოთ ისეთივე წმინდა, როგორც თვითონაა.

მამას ყოველი სასოებისა ვავედრებ თქვენს მშვენიერ ქვეყანას. დაე, საკუთარი ქრისტიანული მემკვიდრეობისაკენ კვლავ მობრუნებულ საქართველოში დაისადგუროს თანხმობამ და კეთილდღეობამ, ქართველი ხალხის საბედნიეროდ და მთელ რეგიონში სტაბილურობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად.

რომის პაპის იოანე პავლე მეორის სტუმრობას სვეტიცხოველში თან სდევდა ქართული საგალობლები, გულმიჩამწვდომად აჟღერდა იოანე ზოსიმეს „დამარხულ არს ენა ქართული“. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში შეხვედრას დაესწრნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საქინფორმი

თბილისის „კარიტასის სახლის“ პირველი ბინადარი მისი უწმინდესობა რომის პაპი იოანე პავლე მეორე იყო

საქველმოქმედო „კარიტასის სახლები“, რომლებიც უპატრონო და მიუსაფარი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, ყველა იმ ქვეყანაში აშენდა, სადაც მის უწმინდესობას იოანე პავლე მეორეს უმოგზაურია. ამ ტრადიციას არც საქართველოს კათოლიკურმა მრევლმა და ვატიკანის საელჩომ უღალატა, და კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრის ჩვენს ქვეყანაში ისტორიული ვიზიტისათვის დედაქალაქის ძველ უბანში, სასტუმრო „მეტეხი-პერატონ-პალასის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ერთსართულიანი მყუდრო სათნოების „კარიტასის სახლი“ აშენდა, რომლის პირველი ბინადარიც მისი უწმინდესობა რომის პაპი იოანე პავლე მეორე იყო. რომის პაპის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ ამ სახლში იცხოვრებენ მიუსაფარი ბავშვები რწმენისა და აღმსარებლობის მიუხედავად, რომლებსაც მეურვეობას გაუწევენ დედა ტერეზას მონაზვნები კალკუტიდან. ნიშანდობლივია, რომ საქველმოქმედო სახლის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ დააფინანსა.

კომუნიკე რომის პონტიფიკის, მისი უწმინდესობის იოანე პავლე მეორისა და საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის შესახებ

(პირველი გვერდიდან)

მისი უწმინდესობის იოანე პავლე მეორის ჩამობრძანება საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა.

მისი უწმინდესობის ვიზიტი ემთხვევა ბერლინის კედლის-გახლეჩის სიმბოლოს დაცემის ათი წლისთავის თარიღს. ეს მიჯნა ყოველთვის მიუღებელი იყო ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის, რადგანაც წარმოადგენდა არა მარტო გამყოფ საზღვარს ორ დაპირისპირებულ მსოფლმხედველობას შორის, არამედ, აგრეთვე, საზღვარს ადამიანისა და ისტორიის ორ განსხვავებულ კონცეფციას შორის. ბერლინის კედლის დაცემა და, როგორც შედეგი, ევროპის გაერთიანება, მე-20 საუკუნის უდიდესი მონაპოვარია.

ამ მოვლენამ დასაბამი მისცა მსოფლიოში თავისუფლების ერთიანი სივრცის ჩამოყალიბებას. დღეს ამ სივრცეში ადგილს იმკვიდრებენ ხალხები, რომლებმაც არსებითი წვლილი შეიტანეს ცივილიზაციის განვითარებაში, მაგრამ ბედის უკუღმართობის გამო მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ისტორიის მაგისტრალურ გზას. ეს მოვლენა იმედებს აღძრავს მათში, ვინც დღესაც ცხოვრობს გახლეჩილ ქვეყნებში და ვისაც ურყევად სწამს სამართლიანობის საბოლოო გამარჯვებისა.

საქართველო, როგორც ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა გზაჯვარედინი, ესწრაფვის თავისი წვლილი შეიტანოს კავკასიაში სტაბილურობის განმტკიცებაში, რეგიონის მშვიდობასა და კეთილდღეობაში.

საქართველოს პრეზიდენტმა და რომის პონტიფიკმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მხარდაჭერა ყველა, მათ შორის აფხაზეთის კონფლიქტის, მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებისადმი საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე. აღინიშნა, რომ ამ კონფლიქტებისას ეთნიკურ, რასობრივ, კონფესიურ ან რაიმე სხვა ნიადაგზე ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი სერიოზულ საფრთხეს უქადის მშვიდობასა და სტაბილურობას მთელ მსოფლიოში.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს ბოლო წლებში საერთაშორისო ტერორიზმის განსაკუთრებულად აქტუალურ პრობლემას, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულ მომავალს, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისადმი მიმართულ ძალისხმევას. მხარეებმა მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას უფრო მჭიდროდ და ქმედითად ითანამშრომლონ ტერორიზმის წინააღმდეგ, ადამიანისა და ხალხთა უფლებების დასაცავად.

საქართველოს მხარე მიესალმება მისი უწმინდესობის, იოანე პავლე მეორის ჩამობრძანებას საქართველოში და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოსა და ვატიკანს შორის არსებული გულითადი ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც ხელს შეუწყობს კათოლიკებისა და მართლმადიდებლების ურთიერთდაახლოებას ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

1999 წლის 9 ნოემბერი
ქ. თბილისი.

რომ სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“

(პირველი გვერდიდან)

მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპასა და აზიას, დასავლურსა და აღმოსავლურ კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. აფხაზეთში, მთიან ყარაბაღსა და ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მსოფლიოში მშვიდობას და მოითხოვს გადამჭრელ ზომებს კაცობრიობის მხრიდან.

მშვიდობა უზენაესი წყალობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა და შემდგომი განვითარება. ადამიანის გული ესწრაფვის ამ უმაღლეს მადლს და ხალხებს სურთ თანხმობაში ცხოვრება. დღევანდელი მსოფლიო ერთი ორგანიზმია, ამიტომაც არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ერთ რომელიმე ლოკალურ ადგილზე წარმოშობილ კონფლიქტში ჩათრეულ იქნან სხვა ქვეყნებიც, რაც ქმნის ახალი ომების საშიშროებას.

ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია, მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ტერორიზმიც ახალ და რეალურ საფრთხედ იქცა მსოფლიო მშვიდობისათვის. მაშასადამე, აუცილებელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება.

ამიტომ, მოვუწოდებთ ყველას, ვინც ისმენს ჩვენს მიმართვას, გამოიჩინონ სიბრძნე და ნებისყოფა, რათა ვიხსნათ დედამიწა ომის საფრთხისაგან და მესამე ათასწლეულისათვის შევქმნათ პირობები იმისა, რომ სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

რომის პაპი
იოანე პავლე II

სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი
ილია II

ერთობლივი მიმართვა მიღებულია 1999 წლის 8 ნოემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

რომის პაპი იოანე პავლე მეორე შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს

9 ნოემბერს, საღამოს მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაური იოანე პავლე მეორე შეხვდა და ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, მის მეუღლეს — ქალბატონ ნანული შევარდნაძესა და პრეზიდენტის ოჯახის წევრებს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა საპატიო სტუმარს საჩუქრად გადასცა ცნობილი ქართველი მხატვრების ზურაბ ნიჟარაძისა და ზურაბ წერეთლის ნამუშევრები.

ეს დღე დაუვიწყარი იქნება

ქართული მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ისინი, ვისი სახელებითაც სამართლიანად ამაყობს საქართველო, მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში გულთბილად შეეგებნენ რომის პაპს იოანე პავლე მეორეს და მის თანმხლებ დელეგაციის წევრებს. ეს იყო ჭეშმარიტად ამაღელვებელი შეხვედრა, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდებათ მასპინძლებსაც და სტუმრებსაც. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მეუღლითურთ მობრძანდა, უძღვებოდა ამ შეხვედრას და გულთბილი სიტყვით მიმართა საპატიო სტუმარს.

რომის პონტიფიკს, მის უწმინდესობას იოანე პავლე მეორეს ქრისტესმიერი სიყვარულით მიესალმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ რომის პაპის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში მარად მოსაგონრად დარჩება. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა, რომ საქართველო უნიკალური კულტურისა და ხელოვანთა, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, რომელიც დღეს სოციალური განვითარების ახალ გზას ადგას.

შეხვედრას დაესწრნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, ამიერკავკასიის კათოლიკოსთა ადმინისტრაციის უფროსი მონსინიორი ჯუზეპე პაზოტო, ვატიკანის ოფიციალური დელეგაციის წევრები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, სხვა ოფიციალური პირები.

განიხილეს კავკასიის პრობლემები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე შეხვდნენ ვატიკანის სახელმწიფო მდივანს კარდინალ სოდანოს და ვატიკანის ოფიციალური დელეგაციის სხვა წევრებს, რომლებიც ახლავან რომის პაპს საქართველოში მოგზაურობის დროს.

სტუმრები დაინტერესდნენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესებით, განიხილეს კავკასიის პრობლემატური საკითხები.

ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, თქვენო უწმინდესობავ!

დამთავრდა რომის პაპის იოანე პავლე მეორის 30-საათიანი ვიზიტი საქართველოში. 9 ნოემბერს რომის პონტიფიკი თბილისიდან სამშობლოში გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარს საზეიმო გაცილება მოუწყვეს. თვითმფრინავის კიბესთან მას გულთბილად დაემშვიდობნენ და ბედნიერი მგზავრობა უსურვეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, ამიერკავკასიის კათოლიკოსთა ადმინისტრაციის უფროსმა მონსინიორმა ჯუზეპე პაზოტომ. გამცილებელთა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, სხვა ოფიციალური პირები, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, პრესის წარმომადგენლები, საქართველოში მცხოვრები კათოლიკეები.

სამშობლოში გამგზავრებამდე რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ მოინახულა თბილისის წმინდა პეტრე-პავლეს კათოლიკური ეკლესია.

საქინფორმი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

დღის განწყობილება

(პირველი გვერდიდან)

„მაგ ხელით პირჯვარი როგორ უნდა გადაიწეროთ?!“

ერთ-ერთმა პირველი, თბილისელი ამირან გონაშვილი დამიკავშირდა. უკვე ასაკოვანი, მრავალი ათეული წლის მანძილზე საქვეყნო საქმის ერთგულად მსახური კაცი. დღეს ზოგიერთმა, ერთობ „ეროვნულად“ მოაზროვნემ, შესაძლოა, ერთგვარი ირონიითაც შეაფასოს მისი ნამსახურეობის ნუსხა, მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო, რომ გაზეთში ახლახან ანალოგიური რამ გამოთქვა შალვა ნათელაშვილმაც, ინტელიგენტი და ჭკვიანი ახალგაზრდა რომ მეგონა, — გულისტკივილით დასძენს.

შეუძლებელია არ დაეთანხმო ამირან გონაშვილის სამართლიან აღშფოთება-გულისწყრომას და ზოგიერთი პარტიული „ლიდერის“ მისამართით ერთი დარბაისლური ხალხური ნათქვამი არ გაიმეორო: **„მაგ პირით, ასეთი სიტყვები რომ ამოუშვა, საჭმელი როგორ უნდა ჭამოთ“.**

და, ალბათ, იმაშიც უთუოდ უნდა დაეეთანხმოთ მკითხველს, რომ არ შეიძლება ლამის ქუჩური ლანძღვა-თათხვის ატანა, საქმიან და კონსტრუქციულ კრიტიკა- კორპუსებს ჭაღებს ზუსტად საღამოს 7 საათზე აუჭახჭახებენ, ჩვენს კორპუსში 9-10 საათამდე სიბნელეა.

რატომ?

ქალბატონმა ეთერმა მადლიერებით მოიხსენია ქალაქის მერია იმისათვის, რასაც იგი საქალაქო მეურნეობის მოსაწესრიგებლად ამ ბოლო ხანს აკეთებს. მაგრამ მთხოვა, გაზეთის მეშვეობით მიმეწვდინა ხმა უმაღლოდ თბილისის მერის ვანო ზოდელავასთვის, რომლის დიდი იმედიც აქვს, რომ სათანადო საქალაქო სამსახურმა რაიმე იღონოს კორპუსის სარდაფში ჩაგუბებული კანალიზაციის წყლის ამოსაქაჩად, რასაც მობინადრეები მხოლოდ საკუთარი ძალებითა და სახსრებით ვერ ახერხებენ. ლად არ ჩამოთვლება, ისევე როგორც ის, რომ მოსახლეობისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვას მათმა ხელმძღვანელებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ, — გვიზიარებს თავის მართებულ მოსაზრებას დიღმის მასივის III კვარტალში მცხოვრები ნუგზარ ოქროპირიძე. ამას წინათ ქალაქს გაზის მიწოდება მოულოდნელად შეუწყდა. ამან თავისთავად ცუდ ხასიათზე დამაყენა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღშფოთდი, როდესაც ტელევიზიით მოვისმინე „თბილგაზის“ ხელმძღვანელის სიტყვები: გაზის მიწოდება იმიტომ შეწყდა, რომ ვილაცას ცენტრალური გაზსადენის ურდული გადაუკეტავსო (?!). უპასუხისმგებლობა, საქმის თვითდინებაზე მიშვება და მრავალი სხვა უბედურება ამაზე მორს, ვფიქრობ, ვერ წავა.

მოდი და, ნუ დაეთანხმები ბატონ ნუგზარს.

მოუვარეს პირში უმრახე...

ბატონი ამირანი წლების მანძილზე იყო სიღნაღის რაიონის ახალგაზრდობის ლიდერი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა თეთრიწყაროსა და წითელწყაროს რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს, მუშაობდა თბილისში სხვადასხვა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობაზე...

ყველაფერი ეს იმადაც ჩამოვთვალე, რომ, ვფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება: ბატონ ამირანს, სხვადასხვა მრავალათასიანი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ნამუშევარს, მორალური უფლებაც აქვს კრიტიკულად შეაფასოს საქართველოში ახალ ნაწევიმარზე სოკოებივით მომრავლებული პარტიების ზოგიერთი ლიდერის მოქმედება, საქმიანობა თუ გამონათქვამი. ეს ქვესათაურიც სწორედ მისმა გულისტკივილიანმა სიტყვებმა მიკარნახა.

— მაგ ხელებით, 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში „მოქალაქეთა კავშირს“ რომ მიეცით ხმა, პირჯვარი როგორ უნდა გადაიწეროთო, — შარშან გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ასე მიმართა მის მიერ იდიოტებად მონათლულ ამომრჩეველს ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა აკაკი ასათიანმა. ხალხის ამაზე მეტი შეურაცხყოფა იქნებაო? — ერთი წლის წინანდელი წყენა დღესაც გუშინდელივით განცდასავით შემორჩენია და ვერ დაუვიწყია ბატონ ამირანს.

— ანკი როგორ დამავიწყდეს, როდესაც ერთ-ერთი სთან რომ არაფერი აქვს საერთო, თითქმის რომ წალეკოს ჟურნალ-გაზეთების ფურცლები თუ ტელე და რადიო ეთერი. ამიტომაც ახალმა პარლამენტმა, მისი აზრით, დროულად უნდა მიიღოს კანონი პრესის შესახებ, რომელიც ასეთ უმსგავსობას ზღვარს დაუდებს.

„თუ გვიჭირს, ყველამ თანაბრად გავიჭირვოთ!“

არც ამ მორივი თემის ქვესათაურად გამოტანილი სიტყვების ავტორს, თბილისელ პენსიონერს, ქალბატონ ეთერ ჯანგიძეს არ შეიძლება არ დაეთანხმოს კაცი. იგი გამსახურდიას გამზირზე №33ა კორპუსში ცხოვრობს.

— იმ საშინელების შემდეგ, 90-იანი წლების პირველ ნახევარში რომ გადავიტანეთ, დღევანდელი პრობლემები რა მოსატანია, — ბრძანებს ქალბატონი ეთერი. — არც იმის დაუნახაობა შეიძლება, საქართველოს ხელისუფლების საოცარი შრომითა და ბრძოლით ამ ბოლო წლებში რომ გა...იდა, მაგრამ იმავე ხელისუფლების ...ალეობად მიმაჩნია, ყველაფერი იღონოს იმისთვის, რომ თვით ყველაზე მწირი შესაძლებლობებიც ყველა მოქალაქეს თანაბრად გაუნაწილოს და მოახმაროს. ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის მომარაგებაზე მოგახსენებთ. ვიცი, რომ გვიჭირს და დენს გრაფიკით გვაწვდიან, მაგრამ როდესაც ჩვენს გვერდით მდებარე ცალკეულ

„ხალხი განა ფარაა?“

— ერთი რამ გამკვირვებია, მაინცდამაინც პარლამენტში უნდა იყოს რომელიმე პარტია, რომ საქვეყნო საქმე აკეთოს? — გულწრფელი გაკვირვებით შემეკითხა ტელეფონით მუხიანელი დავით გუბელიძე. ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, არჩევნები გააყალბესო, და ნახოს ხელისუფლებამ, პარლამენტს გარეთ, ქუჩაში რომ დაგვტოვა (?!) რასაც დავმართებთ, მთელ ხალხს ქუჩაში გამოვიყვანთო.

მაგათ ხალხი ფარა ხომ არ ჰგონიათ, მათი სახით ნებისმიერ, თუნდაც კოჭლ ყოჩს უსიტყვოდ რომ გადაჰყვნენ?

საქართველოს მოსახლეობას ამისი არ ეშინია. მე მწამს ბატონ ედუარდ შევარდნაძისა, რომელმაც ბრძანა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ხალხის კეთილდღეობისთვის, თორემ, თუ ეს მან ვერ მოახერხა, არავითარი პოლიტიკური ძალა არ იქნება საჭირო, ხალხი სტიქიურად გააკეთებს იმას, რაც ქვეყნისთვის ლამანრეველი იქნებაო.

მწამს, ეს არც ხელისუფლების და არც ხალხის მიზეზით არასოდეს მოხდება!

„ვიღაცამ ურდული გადაკეტა?!“

— ზამთრის მოახლოებისას რომ განსაკუთრებით საჭიროა სითბო და სინათლე, აღმოჩნდა ნამდვი-

„ეტყობა, მაგანს ძალიან სურს სიტუაციის დაძაბვა!“

ასეთი მოკლე და კატეგორიული დასკვნით დაამთავრა თავისი საუბარი მოქალაქემ, რომელიც ბოლო ქობლიანიძედ გამეცნო, საცხოვრებელი ადგილის დასახელება კი რატომღაც არ ისურვა.

რუსეთი არჩევნების წინ გაზის მოწოდების შეწყვეტით დაგვემუქრა: ეტყობა, ორი კურდღლიდან ერთის დაჭერა მაინც სურდა: თუ ამით ჩეჩნეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ ვერ გაგვიხდიდა, ზოგიერთ რუს „პოლიტიკოსს“ ეგონა, საპარლამენტო არჩევნების კვირაძალზე ხელისუფლებას ხალხს მაინც ავუბუნტებთ და იქნებ ჩავამლეჭდი და... ეინით კიდეც არჩევნებიო.

მაგრამ რუსეთის რაღას ვერჩით, როდესაც თვით თბილისში გაზის მიწოდება ვიღაცის უყურადღებობა-უპასუხისმგებლობით წყდება — ურდული გადაუკეტავთო! თხევადი გაზი... არსად იშოვება, ნავთი თითქმის გაქრა, ან ისეთი ფასი ადევს, ახლოს ვერ გაეკარები. ასევეა ბენზინი, დიზელის საწვავი.

რა ხდება? თუ ხელისუფლებამ ოპერატიულად არ იზრუნა მდგომარეობის გამოსწორებისათვის, არაკეთილმოსურნეთა წისქვილზე მივუშვებთ წყალს. არც ბატონი ბონდოს ამ მოსაზრების უგულებელყოფა შეიძლება.

როგორც 6 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ჩემს მასალაში ვწერდი, მართლაც რით, საიდან, როგორ იწყება რწმენა? საამისოდ მართლაც უამრავი არგუმენტირებული მიზეზის, საბაბის, საფუძვლის დასახელება შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იგი უკეთესი ხვალინდელი დღის, უკეთესი მერმისის იმედითაც იწყება.

ამას კი, დღევანდელ საქართველოში უმთავრესად, ნურვინ ჩამოთვლის პირმოთნეობად, ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი უდიდესი ნდობა, რისი საუკეთესო დასტური საპარლამენტო არჩევნები გახლდათ, და იმის იმედიც ასაზრდოებს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ყოველ ღონეს იხმარს ისეთივე წარმატებული საშინაო პოლიტიკის წარმართვისათვის, როგორც ეს მან საგარეო ურთიერთობების დამყარება-განვითარებაში შესძლო.

ყველამ თავისი საქმეები უნდა აკეთოს: პრეზიდენტმა გლობალურ პრობლემებზე იფიქროს, დარგობრივი მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხებში კი შესაბამისმა ხელმძღვანელებმა ოპერატიულად და ხარისხიანად უნდა გადაწყვიტონ. ზოგიერთი მათგანის უმოქმედობა-უტერგილობისთვის პრეზიდენტს არ უნდა უწევდეს ზედმეტი დროისა და ენერგიის ხარჯვა და, რაც მთავარია, ზოგჯერ ხალხის წინაშე თავის მართლებაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არასოდეს გაურბის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

სწორედ ამას აღნიშნავდნენ ხაზგასმით ჩემი რესპონდენტები, როდესაც აცხადებდნენ, რომ სწამთ პრეზიდენტისა, იმისა, რომ იგი ყველას დამსახურებისამებრ საკადრისად მიუზღავს და თავის ადგილსაც მიუჩენს.

ამიტომაც იხელმძღვანელებს მოყვრისთვის სიმართლის პირში თქმის პრინციპით.

რუსლან რუსია.

ელექტორატი

(პირველი გვერდიდან)

იურისტი ტოსია ხაზარიძე, პენსიონერი:

1. — დღევანდელი მინისტრებიდან ჩემთვის, თავისი გულ-ქართულობით, წესიერებით გამორჩეულია თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, მან ეს საქმით დაამტკიცა. ცუდად არ უძლევება თავის საქმეს შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, თუნდაც არჩევნებზე პოლიცია, რომ არ „ბობოქრობდა“ რად ღირს. ყველას მიეცა საშუალება თავისუფალი არჩევანი გაეკეთებინა.

2. — რა თქმა უნდა, საქართველოს მართლაც წაადგება როინ მეტრეველის, ბაჩანა ბრეგვაძის, მარიამ ლორთქიფანიძის პარლამენტში მოღვაწეობა, მათი აზრი, ამა თუ იმ კანონის მიღებისას, გასათვალისწინებელია.

3. — უპირველესად, ბიუჯეტის მიღებიდან უნდა დაიწყოს ახალმა პარლამენტმა მუშაობა. საგადასახადო კანონშიც ცვლილებებია საჭირო. კანონი მასმედიის შესახებ აუცილებელია.

4. — კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლას, არა სიტყვით, არამედ საქმით.

საგადასახადო და საბაჟო სისტემების მთელი ძალით ამუშავებას ბიუჯეტის შესავსებად. ამით ეშველება ქვეყანას. მთავარი ყურადღება უნდა იყოს მიმართული ბიუჯეტის შესრულებისკენ.

ზორბასლან ქემოკლიძე, აგრარული უნივერსიტეტის მექანიზაციის კათედრის პროფესორი:

1. — უპირველესად, კულტურულ და საუკეთესო განათლების მქონე (უცხო ენების მცოდნეს). პატიოსან ადამიანს. დღევანდელი მინისტრებიდან სწორედ ვაჟა ლორთქიფანიძეს, დავით ონოფრიშვილს, დავით თევზაძესა და ირაკლი მენაღარიშვილს მივანიჭებ უპირატესობას.

2. — ახალი პარლამენტის უკეთ წარმართვისათვის გასათვალისწინებელია მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიას, ანტონ ინგოროყვას, ნინო ბურჯანაძისა და სხვათა აზრი.

3. — ძირითადად მრეწველობის განვითარებაა საჭირო, რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს, ამით კი სოციალურ უზრუნველყოფას მივაღწევთ.

4. — ახალ პარლამენტს, დროულად საპენსიო კანონის მიღების დაჩქარებას შევთავაზებ.

ვენო ბადილია, ხელოვნებათმცოდნე:

1. — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სახელმწიფოსა და სხვადასხვა სფეროს ხელმძღვანელობის დიდი ტრადიციები არსებობს, ამდენად საგანგებო ძებნა არ სჭირდება იმ კრიტერიუმებს, რომელთა შესაბამისად უნდა შეირჩეს და დაინიშნოს მინისტრი, უწყების ხელმძღვანელი. ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად დაწყებული სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმე ამჟამად მოღვაწე მინისტრებმა და მათმა გუნდმა უნდა გააგრძელოს.

2. — სახელმწიფო კანონი პარლამენტში განხილვამდე ყველაზე სანდოდ და სრულად სამეცნიერო დაწესებულებებში, კათედრებზე დაიხვეწება და შეფასდება.

3. — საქართველოში მუდამ ფასობდა მაღალი პროფესიული ზნეობა, ეროვნულობა, ცოდნა, სამშობლოს უანგარო სამსახური. რაც უფრო სუსტდება ეს ღირსებები, მით უფრო ძნელად გამოსასწორებელი ხდება და ძვირი უჯდება ქვეყანას უკეთურთა თარეში.

საქართველოს პარლამენტის მუდმივი საზრუნავი და მიზანი იყო, არის და იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საზოგადოების გაერთიანება.

4. — პარლამენტმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ დასაქმებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას, პენსიებისა და ხელფასების სისტემატურ მატებას, სურსათისა და სამომხმარებლო ფასების სტაბილიზების შენარჩუნებას.

ვინც ხმა მოგცათ

ახალმა პარლამენტმა საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს

მკითხველებისადმი: ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია ამ შეკითხვებს უპასუხოს. დაგვირეკეთ: 93-28-54.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, მაღალი პროფესიონალიზმის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ალექსანდრე ბუკია — პოლიციის პოლკოვნიკი, ქვემო ქართლის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი; **ოთარ გონაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფროსი; **ლევან მონია** — პოლიციის პოლკოვნიკი, გენერალ გია გულუას სახელობის პოლიციის სპეციანიშნულების სამსახურის უფროსი.

ღირსების ორდენით:

ზაურ ალავიძე — პოლიციის პოლკოვნიკი, იურიდიული სამსახურის უფროსი; **ემელიანე ცინცაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის ინსპექციის უფროსის პირველი მოადგილე;

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

ზურაბ გელაშვილი — პოლიციის პოლკოვნიკი, აკადემიის სასწავლო ნაწილის უფროსი; **იოსებ თავაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე; **თენგიზ სიჭინავა** — პოლიციის პოლკოვნიკი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი; **ზაზა ყულოშვილი** — პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი; **დავით ძაგანია** — პოლიციის პოლკოვნიკი, მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსის მოადგილე; **ბადურ ჭანტურიშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, აკადემიის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში; **ლევან ხოზრევანიძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

ჯემალ გაბელია — პოლიციის პოლკოვნიკი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს სამმართველოს უფროსი; **ვახტანგ ელგანდაშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე; **გოჩა სისაური** — პოლიციის პოლკოვნიკი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე; **ფრიდონ კენკებაშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს სამმართველოს უფროსის მოადგილე; **მოთა მანშიაშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

ღირსების მედლით:

არჩილ ბერიძე — სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის № 6 ზემო ავჭალის შრომა-აღმზრდელობით კოლონიასთან არსებული სკოლის დირექტორი; **ალექსანდრე მუსხელაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე; **ვაჟა ჭუბაბრია** — პოლიციის პოლკოვნიკი, აკადემიის რიგით და უმცროს მეთაურთა სასწავლებლის უფროსი; **როსტომ ხომერიკი** — აკადემიის უფროსის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და საქართველოში კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები:

II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ლავრენტი ნაჭყებია — პოლიციის გენერალ-მაიორი, მინისტრი.

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

როზგენ ბერიშვილი — პოლიციის პოლკოვნიკი, მინისტრის პირველი მოადგილე; **ზურაბ ბრეგვაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამმართველოს უფროსის მოადგილე; **გიორგი დარასელია** — პოლიციის მაიორი; **ამირან კოლოჩევი** — პოლიციის კაპიტანი, სოხუმის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსი ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ); **გელა კოპალიანი** — პოლიციის პოლკოვნიკი, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსი; **ზურაბ მებონია** — პოლიციის პოლკოვნიკი, მინისტრის მოადგილე; **ოთარ მეტრეველი** — პოლიციის პოლკოვნიკი, ქ. გაგრის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომელთა წახალისების შესახებ

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის გამოეცხადოთ მადლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებს:

ჩინარა ბარათაშვილს — ქართულ და უცხო ენების კათედრის უფროს მასწავლებელს; **ავთანდილ ბერძენიშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, უფროსის მოადგილეს; **მოთა ბითაძეს** — პოლიციის პოლკოვნიკს, ოპერატიულ-სამძებრო და ადმინისტრაციულ საქმიანობათა კათედრის უფროს მასწავლებელს; **ნოდარ ბოლოთაშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, სასწავლო ნაწილის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების უფროსს; **ანზორ გაბიანს** — დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელს; **ზურაბ გვიმიანს** — პოლიციის პოლკოვნიკს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსს; **ჯემალ გორგიაშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, უფროსის მოადგილეს; **ვაჟა გურგენიძეს** — პოლიციის პოლკოვნიკს, ზოგადიურიდიული დისციპლინების კათედრის პროფესორს; **იური დიაჩკოვ-დუმბაძეს** — პოლიციის პოლკოვნიკს, სამხედრო სამსახურებრივი და ფიზიკური მომზადების კათედრის უფროსის მოადგილეს; **იური თვალჭრელიძეს** — კრიმინალისტიკის კათედრის უფროს მასწავლებელს; **გურამ ივანიშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, ოპერატიულ სამძებრო და ადმინისტრაციულ საქმიანობათა კათედრის უფროსს; **გიორგი კახიანს** — პოლიციის პოლკოვნიკს, რიგით და უმცროს მეთაურთა სასწავლებლის პირველდაწყებითი მომზადების კურსების უფროსს; **რევაზ კიბორძალიძეს** — ოპერატიულ-სამძებრო და ადმინისტრაციულ საქმიანობათა კათედრის მასწავლებელს; **რევაზ კიკნაძეს** — პოლიციის მაიორს, შენობა-ნაგებობათა ექსპლუატაციისა და კაპიტალური მშენებლობის უფროსს; **ამირან ლაგვილავას** — პოლიციის პოლკოვნიკს, რიგით და უმცროს მეთაურთა სასწავლებლის სასწავლო-სამწყობრო ნაწილის უფროსს; **გიორგი ლორთქიფანიძეს** — პოლიციის პოლკოვნიკს, კრიმინალისტიკის კათედრის უფროსს; **ვალიკო მარღიშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, ოპერატიულ-სამძებრო და ადმინისტრაციულ საქმიანობათა კათედრის უფროს მასწავლებელს; **მანანა მოსულიშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, ზოგადიურიდიული დისციპლინების კათედრის უფროსის მოადგილეს; **პაველ როსტიაშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, სასწავლო ნაწილის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების კურსის უფროსს; **ბადრი სალუქვაძეს** — პოლიციის პოლკოვნიკს, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინოლოგიის კათედრის პოლკოვნიკს; **როლანდ ქავთარაძეს** — პოლიციის პოლკოვნიკს, კრიმინალისტიკის კათედრის უფროსის მოადგილეს; **გივი მაჭვულიძეს** — ოპერატიულ-სამძებრო და ადმინისტრაციული კათედრის პროფესორს; **ავგუსტა შემშელინოვას** — პოლიციის პოლკოვნიკს, სასწავლო ნაწილის დღის სწავლების განყოფილების უფროს ინსპექტორს; **გიორგი შერგელაშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, სასწავლო ნაწილის დღის სწავლების განყოფილების უფროსს; **ელგუჯა ჭანტურიას** — პოლიციის პოლკოვნიკს, ზოგადიურიდიული დისციპლინების კათედრის უფროსს; **იური ჯანიბეგაშვილს** — პოლიციის პოლკოვნიკს, სამეურნეო განყოფილების უფროსს.

ე. შევარდნაძე.

პროკურატურა

ფიდელ კასტრო... მარტვილში

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურორის მოადგილემ თამაზ კოლუამ და საგამოძიებო ნაწილის უფროსმა ორდე ბებიამ ჟურნალისტებს დაწვრილებით გააცნეს გამოძიების ის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია მარტვილის რაიონში საარჩევნოდ მომხდარ ინციდენტთან.

ინციდენტი კი სერიოზული იყო: გზების ჩადაკეტვა, საარჩევნო უბნების „დაბლოკვა“, გამგეობაში შევარდნა, საარჩევნო კომისიის წევრების ცემა, ბიულეტენების თუ სხვა დოკუმენტების დაწვა. ყოველივე ამის მოთავეებად ძმები — ფრიდონ და დავით ინჯიები მოიხსენიებიან.

გამოძიებას უკვე დაუკითხია 80-მდე მოწმე. მათ შორის ძმები ინჯიებიც. დავით ხენაკში მოუხელთებიათ, ფრიდონი კი — თბილისში. გენერალური პროკურატურა, რადგან კანონის თანახმად ამ საქმეს იგი იძიებს, აცხადებს, რომ ყველა ლეგალურ, ყველა ჩვენებას გულმოდგინედ გამოიკვლევს და შეაფასებს.

ოღონდ ერთია: თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია გენერალურ პროკურატურას თანხმობას არ მისცემს ძმები ინჯიების დაკავება-დაპატიმრებაზე, მაშინ იგი მათ მიმართ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ვერ განახორციელებს. ცსკ კი ჯერჯერობით დუმს.

გენერალური პროკურატურა განმარტავს, რომ მარტვილის ინციდენტს არაფერი აქვს საერთო კავშირგაბმულობის სამინისტროში აღრე მომხდარ დარღვევებთან და ამ დარღვევებში გახვეულ ფრიდონ ინჯიასთან. ის სხვა საქმეა, ეს — სხვა. აქედან გამომდინარე, გენერალური პროკურატურა ფრიდონ ინჯიას სპეციალურად არ „ძირავს“, რათა მეელ ცოდვებს ახალიც წაამატოს.

გამოძიება ყველაფერს ნათელს მოჰფენს. ინჯიების წინასწარ გაწირვა თუ სხვა ჩახლართული ვერსიის გავრცელება კი უფრო პრესის მუშაკთა ფანტაზიაა, ვიდრე პროკურატურის მუშაკებისა.

ბადრი იაშვილი.

მილოცვა

„გაერთიანებული ბერლინი ახალი პოლიტიკური აზროვნების, განახლებული და ერთიანი ევროპის ჭეშმარიტი სიმბოლოა“

(პირველი გვერდიდან)

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გმირობამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობა შეუქცევადია. ამ მოვლენამ წერტილი დაუსვა კონფრონტაციის, ურთიერთდაპირისპირებისა და შიშზე აგებულ პოლიტიკას. ბერლინის კედლის დაცემით დასაბამი მიეცა სრულიად ახალ პოლიტიკურ აზროვნებას როგორც ევროპაში, ისე მთლიანად მსოფლიოში.

ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გასულ თვეში სახელმწიფო ვიზიტით ვეწვიე გაერთიანებული გერმანიის დედაქალაქს. დღეისათვის გაერთიანებული ბერლინი იქცა ახალი პოლიტიკური აზროვნების, განახლებული და ერთიანი ევროპის ჭეშმარიტ სიმბოლოდ.

მე დიდად მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ვწვეოდი ბრანდერბურგის ჭიშკარს, რომელიც ათწლეულების მანძილზე წარმოადგენდა გახლეჩილი გერმანიის, გახლეჩილი ევროპისა და ცივი ომის სიმბოლოს, ახლა კი, გაერთიანებული გერმანიის, ერთიანი ევროპის სიმბოლოა“.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

თქმა ყველაფრის შეიძლება

ოფიციალური სოხუმი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შესაძლო შემოღება აფხაზეთს არ შეეხება, რომელმაც საკუთარი თავი სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

„თუ სავიზო რეჟიმი მაინც შემოიღეს საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე, ეს მაინც არ აისახება აფხაზეთის ინტერესებზე, რომელიც კარგა ხანია მიეჩვია ბლოკადის პირობებში ცხოვრებას“, - უთხრა პრაიმ-ნიუსს სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ.

შამბას განცხადებით, აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არა მარტო დააყენებს თავის ტერიტორიაზე რუსეთის საელჩოს გახსნის საკითხს, არამედ საკუთარი პასპორტების და ეროვნული ვალუტის შემოღებასაც აპირებს.

ქართული ფილმები ბოლონიის ფესტივალზე

თბილისის კინოსა და თეატრის ინსტიტუტის სტუდენტების ფილმები იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართულ კინოსკოლების მეორე ევროპულ ფესტივალზე იქნება წარმოდგენილი. ესენია: ჯულია გოგისვანიძის და ნათია მოსამშვილის მხატვრული ფილმი - „ლიმონის მარმელადი“, ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილის „ვამლები მამაკაცებისათვის“ , გიორგი მიქაძის „მირაჟი ?“ და ბიძინა ყანჩაველის - „121 ახალბედა“.

როგორც პრაიმ-ნიუსს ინსტიტუტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ უთხრა, ფესტივალი მიუნჰენის უმაღლესი კინოსკოლების საერთაშორისო ფესტივალთან თანამშრომლობით გამართება და მასში ევროპის ქვეყნების 40 კინოსკოლა მიიღებს მონაწილეობას.

ინფორმაციები მოამზადა პრაიმ-ნიუსმა

საქართველოს რესპუბლიკა
№ 305. ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1999 წელი.

არჩევნები

ნამდვილად კი ასე იყო...

ბარაქიანი ბათუმური წვიმის აკომპანიმენტით ჩაიარა არჩევნებმა ზღვისპირეთში. წვიმა კი, ერჩის, „წარმოიდგინეთ, „აღორძინების" პლაკატებსაც კი, თუნდაც უძვირფასეს ქაღალდზე, უძვირფასესი საღებავებით დაბეჭდილს და უძვირფასესი წებოთი კედლებზე გაკრულს! იმ ამარი წვიმისაგან ზოგი საწყალობლად გადმოკიდებული იყო, ჩამოფხრეწილ-ჩამოგლეჯილიც ბლომად იყო და სუფთად ჩამორეცხილ-იავარქმნილიც. რამდენიმე ადგილზე მიჯრით გადაწებებული, ერთიანად ძირს გაეფინა და ახლა ქვემოდან, ცოტა არ იყოს, შელანძღულნი გვიმზერდნენ გამვლელებს დიდი, საშუალო და მთლად პაწა ბელადები „აღორძინებისა".

ამ პლაკატებს შორის ერთიც არ იყო მოქალაქეთა კავშირისა. როგორ იქნებოდა, როცა გაკვრისთანავე მათ ჩამოხსნა-ჩამორეცხვაზე მთელი შტატი მუშაობდა. მეორედ აღარც გაუკრავთ. სად იყო ამდენი! ორასი ცალი, პრეზიდენტის პორტრეტით, 21 ოქტომბერს ჩოლოქზე ჩამოართვეს ბათუმელ მოქკავშირელებს.

„აღორძინებას" კი იმდენი დაებეჭდა (ასიათასობით, თუ მეტი არა!) და გამოეკრა, რომ თვით პირველს უგრძვნია უხერხულობა (?): რა ამბავია ჩემი და პატიამეილის ამდენი სურათით. პასუხად დიდ ასლანსა და მისივე ზომის (ოღონდ პლაკატზე!) ჯუმბერს შორის პატარა სმირბა ჩაუსვამთ.

ამღორძინებელთა და მათი მომხრეების ღამრაზმავი პლაკატები, რამდენადაც ვიცით, ასევე უხვად იყო დაგზავნილი მთელ საქართველოში. არადა, არჩევნების ქვეირაძალს აჭარის ე. წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი ტელევიზიით გამოვიდა ერთი მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერი და ასეთი რამ „დააბრახა": დედაქალაქში ჩვენს პლაკატებს ებრძვიან, აქ კი რა ხდება, ხალხო, ასე უსამველოდ რამ აგვაყვავებინა ეს დემოკრატია აჭარაშიო! თურმე, ბათუმში შემოსვლისთანავე, ამ ჩვენს თვალგამჭრიახ ფუნქციონერს ისეთი შთაბეჭდილება შექმნია, თითქოს აჭარაში არც შემოსულა, იმდენად ცოტა მოჩვენებაა „აღორძინების" პლაკატები და იმდენად ბევრი — სხვა პარტიებისა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 302-303.

ეს ტყუილი მაინც რა ცოდვამ ათქმევინა იმ სულაღორძინებულს (არიან აგრეთვე, გადაღორძინებულ-მოღორძინებულ-გამოღორძინებულნი, რომელნიც, უამრავ სისულელეს რომ ამბობენ, ეგ არაფერი, ცოდვასაც უამრავს ჩადიან)?!

* * *

არადანი — მე, არჩევანიც — მე,
თქვენი ხმებიც — მე,
თქვენი სულიც — მე!

ილუზია იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნები აჭარაში სამართლიანად, კანონიერად წარიმართებოდა, ცხადია, ყველაზე გულუბრყვილო ადამიანებსაც კი არ ჰქონიათ! ან კი, როგორ ექნებოდათ იმ ფონზე, რაც აქ, ბოლო წლებში არსებობს და, რაც კიდევ უფრო ჩამუქდა უშუალოდ არჩევნების წინ. მაგრამ იმასაც, რაც სინამდვილეში მოხდა, ძნელად თუ ვინმე ელოდა!

...ეს იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ კანონიერი არჩევნების მოწინააღმდეგენიც კი, უფრორე მათი ის ნაწილი, ღირსების ნატამალი რომ შერჩენია, მოკირებულნი დარჩნენ თავიანთი „საგმირო საქმეებით". თუ კი ამ გზით უნდა გაემარჯვათ, თუ ასე, ფეხებზე უნდა დაეკიდათ უამრავი უცხოელი დამკვირვებელი. თუ ყველა, ვინც წესისა და კანონის დაცვას მოინდომებდა, უნდა ელანძღათ და ეგინებინათ, ეფურთხებინათ, საარჩევნო უბნებში არ შეეშვათ, ეცემათ კიდეც და, ვინ მოთვლის, რა სიგლახე ეკადრებინათ, რაღას „ირჯებოდნენ"? არ ჯობდა, როგორც 30 ოქტომბერს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩოლოქის „საკონტროლო-გასაშვები პუნქტიდან", უკან გაებრუნებინათ?! ან ის ალიაქოთი რამ აატეხინათ უნიჭო შოუსპექტაკლებით, ან კიდევ მილიონებს რაღას ჰყრიდნენ მთელ ამ სისულელეში?!

ეს იყო, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ეპოქალური გაყალბება ხალხის ნებისა, არჩევნების თვით არსის, მისი დანიშნულების აბსოლუტური უგულებელყოფა.

აი, თურმე, რა ყოფილა და როგორ, რა გზით მოიპოვება მოსახლეობის ის „ტოტალური მხარდაჭერა", რაზეც ძალიან უყვარს ლაპარაკი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, დემოკრატიული (?) აღორძინების კავშირისა და „საქართველოს აღორძინების" ბლოკის ლიდერს.

აი, თურმე, როგორ უნდა „დაადასტუროს" ის ყბადაღებული „ტოტალური მხარდაჭერა" არჩევნებმა, უფრო სწორად — „ტოტალურმა გაყალბებამ!"

* * *

ერთი ჩვენგანი არჩევნების წინ უკვე წერდა „საქართველოს რესპუბლიკაში" რა გააზრებული, საგულდაგულოდ გათვლილი და დაგეგმილი ვრცელი პროგრამით წარმართავდა „აღორძინება" თავის საარჩევნო კამპანიას. და რაოდენ დიდი ფულია ყოველივე ამის უკან. ხალხზე აღარაა ლაპარაკი — „ჩაყოლილ" და „ჩათრეულ" ხალხზე, რომლის მიზერულ პროცენტს თუ აღელვებს ის იდეები, „აღორძინებას" რომ ასულდგმულებს და მთააგონებს.

მუშაობდა ჩინებულად აწყობილი და გამართული მძლავრი სახელმწიფო მანქანა. მუშაობდა უნაკლოდ, დასახულ რეჟიმში. ამ ერთულეს მექანიზმში, როგორც რიგითი შემსრულებლები, ჩართული იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი და უდაბლესი თანამდებობის პირები — მინისტრები და მათი მოადგილეები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები და პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები, მერიის, გამგეობების, უწყებათა სრული შტატი, სამედიცინო, პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პერსონალები, უშიშროებისა და პოლიციის გადაცმული მუშაკები, ერთი სიტყვით, მთელი ბიუროკრატიული აპარატი, უკლებლივ ყველა რანგის მოხელე. მათთან ერთად მობილიზებული იყვნენ ბიზნესმენები და მათი ოჯახის წევრები, შავი სამყაროს წარმომადგენლები, სხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდანაც მოწვეული თავისიანები, მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილები...

ეს ორგანიზებულობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა 31 ოქტომბერს, როცა ახლადშეკოწიწებული საარჩევნო ბლოკის მამოძრავებელ პარტიას უნდა დაეგვირგვინებინა მრავალთვიანი საარჩევნო კამპანია, რომელიც, როგორც ამბობენ, კარგა ხნით ადრე დაპროგრამა იმ ჯგუფმა, რუსეთის პრეზიდენტად ვერა, მაგრამ კრასნოიარსკის გუბერნატორად გენერალ ლებედის გაყვანა რომ უზრუნველყო.

ალალი იყოს ის ხმები და ის პროცენტები, რაც მოიპოვესო, იტყოდა მათი აგრერიგად აწყობილი საქმიანობის მხილველი კაცი... რომ არ სცოდნოდა არსი საქმისა, ჩახედული არ ყოფილიყო „ამღორძინებელთა" სამზარეულოში.

უკანონობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ თავად გამყალბებლები უკვე საჭიროდ აღარც თვლიდნენ რაიმე დაემალათ, შეენიღბათ, ეჩუმათათ და ეეშმაკათ. ის კი არა, ბევრი მათგანი სიცილს ვერ იკავებდა — ამას რას ვაკეთებთო. უფრო დაფიქრების უნარის მქონეთ, სულაც არ ეცინებოდათ ამ გაუგონარი სიყალბის, ამ აშკარა ძალმომრეობის გამო. ზოგი ჩუმად „მოწინააღმდეგესთანაც" აღარ მალავდა აღშფოთებას.

გარედან კი ასე ჩანდა ის, რასაც ასლანურად არჩევნები ერქვა და არჩევნებთან კი საერთო არა ჰქონდა რა: პატიოსან ღირსეულ ადამიანებს, არჩევნების კანონიერად წარმართვისათვის რომ იღწოდნენ, აბუჩად იგდებდნენ, ლანძღავდნენ, ამასხარავებდნენ, ემუქრებოდნენ, ატყუებდნენ (ერთი გვერდზე გაიყვანდა, მეორე წინასწარ მოპარულ ბიულეტენებს ურნაში ჩაყრიდა) და... ენა ვერ იტყვის რა აღარ ხდებოდა, რა ხერხი და ღონე, თუნდაც ყველაზე უკადრისი არ იყო გამოყენებული იმ სამარცხვინო სცენარიდან, წინასწარ საგულდაგულოდ რომ იყო დამუშავებული და ყოველი შემთხვევისათვის რამდენიმე სამარქაფო ვარიანტსაც შეიცავდა.

არეულობა დაიწყო უკვე 30 ოქტომბერს, როცა თავისი საეჭვო რეპუტაციით მთელ ქვეყანაში კარგად ცნობილმა № 79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო კომისიებს სახელიოდ ბიულეტენები და ჰოლოგრამები დაურიგა. ვისაც საჭირო იყო, დააკლეს 200, 400 ცალი, ზოგს მეტი, საერთო ჯამში — 30-35 პროცენტი.

№ 47 უბანში 2 ათასი ზედმეტი ჰოლოგრამა აღმოჩნდა. იქვე დაფიქსირდა 880 ადგილობრივი მცხოვრების ლტოლვილებად „გაყვანის" ფაქტი. საქმე ისაა, რომ ეს უბანი არსებობდა სასტუმრო „მედეაში", სადაც აფხაზეთიდან დევნილები აძლევდნენ ხმას, ეს გაჭირვებული ხალხი კი ადგილობრივ ხელისუფლებას კარგა ხანია ანგაჟირებული ჰყავს.

ჯერ კიდევ აგვისტო-სექტემბერში დაამუშავეს ზემო იმერეთიდან და ხაშურიდან დროებით სამუშაოზე ჩამოსული ხალხი: თუ არ გინდათ, პრობლემები შეგექმნათ, აქ თქვენი სიები დაგვიტოვეთ, ხმას ჩვენც მივცემთ, თავად კი თქვენ-თქვენს სოფლებში წადით და, თქვენი ჯალაბიანა, „აღორძინების" კანდიდატებს მიეცით ხმებიო. მისცემდნენ, მამ, რა ექნათ...

№ 17 უბანში უცხოელ დამკვირვებელს, რომელმაც, როგორღაც, მოახერხა ჩასაყრელად გამზადებული დასტა წაერთმია „ამომრჩევლისათვის", ხელი ჰკრეს, ის დასტა წაგლიჯეს, ხოლო დარღვევის ოქმი რომ შეადგინა, რა თქმა უნდა, ხელი არ მოუწერეს.

№ 31 საუბნო კომისიის თავმჯდომარეს ორი კვირა უტრიალეს, ერთმა რესპექტაბელურმა მოხელემ პირდაპირ აუტალახა ზღურბლი. ვერ გატეხეს, მერე, ის იყო, 400 ჰოლოგრამა მოპარეს და... უტიფრად მასვე დააბრალეს.

სხვა თავმჯდომარე, მხატვარი კაცი, ისეთ დღეში ჩააგდეს ფულოსან-დიპოსან-ჯაბოსანმა ნაძირალებმა, რომ სტენოკარდიის მწვავე შეტევით რესპუბლიკური საავადმყოფო ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოხვდა.

ერთ-ერთი საუბნო კომისიის წევრი, ახალგაზრდა მოქკავშირელი, ჯერ ფეხქვეშ გაიგდეს და გამეტებით ურტყეს, მერე ბოდიში მოუხადეს (!), თავად გვაიძულეს და სუფრასთან მიიპატიჟეს, არჩევნებში „აღორძინების" წინასწარ დაგეგმილი გამარჯვების აღსანიშნავად რომ მართავდნენ.

კენჭისყრის დღესაც პურმარილი ბათუმის ოცდაჩვიდმეტე (წინათ 40 იყო) საარჩევნო უბანში იყო გაშლილი, მფარებულად, ცხადია, სმირბას უკისრია (არა საკუთარი სურვილით, რა თქმა უნდა!), ექსმერს და წინასწარ მაჟორიტარ დეპუტატად დანიშნულს (აბა, იმას რაც ბათუმში ხდებოდა, არჩევნებს როგორ უწოდებ!).

თითოეულ უბანზე მთელი შტატი იყო მიმაგრებული. მასში შედიოდა ოც-ოცდაათკაციანი ჯგუფი „ამომრჩევლებისა", რომელსაც რიგები და არეულობა უნდა შექმნა, რომ ამ არეულობაში სხვებს უკეთ „ეკეთებიათ" საერთო საქმე.

ჯიპების, მინიბუსების, მსუბუქი ავტომობილების მთელი ქარავანი იდგა ყველა უბანთან. მიაკითხავდნენ იმ წვიმაში ხალხს, ძალიანაც რომ არ სდომოდათ, ჩასვამდნენ და წამოიყვანდნენ, გზაში დაამუშავებდნენ, ხმის მიცემის შემდეგ კი ისევ შინ მიაბრძანებდნენ. რას ერჩი!

გარდა ამისა, მოქმედებდნენ საერთო-საქალაქო „მურინავი", ანუ „სწრაფი რეაგირების" ორას-სამასკაციანი რაზმები, რომლებიც, საჭიროებისამებრ, უბნიდან უბანში დაქროდნენ და იმ მოპარულ ბიულეტენებს, თავის ჰოლოგრამებიანა, სად ჩუმად, სად — აშკარად, დასტა-დასტად ურნებში ყრიდნენ.

ზოგიერთ უბანში ნამეტანი მოუვიდათ, იმდენი ბიულეტენი ჩაუშვეს ქურდულად, რომ 5-6 საათზე, ზოგან 14-ზე, 12-ზეც, ამომრჩევლებს მის მიუცემლად, უკან ისტუმრებდნენ. ყოფილა შემთხვევები, გაჯავრებულან: რას შვებით, „აღორძინებისათვის" უნდა მიგვეცაო ხმა. ასეთებს ამშვიდებდნენ, ნუ ღელავთ, თქვენი ბიულეტენი უკვე იქააო...

„ნამეტანის" ასეთი ვარიანტიც საკმაოდ ტიპური გახლდათ: მიდის მაჟორიტარი კანდიდატი, ცოლთან ერთად, თავის უბანში. გასაგებია, ვის აძლევენ ხმას. ასევე იქცევა მათი მრავალი მეზობელი. მეორე დღეს იმ უბანში, იმ მაჟორიტარს მიღებულ ხმათა რაოდენობის გრაფაში... ნული უწერია. აი, როგორია არჩევნები დემოკრატიის ოაზისში!

ხულოში მოქალაქეთა კავშირის აქტივისტები ერთიანს რომ შემოხაზავდნენ, საეჭვო არ უნდა იყოს. მიღებული ხმების რაოდენობა კი იქ ბევრად ნაკლებია აქტივისტთა რიცხვზე.

ბევრი, ძალიან ბევრი შეცოდება დაუშვეს აჭარის მმართველებმა ამ არჩევნებზე. ერთი მათგანია ქედის რაიონის ამომრჩეველთა სახელით გაკეთებული განცხადება — უარს ვამბობთ მაჟორიტარი კანდიდატის ამავე რაიონის ღირსეული შვილის ზურაბ მიქელაძის ბიულეტენების მიღებაზეო. არ გაინტერესებთ, მკითხველო, როგორ შეთანხმდა 13 ათასამდე ქედელი ამ სისაძაგლეზე! თუ, თქვენც ჩვენსავით ფიქრობთ, რომ მათ ნაცვლად ერთმა კაცმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ბოლშევიკურ სტილში?

№ 17 უბანში, ათზე მეტი წარმომადგენლისა და დამკვირვებლის თანდასწრებით, ხმების დათვლისას მოქკავშირს 429 ხმა აღმოაჩნდა. ეს ოქმშიც შავით თეთრზე ლაიწერა, ხელმოწერებითაც დადასტურდა და... სულ ერთი საათის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიაში მიიტანეს 19 ხმა! ატყდა ერთი დავიდარაბა, „შეწუხდნენ" „კანონმდებლები" და 82-მდე აიყვანეს. ეს მაშინ, როცა იმავე უბანში 700 ბიულეტენი წინასწარ იყო ჩაყრილი. № 45 უბანში უკვე დათვლილი 800-ზე მეტი ხმა 28-მდე ჩამოიყვანეს, № 23-ში კი — 400-დან 9-მდე!

...ორი კარგად ჩაცმული კაცი ცხადდება უბანში. არაქართველები არიან, იერით მეზღვაურებს ჰგვანან. იღებენ ბიულეტენებს. შედიან კაბინებში. გამოსულნი საარჩევნო კომიისის უახლოეს წევრს მიაშურებენ, ბიულეტენებს უჩვენებენ და ერთ-ერთი „გულუბრყვილოდ" ეუბნება: ნახეთ, გეთაყვა, რაიმე ხომ არ შეგეშლიაო, ბიულეტენებში კი ნათლად ჩანს შემოხაზული ორიანი.

მსგავსი ეპიზოდები უამრავი ყოფილა სხვა უბნებშიც. აი, რამდენად დათრგუნულია, დაბეჩავებულია ერთ დროს ლაღი ბათუმელი. შეჰყურებ და გული გიკვდება მისი აგრერიგად დამცირების, მისი ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსების ასე უსინდისოდ გათელვის გამო.

მეორე დღეს ამ ტოტალური გაყალბების მთავარი ორგანიზატორი, სხვა ლამაზ ტყუილებთან ერთად, ამასაც წარბშეუხრელად დაარტყამს: გურიიდან საგანგებოდ ჩამოგვაკითხა დიდმა ჯგუფმა (!) და გვთხოვა თქვენთან, სამღვილი დემოკრატიის პირობებში, მიგვაცემინეთო ხმა.

ღმერთო, დიდებულო!

აზდაკ ბათუმელი,
ზვიად ამაღლობელი.
ბათუმი.
(დასასრული იქნება).

ფირცხალაიშვილი ბრიუსელში გაემგზავრა

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების გენშტაბების ხელმძღვანელთა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად სამშაბათს ბრიუსელში გაემგზავრა.

როგორც პრამ-ნიუსს აცნობეს თავდაცვის სამინისტროში, 9-12 ნოემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გამართულ შეხვედრაზე დაზუსტდება 2000 წლის თანამშრომლობის გეგმა და მოხდება 1999 წლის შედეგების შეჯამება. ასევე, ფირცხალაიშვილი ნატოს ინვესტიციების ფონდს დასაფინანსებლად თავდაცვის სამინისტროს კავშირგაბმულობის სისტემით აღჭურვის პროექტს წარუდგენს. როგორც პრამ-ნიუსს უთხრა ფირცხალაიშვილმა, გარდა კავშირგაბმულობის პროექტისა, ნატოს ხელმძღვანელობასთან საუბარი იქნება კრწანისის სასწავლო ცენტრის სრულ მოწყობაზე.

სინანული გამოიწვია

რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებამ რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოში მცხოვრებ 250 ათასი რუსი ეროვნების მოქალაქეებში სინანული გამოიწვია, უთხრა პრამ-ნიუსს რუსული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების პრეზიდენტ-კოორდინატორმა იგორ ბოგომოლოვმა.

მისი აზრით, სავიზო რეჟიმი „გარკვეულწილად გაართულებს ისედაც იშვიათ კონტაქტებს საქართველოში მცხოვრებ რუსებსა და მათ ახლობლებს შორის, რომლებიც რუსეთში იმყოფებიან".

ბოგომოლოვმა აღნიშნა, რომ პუტინის განცხადებამ იმ მომენტში გაიჟღერა, როდესაც საქართველოში მცხოვრები რუსები „ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტების გაღრმავებას ცდილობენ".

ბაქო აკრიტიკებს რუსეთის განზრახვას

ოფიციალური ბაქო არ გამორიცხავს რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების დაძაბვას ამ ქვეყნებს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ, იუწყება პრამ-ნიუსის კორესპონდენტი. როგორც ჟურნალისტებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვილაიეტ გულიევმა განუცხადა, რუსეთს ამ საკითხში „არასწორი პოზიცია" უკავია.

მინისტრმა „საფუძველს მოკლებული" უწოდა რუსეთის პოლიტიკოსების მტკიცებებს იმის თაობაზე, რომ აზერბაიჯანი ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

გულიევმა ასევე განაცხადა, რომ სავიზო რეჟიმის შემოღების თარიღი ჯერ არ არის განსაზღვრული, თუმცა უკვე იქმნება ოპერატიული ჯგუფები ამ საკითხზე მუშაობისათვის.

რუსეთ—აზერბაიჯანის საზღვარზე ბოსტნეულითა და ხილით დატვირთული 400 ავტომანქანა შეგროვდა

რუსეთის მესაზღვრეები და მებაჟეები არ დაელოდნენ სავიზო რეჟიმის ოფიციალურად შემოღებას და შეზღუდვები შემოიღეს აზერბაიჯანიდან ბოსტნეულითა და ხილით დატვირთული ავტომობილების მიერ საზღვრის გადაკვეთაზე, - აცნობეს პრამ-ნიუსს სამშაბათს აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყებაში.

რუსეთის მესაზღვრეები აზერბაიჯანელ ბიზნესმენებს უკან დაბრუნებას ურჩევენ, რადგან მოსკოვიდან მიღებული დირექტივების თანახმად, რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა მათთვის არ შეიძლება.

ორშაბათს რუსეთის მესაზღვრეთა საგუშაგოსთან აზერბაიჯანელმა გადამზიდველებმა მიტინგი მოაწყვეს და აზერბაიჯანის ხელისუფლებისაგან რუსეთიდან ბაქოსკენ მიმავალი მანქანების მიმართ ადეკვატური ზომების გატარება მოითხოვეს.

ინფორმაციები მოამზადა პრამ-ნიუსმა.

პარლამენტის წევრი

სულ ახლახანს ბატონი რევაზ ყიფიანი მთავრობის მაღალ ჯილდოებს გადასცემდა პროკურატურის მუშაკებს. ერთ-ერთ ხელქვეითს, რომელსაც სახელად იოსები ერქვა, სოსო უწოდა. თან დააყოლა, — არ გეწყინოს, სოსო რომ გიწოდე. სოსოს ეძახდნენ იოსებ გრიშაშვილს, სოსოს ეძახდნენ იოსებ სტალინს, ცხადია, მოფერებითო. მე რევაზი მქვია, მაგრამ თუ ჩემი მოფერება მოგინდებათ, მეც სოსო დამიძახეთო.

ბატონო რევაზ, თქვენი მოფერება ახლა მარტოოდენ იმ ახალგაზრდა მუშაკს კი არა, მთელ საქართველოს უნდა. ამიტომაც ამიერიდან, რახან თქვენ ასე გსიამოვნებთ, აუცილებლად ბატონ სოსოს დაგიძახებთ. თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ მთელი თქვენი ცხოვრებით, მთელი თქვენი საქმიანობით. ყველაფრის გვირგვინი კი ის არჩევნები გამოდგა, რომელიც 31 ოქტომბერს ტყიბულში გაიმართა. თქვენ იქ გაიმარჯვეთ წმინდა ნოკაუტით, გაიმარჯვეთ თქვენი სინდისით, თქვენი კაცობით.

გზა — კაცურად განვლილი, გზა — კაცურად გასავლელი

ჩვენი პროფესიული მოვალეობის გამო ძალზე ხშირი ურთიერთობა გვაქვს პროკურატურასთან. ეხდებით ცალკეულ მუშაკებს, ვესწრებით კოლეგიებს, სხვა ღონისძიებებს. ბატონი სოსო ყველგან, ყოველთვისაა მოვლენების შუაგულში. არის როგორც პროკურორი — თანამდებობის პირი და არის როგორც კაცი — ჩვეულებრივი მოკვდავი. არასოდეს არსად არ უცდია საკითხის უთავბოლოდ გამწვავება, პირიქით, ბევრჯერ დაძაბული ვითარება განუმუხტავს, თბილი სიტყვა თბილი მანდილივით ჩაუგდია, დარბაზი დაუწყნარებია, ხალხი დაუმშვიდებია. არა ყალბი, დემაგოგიური სენტენციით, არამედ სადი ადამიანური მსჯელობით.

და ასეა 47 წელი. 47 წელი პროკურატურაში. ეს არაა კულტურის სამინისტრო, არც სპორტის დეპარტამენტი. სიმღერასაც პროფესიული ნიჭი სჭირდება და ფეხბურთისაც, მაგრამ რა ძალა, რა ცოდნა, რა თეორიული მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება სჭირდება უდიდეს, განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიებას, 15, ზოგჯერ 30-კაციანი ბანდის „კედელთან მიყენებას", არა იარაღით, მუქარით, არამედ პროფესიული უნარით, უტყუარი მტკიცებულობებით, — ეს ხელოვნებაა, შემოქმედებაა, ღვთისნიერი მირონცხებაა.

ამ 47 წლის მანძილზე სულ შვიდჯერ წასულა შვებულებაში. ერთი არ დაუწუწუნია, — გამიშვით, ცოტა ხანს დამასვენეთო. ღვთის მადლით, დღესაც კაჟივითაა, 1943 წელს რომ ფილტვების ანთება გადაუტანია, მას მერე ფრჩხილიც არ წამოსტკივნია. არავის უთქვამს, — ბატონო სოსო, აღარც ასაკი გიწყობს ხელს, აღარც ჯანმრთელობა, ადექი და წადიო. თავად განაცხადა, — სანამ დროა, სანამ სხვა მეტყვის, მე თვითონ წავალ. წავალ ვაჟკაცურადო! ეს ვაჟკაცობა კი არა, გმირობაა, საკუთარი ღირსების, საკუთარი თავმოყვარეობის უზარმაზარი გამოხატვაა. „ყიფი" — ტყუილად არ ნიშნავს ამაყს, ზვიადს.

ზოგიერთებმა ბატონ სოსოს მართლაც ამაყ, ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას სხვა კუდი გამოაბეს. იცით, რატომ? წინასაარჩევნოდ ტყიბულელებს დეპუტატობის კანდიდატი წარუდგინა თავად ქვეყნის პრეზიდენტმა. იქ მან თქვა, — სოსო ყიფიანს ძალიან ბევრი საქმე გამოუძიებია, მაგრამ არსად სინდისისთვის არ უღალატია, ციხეში უკანონოდ არავინ გაუშვია. მე მას ვიცნობ როგორც წესიერ, განათლებულ კაცს, როგორც იურისტთა პატრიარქსა და სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეულ პროფესიონალსო.

თან ღიმილით დაამატა, — მე მას შევპირდი, რომ თუ დეპუტატად არ აირჩევენ, უკან დავაბრუნებ თავის ადგილზე. ახლა თქვენ განსაჯეთ, — ვინც ხმას არ მისცემს, რა დღეში ჩავარდებაო.

აი, ამის შემდეგ ბატონი სოსოს მეტოქეებმა ხმა დააგდეს, — ჩვენ რას გავიმარჯვებთ, სოსო ყიფიანს ხელისუფლება ეხმარებაო. ამაზე ბატონი სოსო გაკვირვებით ამბობს, — ვითომდა რატომაც არაო? „აღორძინების" დეპუტატობის ბევრმა კანდიდატმა ბრძოლა იმიტომ წააგო, რომ ეს ხელისუფლება დაუფიქრებლად ლანძღა და თავის მესაფარებლად „სხვა ცენტრში" გაიქცაო.

ბატონ სოსოს ძალიან მოსწონს ერთი გამოთქმა: — „თუ ნავში ზიხარ, მენავეს ნუ ეჩხუბებიო". ეს ის მომენტია, როცა ამის მთქმელიც უნდა შეაქო და ამის გამზიარებელიც!

* * *

სულ ტყიბულის რაიონში არჩევნებში მონაწილეობდა 17.087 კაცი. აქედან სოსო ყიფიანს ხმა მისცა 9.167-მა, მის უახლოეს მეტოქეს, ვახტანგ რაზმაძეს კი — 1.711-მა. ყიფიანმა გაიმარჯვა უკლებლივ ყველა, 31-ვე უბანში. რაზმაძის მეუღლის სოფელშიც კი — საწირეში — ყიფიანს მხარი დაუჭირა 229 ამომრჩეველმა, ვახტანგ რაზმაძეს კი მხოლოდ 66-მა. მოვეშვათ მეუღლის სოფელსაც. პარლამენტის ახლანდელმა დეპუტატმა თენგიზ ჭიქაბერიძემ საკუთარ სოფელში — ორპირში — მიიღო 413, ს. ყიფიანმა კი — 431 ხმა.

ამის შემდეგ ბატონი ვახტანგი ამბობს, — არ მოვინდომე სერიოზულად, თორემ ყიფიანს აუცილებლად დავამარცხებდიო, იქ ხმები გააყალბეს, ურნებში მაგის მხარდამჭერი ბიულეტენები ჩაყარესო.

ჯერ ერთი, რას ჰქვია სერიოზულად არ მოვინდომეო? რა, დამარცხებას წინასწარ გრძნობდა თუ აბდუშაპილივით სალმის დამთავრებას ელოდებოდა? მეორეც, რაში სჭირდებოდა სოსო ყიფიანს ხმების გაყალბება, დამატებითი ბიულეტენების ჩაყრა?

პირიქით კი იყო. ტყიბულის რაიონში ძირითადმა მეტოქეებმა ფულიც ბევრი შეიტანეს და ხმების გასაყალბებლადაც ბევრი ირბინეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ხალხის გაჭირვებული მდგომარეობით სპეკულაცია, ფუჭი დაპირებებით ადამიანთა გადმობირება, პროვოკაციული ფურცლების გავრცელება, უფრო მეტიც, — მუქარა და დაშინება, — ხელისუფლებაში მოვალთ და „ყველას პასუხს ვაგებინებთო" — ბუმერანგივით უკან მიუტრიალდათ. და ახლა ჭიქა ცივ წყალს რომელსაც სოსო ყიფიანს სთავაზობდნენ წაგებულ გულზე, პირიქით, ყიფიანი უგზავნის დამარცხებულებს. მას არა სჩვევია ოპონენტების ლანძღვა-გინება, ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა. ნოკაუტი თავად ხალხმა დააფიქსირა.

ამომრჩეველთა ხმები სოსო ყიფიანმა „მოაგროვა" არა ერთ დღეში, 31 ოქტომბერს, არამედ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. რაიონში გზები გააკეთა, ხიდები ააშენა (ერთს „სოსოს ხიდი" ჰქვია), სამკურნალო კურორტი გახსნა, ჩაის ფაბრიკა აამუშავა: მას უმადლიან წყალსადენის, ავტოსადგურის, ავტოდრომის, საავადმყოფოს, სკოლის აგებას თუ გარემონტებას, საერთოდ, გადარჩენას. მან 25 წლის მანძილზე აგროვა ქსოვილი საპროკურორო ფორმისათვის, მერე ჩაიტანა და ტყიბულში ამ ქსოვილით ბავშვებს სასკოლო ფორმები შეუკერა.

ამგვარ სიკეთეთა გამო ჯერ კიდევ 1990 წელს ბატონი სოსო აირჩიეს საქველმოქმედო საზოგადოება „ოკრიბას" პრეზიდენტად, ცოტა ხნის შემდეგ კი — საფეხბურთო კლუბ „მეშახტის" პრეზიდენტად. ტყიბულის საპატიო მოქალაქედ. აი, ეს იყო გარანტი სოსო ყიფიანის გამარჯვებისა და მიზეზი მისი მეტოქის დამარცხებისა.

* * *

ჯუმბერ გაბელაშვილი, საპატიო მეშახტე: — რევაზ ყიფიანი ოკრიბელი კაცია. მას ერთი დღითაც არ გაუწყვეტია კავშირი თავის მშობლიურ ქალაქთან, თავის მშობლიურ სოფელთან. ბატონი რევაზი თბილისში მოღვაწეობს დიდი ხანია, მაგრამ ყოველთვის სიამაყით ამბობს, — ტყიბულელი, ოკრიბელი კაცი ვარო. იცის, რა სტკივა ქალაქს, სოფელს, ამიტომაც მათთვის ბევრ რამეს აკეთებს.

ჯამლეთ ბაბილაშვილი, საქართველოს გენერალური პროკურორი: — ბატონი რევაზ ყიფიანი მეტად მრავალმხრივი და კოლორიტული ფიგურაა. სულ სხვა მხრივ წარმოგვიდგება იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, შესანიშნავი მეოჯახე, თავისი ქვეყნის უბადლო პატრიოტი, ახალგაზრდა პრაქტიკოს იურისტთა აღმზრდელი. მან ღირსეულად განვლო ურთულესი გზა რიგითი გამომძიებლიდან ქვეყნის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილემდე.

ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პრეზიდენტი: — თქვენი შრომითი ბიოგრაფია ღირსეული მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი სამშობლოსა და ხალხს. როგორც ჭეშმარიტი მოქალაქე თქვენი საქმიანობით ამკვიდრებთ მაღალ ზნეობას, შრომისმოყვარეობას, ერთგულებას საზოგადოებისა და დაკისრებული მოვალეობისადმი.

ამ შეფასებების შემდეგ გამგებისთვის ყველაფერი გასაგები უნდა ყოფილიყო, მაგრამ სოსო ყიფიანის ოპონენტები; ბეჭებზე გაკვრის შემდეგაც არ გაჩერდნენ, მეტოქეს წონითი კატეგორია დაუწუნეს, არჩევნების მოგება კი არა, კონკურენტობაც დიდ პატივად ჩაუთვალეს. მერედა ვის? სოხუმში, — „მსოფლიოს კულტურის ცენტრში" დაბადებულ კაცს (ეს ბატონ სოსოს საყვარელი ხუმრობაა).

ჩვენ ხელთა გვაქვს სია იმ გამოჩენილი პიროვნებებისა, რომელთაც თავის დროზე დაამთავრეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. აქ არიან აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, შალვა დამბაშიძე, აკაკი ხორავა. ყველას ვერ ჩამოვთვლით. ეს გიმნაზია დაამთავრა ბატონმა სოსომაც. ისეთი ოჯახის, ისეთი ლედმამიშვილების პატრონს, როგორიც სოსო ყიფიანია, არ შეიძლებოდა მათი სიკეთის მადლი არა სცხებოდა და ცხოვრებაში დიდი მამულიშვილის სახელი არ დაემკვიდრებინა.

რაც უნდა ის თქვან, ბატონი სოსო ამდენ ხანს არ გაბოროტებულა და არც ამის შემდეგ გაბოროტდება. ასე სულნამცეცა, გულწიწაკა კაცი რომ იყოს, მასზე არც კინოს გადაიღებდნენ და არც წიგნს დაწერდნენ. ჯერჯერობით ისევ თავის კაბინეტში ზის. შედით იქ, ნახეთ მისი ფოტოები, წერილები, მოგონებები, ვიდეოკასეტები, სხვა დოკუმენტური მასალები და გაიგებთ უმალ, — თუ ვინ არის სოსო ყიფიანი.

* * *

ახლა კი, — გზას გილოცავთ, ბატონო სოსო!

ნუ დაგწყდებათ გული პროკურატურის მაღალ სკამისა და გრძელ კაბინეტზე. ხალხის ნდობა, ხალხის მოფერება ყოველგვარ სკამზეც მაღალია და ყოველგვარ კაბინეტზეც გრძელია. მონომახის ქუდს თქვენ პროკურატურაშიც კაცურად ატარებდით და, იმედია, პარლამენტშიც ასევე კაცურად ატარებთ.

და ბოლოს. იმ კითხვას, თუ ვინ ვის უფრო სჭირდება — ყიფიანს პარლამენტი თუ პარლამენტს ყიფიანი, ჩვენ ასე ვუპასუხებთ: — თქვენისთანა იურისტი პარლამენტს ჰაერივით სჭირდება, კარგი პარლამენტი კი მთელ საქართველოს ასევე ჰაერივით წაადგება.

აქ საკამათო და საჭოჭმანო აღარაფერია!

გასარკვევია პიროვნება, ვინც თქვენს ადგილს დაიკავებს. პრესა უკვე კანდიდატურებს არჩევს.

ჩვენ ერთ სურვილს გამოვთქვამთ მხოლოდ. — მაგ თქვენს გრძელ კაბინეტში ისეთი კაცი შემოსულიყოს და მაგ მაღალ სკამზეც ისეთი კაცი დამჯდარიყოს, რომელიც სახელს არ შეარცხვენს არც თავისას და არც თქვენსას!

ალეკო ასლანიშვილი,
გონდო გულიაშვილი.

10 ნოემბერი პოლიციის დღეა

(პირველი გვერდიდან)

„საქართველოს პოლიციამ როგორც ორგანიზებული ბანდები დაამარცხა, ისე დაამარცხებს თითოეულ კორუმპირებულს. ინფორმაციას: სად, რომელ სისტემაში რა ხდება — საკმარისად ვფლობ და იგი პირადად მე შევისწავლე! — ამას მოგვიანებით, მაგრამ ზუსტად ასე იტყვის შინაგან საქმეთა მინისტრი ჩემთან საუბარში და იმისაც ახსნის, თუ რა აძლევს ასეთი კატეგორიული განცხადების უფლებას. სხვა ბევრ რამეზეც ისაუბრებს, მაგრამ მანამდე იგი ყველა პოლიციელს, მათი ოჯახის წევრებს, პოლიციის ვეტერანებს, ყველას, ვისი საქმიანობაც ასე თუ ისე პოლიციასთან არის დაკავშირებული გულითადად ულოცავს პროფესიულ დღესასწაულს და ყოველგვარ სიკეთეს უსურვებს მათ. ძალიან ბევრი კარგისა და კეთილის ღირსი არიანო, ამბობს საქართველოს პოლიციის ხელმძღვანელი და თავს ბედნიერად მიიჩნევს იმის გამო, რომ იგი ამ უწყების სათავეში იდგა მაშინ, როდესაც თავის ქვეყანასა და ხალხს ყველაზე მეტად უჭირდა.

განვლილ პერიოდში არსებული უამრავი პრობლემის მიუხედავად (დაწყებული მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და დამთავრებული თვეობით გაუცემელი ხელფასებით, პენსიებითა თუ ზოგიერთი მოუგვარებელი ელემენტარული სამუშაო პირობით) საქართველოს პოლიციამ მაინც შეძლო ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამყარებისთვის დაეჭირა მხარი, გვერდში დადგომოდა საქართველოს პრეზიდენტს, ხელისუფლებას, რათა ქვეყანას განვითარების იმ გზით ევლო, რომლითაც რეალურად მიდის და ვითარდება.

ვფიქრობ, საქართველოს პოლიციამ იმის მაგალითი მისცა საზოგადოებას, გაჭირვებისა და სირთულეების მიუხედავად, თუ როგორ უნდა იბრძოლო იმისათვის, რომ ქვეყანა გამოიყვანო მდგომარეობიდან. ეს რეალობაა და მათ ამისათვის მადლობა არ ეუთხრა, უმადურობა იქნება.

ის, რომ საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულ ვითარებაში შედგა, იყო სიმშვიდე, მართალია, პატარ-პატარა შეხლა-შემოხლა და უსიამოვნება მაინც არ აგვცდა, მაგრამ სერიოზული სამართალდარღვევა არ ყოფილა, უდავოდ, პოლიციის დამსახურებაა. დღეს რომ ქვეყანაში სტაბილურობა და სიმშვიდეა, ესეც ხომ პოლიციის ძალისხმევის შედეგია? ხვალ და ზეგაც რომ უფრო მეტი უსაფრთხოება იქნება, ამაშიც ისევ ჩემი კოლეგების შემართება და ერთგულება მარწმუნებს. ისიც მეამაყება, რომ ყველაფერ ამაში ჩემი, როგორც ხელმძღვანელის, გარკვეული წილი ძევს.

მადლობა მათ კიდევ იმისათვის, რომ ხვალინდელი დღის რწმენა არ დაკარგეს!

ემოციური კაცია კახა თარგამაძე. ემოციური და გულიანი ნათქვამი იყო ისიც, რაც ზემოთ ითქვა. სჯერა და მთელი გულით სურს დააჯეროს სისტემის მთელი შემადგენლობა, თანამემამულეები, რომ ერთიანი ძალისხმევით ქვეყანა, მართლაც, დამშვიდდება, ეკონომიკა აღორძინდება და წელშიც გავიმართებით, მაგრამ ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნუ ვიფიქრებთ, რომ ამ ნატგრ პირობებში ერთ ან

იწყება უშეღავათო ბრძოლა თეთრსაყელოიან რეკეტიორებთან

ორ დღეში ამოვწინდებით, ამას დრო სჭირდება. უწინარეს ყოვლისა, კი — სტაბილურობა.

— რა არის ამ უწყების სტრატეგიული მიმართულება?

— კორუფციასთან ბრძოლა, დღეს ამ სენთან წარმატებული ბრძოლა შესაძლებელია. რადგან ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობაა. არასტაბილურ ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლა აბსურდია.

გახსოვთ, რა გარანტიებს გვაძლევდნენ ჩვენი ბიზნესმენები? ოღონდ სიმშვიდე იყოს, ნუ იქნება რეკეტი და... საქართველოს აყვავება-აყვავებითო?... მერე?

დღეს საქართველოში არ არსებობს ორგანიზებული რეკეტი (ესთ თითქმის ყველა ქვეყანაში დღემდე ვერ მოსპეს), სამაგიეროდ არსებობს სახელმწიფო რეკეტი და შინაგან საქმეთა სამინისტროც უშეღავათო ბრძოლას იწყებს თეთრსაყელოიან რეკეტიორებთან. როგორც დავამარცხეთ ორგანიზებული ბანდები, ისევე დავამარცხებთ ყველა კორუმპირებულ სინდიკატს. ინფორმაციას, სად, რომელ სისტემაში რა ხდება — ვფლობ. პირადად მე შევისწავლე. ზედმიწევნით ვიცი, რომელ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურაში რა ვითარებაა. ახლა ამ მასალებს ვამუშავებთ, უმოკლეს დროში მოვრჩებით და საქმეების რეალიზაციასაც შევუდგებით.

— დასჯის მეთოდით იმუშავებთ?

— არა, ორი მიმართულება იქნება. პირველი: სახელმწიფოს ჩვენგან ექნება რეკომენდაცია, თუ რა უნდა გააკეთოს და რა სამართლებრივი ბაზა უნდა შექმნას, რათა ამა თუ იმ სახელმწიფო სტრუქტურაში კორუფციის საშუალებანი მაქსიმალურად შეიზღუდოს და მეორე: ექნება კონკრეტული ინფორმაციები ნებისმიერი რანგის კორუმპირებულ თანამდებობის პირზე, რეკომენდაცია, თუ რომელი რატომ უნდა მოსცილდეს ამა თუ იმ თანამდებობას. ეს იქნება გარკვეული პროფილაქტიკა. ამის შემდეგი ნაბიჯი კი — კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება დამნაშავეთა დასაკავებლად და დასაპატიმრებლად.

— რა აძლევს ასეთი კატეგორიული განცხადების უფლებას შინაგან საქმეთა მინისტრს?

— ის, რომ იგი თითქმის ერთი წლის განმავლობაში თვითონ სწავლობდა, აგროვებდა და აანალიზებდა ყველაფერს.

— [illegible] გადალახვას შეძლებთ? არავის ვალი არ გაქვთ?

— ვალი? არავისი არ მაქვს. დამნაშავეთა სამყაროს ლიდერების ვალი არ მქონია და ხელისუფალთა [illegible] ლებლად შევებრძოლე კი[illegible] ლეც, არც კორუმპირებულებისა მმართებს რამე. კაცურად ყველასთან მართალი ვარ, რადგან ყველა გავაფრთხილე, ვანიშნე, ხმამაღლაც არაერთგზის ვთქვი: ვინც ქვეყანა დაანგრია და შეჭამა, არ ვაპატიებ-მეთქი, მაგრამ...

საქართველოს პრეზიდენტმა უშუალოდ გააფრთხილა მოგზა-მოგზები. როდემდე? რამდენჯერ?

იმისათვის, რომ ქვეყანა კრიმინალთა თარეშისა და ქაოსიდან გამოსულიყო, დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებთან შეტაკებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიდასამდე თანამშრომელი დაიღუპა. დღევანდელ სტაბილურობაში პოლიციელთა სისხლს არანაკლები წვლილი მიუძღვის და ახლა ვიღაცას უნდა ამ ქვეყნის კეთილდღეობა ჯიბეში ჩაიდოს?

არ გამოუვათ!

— ვისი იმედი აქვს კახა თარგამაძეს?

— უწინარეს ყოვლისა, საკუთარი პროფესიონალიზმის, იგი, როგორც იურისტი, პროფილით ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტი და ამ მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილების მქონეა. კიდევ, დიდი გრადაციების მქონე სამინისტროს ორგანიზებული ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის (ყოფილი ობეხეესი) იმედი აქვს.

საქართველოს (სსრ კავშირის მასშტაბით) ამ პროფილით ყოველთვის ძლიერი დანაყოფი ჰყავდა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ გაუქმდა. პროფესიონალთა მთელი თაობა სხვა სფეროში წავიდა სამუშაოდ. შემდეგ ეს დანაყოფი დღევანდელი სახით აღდგა და დღის წესრიგში დადგა ახალი თაობის აღზრდა. ეს იოლი საქმე არ არის და არც მოკლე დროში ხერხდება. ამ ხაზით რომ ოპერატიული მუშაკი პროფესიონალად გაზარდო, მინიმუმ შვიდი-რვა წელიწადი მაინც არის საჭირო, ამ პერიოდში კი ოპერატიული მუშაკი ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ საფუძვლიანად იცოდეს ეკონომიკა, ერკვეოდეს ფინანსებსა და ბუღალტერიაში, აბსოლუტურად ფლობდეს ოპერატიული მუშაობის ყველა ხერხს. გარდა ამისა, ამ სამსახურს უძლიერესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სჭირდება.

შვიდი, რვა წლის მოცდის დრო ჩვენ არ გვქონდა. საგანგებო პროგრამა შევიმუშავე, შევცვალე ამ სამსახურის მთლიანი შემადგენლობა (ძველი თანამშრომელი რამდენიმეა, ძირითადად, ახალგაზრდები არიან) და თითქმის ნულიდან დავიწყეთ. დღეს ამ დანაყოფს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ჰქვია. და ერთ-ერთი ძლიერი სამსახურია ჩვენს უწყებაში. შარშან და წელს მათ სერიოზული ორგანიზებული კორუფციული დანაშაულობები გამოავლინეს, ძალიან შეწიდ[illegible] ძალიან ძლიერი ჯგუფები იყო, მაგრამ გამოვავლინეთ.

წლეულს ათ თვეში ეკონომიკური დანაშაულის ხაზით გამოვლენილია: 1100 დანაშაული, აქედან მექრთამეობის 37 ფაქტი, კონტრაბანდის — 62, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გატაცების — 235, საბიუჯეტო შემოსავლების დამალვის — 63, ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება-გასაღების — 41 ფაქტი და სხვა.

— თუ საქართველოში ორგანიზებულ-ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთი ძლიერი და მობილური სამსახური გვაქვს, მაშინ რაღა საჭიროა ახალი სტრუქტურის, როგორც პირობითად უწოდებენ, ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა?

— მე, ქვეყნის სასიკეთოდ შექმნილ, ნებისმიერ სამსახურს მივესალმები, მაგრამ მერწმუნეთ, იგი ზემოთნახსენები სამსახურის დონეზე ვერ იმუშავებს. ჩვენ შეგვიძლებთ ათჯერ მეტის გაკეთებას, ვიდრე ნებისმიერი სხვა სამსახური, რადგან ჩვენ გვაქვს ტრადიცია, ცოდნა, პროფესიონალიზმი და ვერც ერთი სტრუქტურა ვერ შექმნის ისეთ ოპერატიულ სამსახურს, როგორიც ჩვენ გვაქვს, ამას საზოგადოება სულ მალე დაინახავს.

არავის არაფერი შერჩება და ეპატიება, — ასეა დღეს შემართული შინაგან საქმეთა მინისტრი, დალოდების მეტი რაღა დაგვრჩენია. მით უფრო, როდესაც გარდატეხის დასაწყებად საქართველოს პრეზიდენტი ყველა უწყებას ერთი თვის ვადას აძლევს. გარდატეხას კი, შინაგან საქმეთა მინისტრი ახლახან სასამართლო რეფორმაგადატანილ ზოგიერთ მოსამართლეთა მუშაობაშიც აუცილებლობად მიიჩნევს. ჩვენს მიერ რისკისა და ხიფათის ფასად დაკავებულ სამიშ ბოროტმოქმედებს ისე ჰაი-ჰარად უცვლიან აღმკვეთ ღონისძიებას და ათავისუფლებენ, თითქოს „მამა აბრამის ბატკნები“ იყვნენ, არადა, რამდენმა ასეთმა გათავისუფლებულმა უკვე განმეორებით იყაჩაღა და კაციც მოკლა. ასეც რომ არ მოხდეს, გამოძიების ინტერესების გაუთვალისწინებლად მკვლელის თუ ყაჩაღის გათავისუფლება (თავი რომ დავანებოთ ოპერატიული მუშაკის წყალში გადაყრილ გარჯას), პერსპექტივას უკარგავს დანაშაულის გახსნასა და გამოძიებას. აქაც უშეღავათო ვიქნებით, — აცხადებს კახა თარგამაძე და იმ მოსამართლეთა მხილებასაც გვპირდება, რომლებიც მითქმა-მოთქმის საბაბს იძლევიან და სასამართლო რეფორმას სახელს უტეხენ.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

საიუბილეოდ

შვიდ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სასწავლებელი მომავალ სამართალდამცავებს და ღირსეულ მოქალაქეებს უზრდის ქვეყანას. რთული იყო განვლილი წლები, მაგრამ მაინც შედეგიანი გამოდგა „მუშურ-გლეხური“ მილიციის კურსებიდან უმაღლეს სასწავლებლამდე განვლილი გზა, რომლის ბოლო საფეხური სწორედ დღევანდელი შსს აკადემიის ჩამოყალიბების პროცესი იყო.

შსს აკადემიამ თავის მრავალრიცხოვან კოლექტივთან ერთად მიზნად დაისახა სრულიად ახალი მრწამსისა და აზროვნების პროფესიონალთა აღზრდა, რომელთა მთავარი კრიტერიუმები იქნება ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი, ერისა და ქვეყნის ერთგულება, კანონიერების სადარაჯოზე დგომა.

წლევანდელი წელიწადი ამ სასწავლებლის საიუბილეო წელიწადია, როგორ მოსჩანს წლების გადასახედიდან მილიციის კურსებიდან შს სამინისტროს აკადემიამდე განვლილი გზა, რას წარმოადგენს აკადემია, როგორია მისი სტრუქტურა, დღევანდელობა და პერსპექტივა? სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება შსს აკადემიის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მოთა ბორბოძე, რომელიც აკადემიას დაარსების პირველივე დღიდან ხელმძღვანელობს.

მილიციის კურსებიდან — აკადემიის სტრუქტურამდე

— მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში არსებობდა შინსახკომის ე. წ. სამილიციო სკოლები, მოკლევადიანი კურსები, რომლებიც მილიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურებოდნენ. რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წლის მაისში მიიღო დადგენილება ჩვენი აკადემიის წინამორბედის — თბილისის მილიციის ორწლიანი სკოლის გახსნის შესახებ და მას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშათა და გლეხთა მილიციის თბილისის საშუალო სპეციალური სკოლა ეწოდა, იმავე წელს სკოლაში 160 მსმენელი ჩაირიცხა. აქ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ იმ დროისათვის ცნობილი პიროვნებები, პროფესორი გიორგი მათიაშვილი, ბორის ფურცხვანიძე, მიხეილ ცერცვაძე, ვლადიმერ ესაიაშვილი, იოსებ შარაშენიძე, სიმონ ჩხენკელი და სხვები.

სკოლა 1978 წელს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტად გადაკეთდა, 1989 წელს კი ფილიალი მოსკოვის მილიციის უმაღლეს სკოლას გამოეყო და დამოუკიდებელი გახდა, ხოლო 1994 წლიდან მას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ეწოდა.

აკადემიის წინამორბედ სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ პროფესიონალიზმითა და საქმისადმი ერთგულებით გამორჩეული ადამიანები: ა. ურუშაძე, ნ. მანჯგალაძე, ს. სანადირაძე, გ. თოდრია, გ. სოლორაშვილი, ო. ქოჩლაძე, ჯ. მიქელაძე, გ. კვანტალიანი და სხვები.

მილიციის უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფილი იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო-საბრძოლო და სხვა ტექნიკით, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის ბრძანებულების საფუძველზე მოხდა რესპუბლიკის საინფორმაციო-საძიებო სკოლისა (დღევანდელი უშიშროების სამინისტროს აკადემია) და იმჟამინდელი მილიციის უმაღლესი სკოლის გაერთიანება, რომელმაც ძალზედ არასახარბიელო შედეგები მოგვცა. მილიციის სკოლის ტერიტორიაზე შემოიყვანეს სპეცდანიშნულების რაზმები და სხვადასხვა სამხედრო ფორმირებები. მილიანად განადგურდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაიტაცეს სასწავლო და საბრძოლო ტექნიკა. წარმოიდგინეთ, რომ სკოლაში დაბრუნებისას შენობაში არც ერთი ფანჯრის ჩარჩოც კი აღარ დაგვხვდა მთელი. მხოლოდ რესპუბლიკისა და შსს ხელმძღვანელობის დახმარებით ნაწილობრივ აღდგა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოეწყო სასწავლო კაბინეტები.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც კაცურად გაიზიარეს და გაითავისეს კოლექტივის ყველა სატკივარი და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა თავიანთი წვლილი შეეტანათ აკადემიის აღორძინებისათვის გაწეულ შრომაში, — ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, არქიტექტორი საურმაგ ლამბაშიძე, მხატვარი ოთარ მგელაძე, რომელთა დახმარებითაც აკადემიის ტერიტორიაზე აღიმართა ბრძოლებში დაღუპული თანამშრომლებისა და კურსანტების სულის მოსახსენიებელი მემორიალი, გაივლის წლები, თაობები ერთმანეთს შეენაცვლებიან და თითოეული მათგანი მწუხარებით, მაგრამ მოწიწებით პატივს მიაგებს საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულ გმირებს: მირიან თეთრაძეს, ვახტანგ კვესიტაძეს, ბადრი გერაძეს, ზაქრო ვეშაპურს, ლევან ცისკარიშვილს, ნუგზარ მარშანიშვილს, ერნესტ კუკსას, სერგო დავიდოვს, გელა თუთარაშვილს, ბაჩუკი კოკაიას, ანდრია ჭანტურიძეს, გოგიტა კიკნაძეს, გელა ბელქანიას, ალექსანდრე დათებაშვილს, ვლადიმერ ლობჟანიძეს, სპარტაკ მიდოდაშვილს, თემურ ღათაშვილს, ლემენტ წულუკიანს, ფრიდონ ტყემელაშვილს, იმედა ჩრემაძეს, ვალერი ნანიკაშვილს, ხვიჩა ლიპარტელიანს.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგანგებო დადგენილებით გადაწყვეტილია, რომ ჩვენმა სასწავლებელმა თვითონ მოამზადოს რესპუბლიკისათვის საჭირო კადრები. ამ მიზნით აკადემიაში გაერთიანდა მეხანძრეთა საშუალო სპეციალური სასწავლებელი, რომელიც მანამდე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დარგის ინჟინრებს ამზადებდა. სასწავლებლის ბაზაზე აკადემიაში გაიხსნა საგზაო მოძრაობისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სპეციალობები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შს ორგანოებისათვის კადრების და, განსაკუთრებით, რიგოსან პოლიციელთა მომზადების საკითხს. აკადემიასთან არსებულმა სასწავლო ცენტრმა შეიცვალა პროფილი და რიგითებისა და უმცროს მეთაურთა სასწავლებლად გადაკეთდა. აქ მომზადებას გადიან ახალგაზრდები და საშუალო სკოლადამთავრებული ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების სხვადასხვა დანაყოფიდან მოვლინებული თანამშრომლები.

გამოინახა საშუალებები, რის შედეგადაც კაპიტალურად შეკეთდა სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი, მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან ფორმის განსაცმლითა და კვებით; სასწავლებლის მთელი კოლექტივი ყოველმხრივ გრძნობს შს სამინისტროს ხელმძღვანელობის თანადგომას.

ქალაქ ბათუმში გაიხსნა საქართველოს შს სამინისტროს აკადემიის ფაკულტეტი. შსს აკადემიაში სასწავლო-სამეცნიერო პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს გარდაქმნები. სასწავლო პროცესში ჩაერთო ევროსაბჭოს მიერ რეკომენდებული საკითხი ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ. პოლიციელები წარმატებით ეუფლებიან დაზარალებულისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ადგილზე აღმოჩენის აუცილებელ ცოდნას, რომელიც გერმანიის პოლიციის აკადემიის პროგრამის მიხედვით დაინერგა. განმტკიცდა დისციპლინა, განახლდა სასწავლო გეგმები და პროგრამები, მოდერნიზაცია განიცადა მისაღებმა და გამოსაშვებმა (სახელმწიფო) გამოცდებმა. გამოსაშვები (სახელმწიფო) გამოცდები ოთხი საგნიდან ჩამოყვანილია ორამდე. მისაღებ გამოცდებზე კი ტესტური მეთოდი დაინერგა.

აკადემიაში ყოველწლიურად ტარდება როგორც პედაგოგთა, ისე კურსანტთა კონფერენციები, იბეჭდება თეზისები და შრომათა კრებულები. დაინერგა გაერთიანებული საკადემიო სემინარის ტრადიცია, რომელსაც ესწრებიან სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებიც. თითქმის ყველა პედაგოგი მონაწილეობს სამეცნიერო თემების დამუშავებაში. სასწავლებელში გვყავს ადიუნქტები, მაძიებლები, როგორც საკანდიდატო ისე სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად.

ახლახან ჩვენი აკადემიის სამართალმცოდნეობის სპეციალობის მესამე კურსის კურსანტი გოჩა ოჩიგავა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მიღწეული წარმატებისათვის და აკადემიის კურსანტთა სამეცნიერო პოტენციალის ღირსეულად წარმოჩენისათვის, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელობის სტიპენდიატი გახდა.

სასწავლო პროცესის გარდა, შსს აკადემიაში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტს. შარშან ჩვენი ფეხბურთელთა გუნდი მეორე ჯგუფის ჩემპიონატს ლიდერობდა და სულ რამდენიმე ნაბიჯიღა დააკლდა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად. აკადემიის სამბისტებმა მოიგეს მსოფლიო პირველობა სტუდენტთა შორის, ხოლო პოლიციელთა მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს. ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში გვყავს მსოფლიოს ხუთი ჩემპიონი და ათი პრიზიორი.

აკადემიაში ჩაბარების მსურველი მისაღებ გამოცდებზე დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ რაიონული პოლიციის ხელმძღვანელობის და შს კადრების მთავარი სამმართველოს რეკომენდაციით. ამ პრინციპით აბიტურიენტი, აკადემიის დამთავრების შემდეგ, უზრუნველყოფილია სამსახურით იმ ინსტანციაში, რომელმაც გასცა რეკომენდაცია. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ გაიზარდა აკადემიის დასწრებულ განყოფილებაზე სწავლის მსურველ გოგონათა რიცხვი. წლეულს უკვე მესამედ, აკადემიაში მივიღეთ 17-დან 25 წლამდე ასაკის გოგონები.

მართლაც, ბოლო პერიოდში შსს აკადემიაში ბევრი საინტერესო რამ დაინერგა: დღეისათვის შსს აკადემიას პროფესიული და საქმიანი ურთიერთობები აქვს დამყარებული საზღვარგარეთის ანალოგიური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან. ამ კონტაქტების შედეგად, თურქეთის ქალაქ ანკარის პოლიციის აკადემიაში სწავლობს საქართველოდან წარგზავნილი 90 კურსანტი, ხოლო წელს უშუალოდ საქართველოსა და უკრაინის მთავრობებისა და შს სამინისტროების ხელმძღვანელობის შეთანხმების საფუძველზე 15 ქართველი კურსანტი ექსპერტ-კრიმინალისტის სპეციალობის დასაუფლებლად გაემგზავრა უკრაინის შსს ეროვნულ აკადემიაში სასწავლებლად. უახლოეს მომავალში საქმიანი კონტაქტები დამყარდება საზღვარგარეთის ანალოგიური პროფილის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, რომელიც თავისი არსებობის განმავლობაში დაამთავრა 3603 ოფიცერმა (1724-მა დასწრებული, ხოლო 1872 — დაუსწრებელი განყოფილება), ამაყობს ბევრი კურსდამთავრებულით, რომლებიც დღეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე არიან და მაღალი პროფესიონალიზმით უნარიანად უძღვებიან საქმეს: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი თეიმურაზ მურღულია, აჭარის შსს ყოფილი მინისტრი ჯუმბერ ტაკიძე, შსს ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის პოლკოვნიკი შაქრო წინწკალაძე, შსს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის დეპარტამენტის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი მალხაზ ბაძაღუა, შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სისაური, შსს სისხლის სამართლის სამძებროსა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლიციის პოლკოვნიკი დავით კეკუა, შსს კახეთის რეგიონული მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი თამაზ თამაზაშვილი, შსს შიდა ქართლის რეგიონული მთავარი სამმართველოს უფროსი ნოდარ დალაქიშვილი, შსს კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი უშანგი მეგრელაძე და სხვები.

აკადემიაში მოდის ღირსეული ცვლა, მომავლის ახალგაზრდები, რომლებიც მორალურად და ზნეობრივად სრულყოფილნი, პროფესიონალებად ჩამოყალიბებულნი მოემსახურებიან საკუთარ პროფესიასა და სახელმწიფოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შსს აკადემიისათვის წლევანდელი წელიწადი საიუბილეოა. 10 ნოემბერი — პოლიციის დღე კი ჩემი რესპონდენტის შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკის, აკადემიის ამჟამინდელი ხელმძღვანელის გენერალ-ლეიტენანტ მოთა ბორბოძის დაბადების დღეა და იმ მიღწევებში, რომლებზეც იგი გვესაუბრა, კოლეგებთან ერთად, ლომის წილი მასაც მიუძღვის.

შინაგან საქმეთა აკადემიის პირადი შემადგენლობა, კოლეგები, კურსანტები და აკადემიის პრესცენტრი გულითადად ულოცავენ ღირსეულ ხელმძღვანელს დაბადების დღეს. დღეგრძელობასა და სიხარულს უსურვებენ მრავალჟამიერ!

ბორის ძნელაძე,
შსს აკადემიის პრესცენტრის უფროსი.

პროფესიონალები

ნდობით გაათმაგებული პასუხისმგებლობა

ვიდრე ამირან ბერიკაშვილი პოლიციის პოლკოვნიკის სამხრეებს მოირგებდა და თბილისის დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი გახდებოდა, დიდი გზა განვლო. 1966 წელს დაამთავრა თბილისის 112-ე საშუალო სკოლა. 1971 წელს პოლიციელის სამხრეებით სახელმწიფო ობიექტებსა და დაწესებულებებს იცავს. 1974 წელს ამთავრებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სკოლის დაუსწრებელ ფაკულტეტს და როგორც უნარიან და ღირსეულ ახალგაზრდას, ჯერ ჩუღურეთის რაიონის შს განყოფილების საპატრულო საგუშაგოს სამსახურის ოცეულის მეთაურად ნიშნავენ, შემდეგ ამავე სამსახურის უფროსად. იყო ამავე რაიონის საკუთრების პოლიციის დაცვის უფროსი.

ამირან ბერიკაშვილს, გარკვეულ წლებში, დაუმსახურებლად პოლიციიდან წასვლაც მოუხდა, მაგრამ 1991 წელს იგი აღადგინეს და ინიშნება ოპერრწმუნებულად შს სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში. 1992 წლიდან სიღნაღის რაიონის შს განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი იყო. ერთი წელიწადი გურჯაანის რაიონის შს განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსადაც იმუშავა. 1995 წლის ივლისში კი ქ. რუსთავის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ დაინიშნა. შემდეგ უფროსად, ამავე სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსად. 1997 წლის ივლისში გადმოდის ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსად, შემდეგ ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე, 1998 წლის 5 მაისიდან — დიდუბის რაიონის შს სამმართველოს უფროსია. ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი.

რთულია ის უბანი, რომელსაც ამირან ბერიკაშვილი დღეს ემსახურება. რაიონის ტერიტორიაზეა ე.წ. „ლუზერტირების ბაზარი“ და რამდენიმე ბაზრობა, სადაც ხშირია გაუგებრობები თუ უკმაყოფილება. ასეთ სიტუაციაში, ცხადია, ძალზე ძნელია პოლიციის მუშაკსა და მის მოადგილეებს უმტკივნეულოდ შეასრულონ მოვალეობა და ერთნაირად მოსაწონი იყვნენ მყიდველ-მოვაჭრეთა თვალში. თუნდაც იმ აჯარებელი მძღოლის თვალში, რომლებიც ჯიუტად ხერგავენ ხოლმე სავალ გზებს. მაწანწალა-მათხოვრებსა თუ ქურდ-ბაცაცებს ვინდა მოთვლის, მომრავლდნენ არასრულწლოვანი დამნაშავეებიც. სწორედ მათ შორის იძალა დანაშაულმა. ზედამხედველობას მოკლებულ ბავშვებს დანაშაულში წლოვანი დამნაშავეები ითრევენ... ამირან ბერიკაშვილის ძალისხმევაც სწორედ ამ ყველაზე სუსტი რგოლისკენ არის მიმართული. მთავარი სამმართველოს თითქმის ყოველ ოპერატიულ თათბირზე იხსენება საგანგებო ღონისძიებები. როგორც ბატონი ამირანის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, რაიონი გამოირჩევა წესრიგითა და დისციპლინით. კანონის მორჩილი უფროსი მაგალითს აძლევს თანამშრომლებს და ისინიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ უნარიანად გაუძღვნენ საქმეს. — რა თქმა უნდა, საზოგადოების განვითარებასთან ერთად კანონი ყოველთვის მოითხოვს გარკვეულ სრულყოფასა და დახვეწას, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი და გადამწყვეტი მაინც კანონის შესრულებაა, კანონის წინაშე ყველა ერთნაირად უნდა აგებდეს პასუხს და ყველა თანასწორი უნდა იყოს — რაიონი დაზღვეული არაა კრიმინოგენული შემთხვევებისაგან, მაგრამ მთლიანობაში უნდა ჩავთვალოთ, რომ დიდუბის რაიონში სტაბილური მდგომარეობაა, — აცხადებს დიდუბის რაიონის შს სამმართველოს უფროსი ამირან ბერიკაშვილი, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქალაქის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ მისდამი გამოცხადებულ ნდობას.

— მიუხედავად არსებული მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური სირთულისა, დიდუბის რაიონი კონტროლს ექვემდებარება, კრიმინოგენული ვითარება სტაბილურია. პოლიციის პირადი შემადგენლობა მობილიზებულია და ყოველნაირად ცდილობს დანაშაულის აღკვეთა-აცილებას. მომხდარი დანაშაულის დროზე გახსნას, — ამბობს სამმართველოს უფროსი. თუმცა არც იმას მალავს, რომ შარშანდელთან შედარებით რაიონის ტერიტორიაზე გაიზარდა რეგისტრირებული დანაშაული, რაც, ძირითადად, განპირობებულია გამოვლინებითი დანაშაულის აღრიცხვით: ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, თაღლითობა...

— დანაშაულის გახსნის პროცენტი შარშანდელთან შედარებით მაღალია. სექტემბერში გაიხსნა ისეთი მძიმე დანაშაულობები, როგორიცაა მკვლელობა, ტრანსპორტის გატაცება და სხვა, მათ შორის ორი სხვა რაიონის (ისნისა და გლდანის) ტერიტორიაზე იყო რეგისტრირებული. შარშან გაიხსნა ივნისში მომხდარი მუზეუმის გაძარცვის ფაქტი, საიდანაც იშვიათი ნამუშევრები, ორიგინალები გაიტაცეს. რაც შეეხება პირადი ქონების ქურდობის ფაქტებს, ვერ დავმალავთ, რომ ის გაიზარდა. ეს, ერთი მხრივ, გაჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობითაც არის გამოწვეული და ამავე დროს, გვაქვს სირთულეები გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით...

როგორ მუშაობს ამირან ბერიკაშვილი?

რაიონის ტერიტორია 22 სექტორად არის დაყოფილი. შექმნილია 4-კაციანი ჯგუფები, რომლებშიც ჩართული არიან სისხლის სამართლისა და უბნის ინსპექტორები, საპატრულო სამუშაოს თანამშრომლები... ისინი სისტემატურად მოძრაობენ თავიანთ უბნებსა და სამოქმედო ტერიტორიებზე, უნარიანად უძღვებიან საქმეს. თუ დახმარება დასჭირდათ, რაციებით სასწრაფოდ უკავშირდებიან ერთმანეთს.

— ერთი სიტყვით, სექტორების შექმნამ შედეგი გამოიღო და მუშაობაში წინსვლა, სხვა ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებასთან ერთად, ამანაც განაპირობა, — ასე ფიქრობს დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ამირან ბერიკაშვილი.

ნინო აბაშიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 305. ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1999 წელი.

თარიღი

უორდროპები

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში დიდი ბრიტანეთის პირველი დიპლომატიური მისიის დაარსების 80 წლისთავი

1919 წლის 30 აგვისტოს თბილისში ოფიციალური მისიით — საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში დიდი ბრიტანეთის მთავარი რწმუნებულის რანგში ჩამოვიდა ოლივერ უორდროპი.

საქართველოში ამ დროს მძიმე და დაძაბული, საინტერესო და სახიფათო, ჩვენი ქვეყნისათვის ეპოქალური მნიშვნელობის პერიოდი იყო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ რეგიონში რუსეთის დომინაციამ სწრაფად იკლო, ერთი წლის შემდეგ კი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიაც გაეცალა აქაურობას, რის შედეგადაც გათავისუფლდა ადგილი ახალი ძალაუფლებისათვის. ბრიტანეთს ამ დროისათვის დიდძალი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული ბაქოსა და ბათუმში, ამიტომაც ისარგებლა სიტუაციით და სწრაფად ამოავსო შექმნილი ვაკუუმი. აჭარა შევიდა ბრიტანეთის სამხედრო პროტექტორატში. ბათუმში დაინიშნა სამხედრო მმართველობა. 1918 წლის დეკემბერში თბილისში ბრიტანეთის 27-ე დივიზია შემოვიდა. დაარსდა ბრიტანეთის სადივიზიო ამიერკავკასიის შტაბი. 1919 წლისათვის საქართველოში 20 000-მდე ბრიტანელი ჯარისკაცი იყო დაბანაკებული.

მთელი ამ ხნის მანძილზე კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეწყვეტილა ბრძოლები რუს თეთრგვარდიელებსა და ბოლშევიკებს შორის. სამხრეთიდან საქართველოს საფრთხე ელოდა სომხეთისა და თურქეთის ჯარებისაგან. ამ არეულობაში მოყოლილი ბრიტანელი სამხედროები სულ უფრო და უფრო არასასურველნი ხდებოდნენ. ინგლისში კი უინსტონ ჩერჩილი და საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი ეძებდნენ ისეთ ადამიანს, რომელიც აღადგენდა ბრიტანეთის პოპულარობასა და კავშირს ამ რეგიონთან. არჩევანი უყოყმანოდ შეჩერდა ოლივერ უორდროპზე, რომელსაც ამ დროს სოლიდური გამოცდილება ჰქონდა დიპლომატიურ სარბიელზე (რუსეთის იმპერიაში ბრიტანეთის საელჩოს მდივანი, ყირიმში — ვიცე-კონსული, რუმინეთში — გენერალური კონსული). მაგრამ, რაც მთავარია, იგი არაჩვეულებრივად პოპულარული იყო საქართველოში: და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები, უკვე 25 წელზე მეტი იყო, რაც გაიცნო და შეიყვარა საქართველომ.

1919 წლის 22 ივლისს ლორდ კერზონმა წერილობით აცნობა ოლივერს ტრანსკავკასიაში (სამხრეთ კავკასიაში) სპეციალური მისიის შესასრულებლად მისი დანიშვნის შესახებ დიდი ბრიტანეთის მთავარი რწმუნებულის, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე. იქვე მოკლედ იყო ჩამოყალიბებული ამ მისიის მიზნები და ამოცანები.

აღფრთოვანებული ო. უორდროპი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდა საქართველოში სამსახურზე, სიამოვნებით შეხვდა ამ დანიშვნას. 1919 წლის 29 აგვისტოს იგი ჩამოვიდა ბათუმში, ხოლო 30 აგვისტოს — თბილისში და მაშინვე შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

სამწუხაროდ, სერიოზული ავადმყოფობის გამო ოლივერ უორდროპი იძულებული შეიქმნა 1920 წლის აპრილის ბოლოს დაეტოვებინა თავისი პოსტი და გამგზავრებულიყო საქართველოდან. იგი დროებით შეცვალა ვიცე-პოლკოვნიკმა ლუკემ, ვიდრე პოლკოვნიკი სტოუკი 1920 წლის 29 სექტემბერს დაინიშნებოდა სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელად.

პოლკოვნიკი სტოუკი ამ თანამდებობაზე დარჩა 1921 წლის 18 თებერვლამდე, როდესაც იძულებული იყო დაეტოვებინა თბილისი, საქართველოს მთავრობასა და დიპლომატიურ კორპუსთან ერთად საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ინტერვენციის გამო. 20 თებერვალს იგი ჩავიდა ბათუმში. ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საბოლოოდ გავიდა საქართველოდან (ბათუმიდან) 1921 წლის 19 მარტს.

გასაგებ მიზეზთა გამო საქართველოში ბრიტანეთის პირველი დიპლომატიური მისიის მოღვაწეობის ასპექტები ჩვენი საზოგადოებრიობისა და სპეციალისტებისათვისაც კი ნაკლებად არის ცნობილი.

შარშან თბილისში ბრიტანეთის საბჭოს მიერ მოწყობილ გამოფენაზე „უორდროპები", პირველად მივაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ 1999 წლის 30 აგვისტოს სრულდებოდა ბრიტანეთის დიპლომატიური მისიის დაარსების 80 წლისთავი, ხოლო 26 ნოემბერს — საქართველოს უანგარო მეგობრის, დასავლეთ ევროპაში ქართული მწერლობისა და კულტურის პოპულარიზატორის მარჯორი უორდროპის დაბადებიდან 130 წელი. ამასთან დაკავშირებით, მივმართეთ საქართველოში ბრიტანეთის ამჟამინდელ ელჩს, შესანიშნავ, გულისხმიერ პიროვნებას, ბატონ რიჩარდ ჯენკინსს, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო საკითხთა ჩამონათვალით მიმართა თავის საგარეო საქმეთა სამინისტროს. პასუხად მივიღეთ მეტად საყურადღებო მასალა, რომელიც შეიცავს დიპლომატიურ მიმოწერას ლორდ კერზონსა, ერთის მხრივ, და ო. უორდროპს, ლუკესა და სტოუკს შორის, მეორე მხრივ ჩვენი სპეციალისტების დასკვნით, ეს მასალა არსად არ ყოფილა გამოქვეყნებული. იგი საინტერესოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ სომეხი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსებისთვისაც. ამის გამო მიზნად დავისახეთ ეთარგმნოთ, დავამუშაოთ და გამოვაქვეყნოთ როგორც აღნიშნული მიმოწერა, ასევე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში დაცული და ჩვენი ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი სხვა ცნობაც, რომელთა მოწოდებაზეც ბრიტანეთის მხარე თანახმაა.

ახლა, რაც შეეხება საიუბილეო თარიღებს, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, საერთოდ არა ვართ მომხრე ნებისმიერი თარიღის დიდი ზარ-ზეიმით და „გზებზე სუფრის გაშლით" აღნიშვნისა, მაგრამ ყველა მნიშვნელოვანი სახსოვარის სათანადო პატივისცემა კი ნამდვილად გვმართებს. ამიტომ იყო, რომ დავუკავშირდით ბევრ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ხელისუფლების წარმომადგენელს, საქართველოში სომხეთისა და აზერბაიჯანის ელჩებს. ბატონ გურამ შარაძის მიერ მოწოდებული აზრის საფუძველზე, საკითხი დავაყენეთ თბილისის მერიის წინაშე (და სრული მხარდაჭერაც მივიღეთ), რომ გაკეთდეს მემორიალური დაფა სათანადო წარწერით, რომელთა გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ბრიტანეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის საელჩოებმა. რეალურად ეს შეიძლება გაკეთდეს მარჯორი უორდროპის საიუბილეო დღეებში, ნოემბრის დასასრულს.

და ბოლოს, იმედს გამოვთქვამთ, რომ საზოგადოებრიობა დადებითად აღიქვამს და მხარს დაუჭერს ჩვენს მცდელობას, გამოვავლინოთ და ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან ფაქტებსა თუ თარიღებზე.

თეიმურაზ რუხაძე,
გიორგი რუხაძე.

ბერლინის ზეიმი მომავალი ევროპის შესახებ ფიქრებს აღძრავს

გერმანია დღესასწაულობს ბერლინის კედლის აღების და ქვეყნის გაერთიანების ათი წლისთავს. ბერლინში ეწყობა ზეიმი, რომელიც დამთავრდება დღესასწაულის გამო განათებულ ოთხკილომეტრიან მონაკვეთთან, სადაც ათი წლის წინათ ყბადაღებული კედელი ქალაქს აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად ჰყოფდა. დღეს ბერლინში გაიმართება კლასიკური, ხალხური და როკ-მუსიკის კონცერტები. საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, რომელმაც გერმანიის ყოფილ კანცლერთან ჰელმუტ კოლთან ერთად ძირითადი როლი შეასრულა

ათი წლის წინანდელ მოვლენებში, ბუნდესტაგში სიტყვას წარმოთქვამს. საიუბილეო ზეიმის წინ გერმანიაში სასამართლომ დაამტკიცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის ეგონ კრენცისათვის გამოტანილი განაჩენი, რომელსაც ექვს წელიწადნახევარი მიუსაჯეს იმისათვის, რომ მისი მმართველობის დროს აღმოსავლეთ გერმანიაში მოქმედებდა ბრძანება, რომლის თანახმად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურებს უნდა ესროლათ ადამიანებისათვის, თუ ისინი დასავლეთში გაქცევას შეეცდებოდნენ.

აკრიტიკებს გაეროს და ნატოს

ჰააგის სამხედრო დანაშაულობათა საერთაშორისო ტრიბუნალის თავმჯდომარე გაბრიელ კირკ მაკდონალდი, რომელიც მალე დატოვებს თავის პოსტს, აკრიტიკებს ნატოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ტრიბუნალისადმი აგდებული დამოკიდებულების გამო. გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას მან თქვა, რომ დადგა დრო, როცა უშიშროების საბჭომ უნდა გაამკაცროს თავისი პოლიტიკა სერბიის, ხორვატიისა და ჩერნოგორიის ხელმძღვანელობის მიმართ. მოსამართლე მაგდონალდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრიბუნალი განიხილავს ნაკლებად ცნობილ ბრალდებულთა წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, მაშინ როცა ომის მთავარ მოქმედ პირებს — რადოვან კარაჯიჩსა და რატკო ბლადიჩს — საშუალება მისცეს თავი აერიდებინათ პასუხისმგებლობისთვის.

სოფი ლორენი მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ქალად აღიარეს

კოსმეტიკის დიდი მწარმოებლის „ბოტიკოს" ფირმის მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგებით მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალის ტიტული ერგო ცნობილ იტალიელ მსახიობს სოფი ლორენს. გამოკითხვაში მონაწილეობდა 3000-ზე მეტი კაცი. მათი აზრით, მეორე და მესამე ადგილების პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ სუპერმოდელებს ელიზაბეტ ჰერლისა და სინდი კროუფორდს, პოპულარული მსახიობი ჯულია რობერტსი მეოთხე ადგილზეა. ახალი წლის წინ სამოცდახუთი წლის იტალიელი მსახიობის

პორტრეტი, სხვა გამოჩენილი პიროვნებების პორტრეტებთან ერთად, მოთავსდება „ათასწლეულის კაფსულაში" — პროექტში, რომელიც წარმოადგენს ტენდენციებსა და „ჩვენი დროის სახეს" ჩვენი შორეული შთამომავლობისათვის.

თოვლი და ნისლი ხელს უშლის რუსეთის ჯარებს ჩეჩნეთში

ფედერალური ჯარების წინსვლას ჩეჩნეთში ხელი შეუშალა უამინდობამ. როგორც იტარ-ტასის სააგენტო იუწყება, გროზნოს, გუდერმესისა და დაბა ბამუტის ინტენსიური დაბომბვის შემდეგ სამხედრო მოქმედება შეუძლებელი გახდა თოვლისა და სქელი ნისლის გამო. მაგრამ, როგორც სამხედრო სარდლობამ განაცხადა, მეტეამ დიდი ზარალი განაცდევინა ჩეჩენ ბოევიკებს. უფრო ადრე შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ სამხედრო კამპანიის დროს ძალის ასეთი გამოყენებით რუსეთი არღვევს ჟენევის კონვენციას და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს. მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ბრალად დასდო დასავლეთს ორმაგი სტანდარტებით მანიპულირება. როგორც მან თქვა, საერთაშორისო ორგანიზაციები

შეშფოთებას გამოთქვამენ ჩეჩენი ლტოლვილების გამო, მაგრამ დასავლეთმა ვერ მოიცალა გამოერკვია, როგორია ცხოვრების პირობები ყოფილ იუგოსლავიაში ამ ქვეყნის წინააღმდეგ ნატოს [illegible] საჰაერო კამპანიის შემდეგ.

ტინა ტერნერს მალე 60 წელი შეუსრულდება

ამის შემდეგ კი მომღერალი ქალი მხოლოდ საკუთარ სამზარეულოში იმღერებს

ტინა ტერნერს მალე იუბილე ექნება და თუმცა ქალები ჩვეულებისამებრ ამჯობინებენ არ გაამხილონ ასაკი, მომღერალი არ მალავს, რომ მალე 60 წელი მიუკაკუნებს. ტინა გულწრფელად აცხადებს, რომ „ჯერ კიდევ შესანიშნავად გრძნობს თავს" და აბსოლუტურად არ აკომპლექსებს ესოდენ სერიოზული იუბილე. ამერიკული ესტრადის „ბებია" მართლაც არაჩვეულებრივად გამოიყურება — გაცილებით ახალგაზრდულად, ვიდრე ახლანდელი ვარსკვლავების უმრავლესობა — და ისე კაცმა რომ თქვას, ტალანტითაც ბევრად აღემატება მათ.

ბებია ტინა ესტრადას ტოვებს, მაგრამ როგორი ფეხებით!

მომავალ წელს იგი აპირებს თავის მომავალ ტურნეს და სამწუხაროდ, უკანასკნელ ტურნეს მსოფლიოს 17 ქალაქში. მომღერლის გამოსათხოვარი გასტროლი და მისი ბოლო დისკის ჩაწერა დაიწყება ივნისში პატარა ციურიხში, ყველაზე გრანდიოზული კონცერტი კი გაიმართება ლონდონში „უემბლის" სტადიონზე. თანაც ეს შოუ ბოლო იქნება ამ ათასწლეულში სახელგანთქმულ არენაზე — ტინას გამოსვლისთანავე მას სარეკონსტრუქციოდ დახურავენ.

ტერნერიც ტურის დამთავრების შემდეგ ტაიმ-აუტის აღებას აპირებს. სიმღერასთან მთლიანად გამოთხოვებას იგი არ აპირებს, მაგრამ მომღერალს დღემდე ვერ გადაუწყვეტია, სად უნდა გაიბრწყინოს მისმა ვოკალმა: პატარა კლუბებში, მის სამზარეულოში თუ სააბაზანოში.

„მაიკროსოფტის" აქციების ფასი ეცემა

როგორც მოსალოდნელი იყო, დაეცა „მაიკროსოფტის" კომპანიის აქციები, ამის მიზეზი გახდა შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა, რომ „მაიკროსოფტმა" მოახდინა ბაზრის მონოპოლიზაცია მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ აქციების ფასმა ოდნავ მოიმატა. ზოგიერთი ანალიტიკოსის პროგნოზების საწინააღმდეგოდ „მაიკროსოფტზე" ზემოქმედებას არ გამოუწვევია პროვოკაციულად აქციების კურსის საერთო დაქვეითება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილ წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს, რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარეს, ამჟამად საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „მამული მთელი რუსეთია" ხელმძღვანელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ე.მ. პრიმაკოვს გერმანიაში მცხოვრები მწერლის მარკ ტარტაკოვსკის

ღია წერილი

ევგენი მაქსიმეს ძევ!

არც ისე დიდი ხნის წინათ თქვენ, როგორც ეს მიღებულია წესიერ საზოგადოებაში, აღშფოთება გამოთქვით კაშირის გზატკეცილზე მომხდარი აფეთქებისა და მსხვერპლის გამო. უკვე ერთგვარად რუსეთის მომავალი პრემიერის როლში შესულმა (თქვენი რეიტინგის პატრონმა!) უმალ, ჰაი-ჰარად იპოვეთ განტევების ვაცი: „შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა... მინისტრი ვერ აღმოჩნდა მზად... რამეები უნდა ვითმინოთ..." და ა.შ. პრესამ აღნიშნა თქვენი „მკაცრი პოზიცია". ასე რომ, ამ შემთხვევაში, რეიტინგთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია. თქვენი სიმაღლეც (როგორც ელეგანტურად დაამტკიცეთ პრესაში) ასსამოცდაექვსი კი არა მთელი 170 სანტიმეტრია, და ოპერაციაც „მერგზე კი არ გაიკეთეთ, არამედ ფეხზე", რაც ძალზე არსებითია, რადგან, ტვინი, თუნდაც მურგის, მაინც ტვინია, მაშინ, როცა ფეხები მხოლოდ და მხოლოდ ქვედა კიდურებია. გამოჯანმრთელების შემდეგ ჯოხით გამოჩნდით, რომელიც ილიაში გქონდათ ამოდებული, ანუ ყოჩაღად გამოიყურებოდით.

„ეს არის ომი, რომელმაც შემოაბიჯა რუსეთის ტერიტორიაზე", სრულიად საფუძვლიანად განაცხადეთ თქვენ კაშირის გზატკეცილზე მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით." ეს რაღაც სიმართლე კი არა, ჩვენს წინაშე ცარიელი ფაქტია", — შეგეძლოთ კიდევ კლასიკოსის სიტყვებიც დაგემატებინათ. მაგრამ თქვენ, ჩვენმა რჩეულმა საბჭოთა აკადემიკოსმა, რომელსაც არაერთხელ ჩაუბარებიათ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, იცით: ემპირიზმის ფაქტი უფრო ხეს ჰგავს, ჰოდა, მოდით ჩავსდიოთ მას ფესვებამდე. რუსეთის რადიოს დიქტორმა ფაქტის თქვენეული კომპეტენტური კონსტატაციის შემდეგ მაშინვე ახსენა ქვეყანა, სადაც მისი დაარსებიდანვე (აგრეთვე, მანამდეც), საზღვარგარეთიდან მართული ტერორიზმი მწარე რეალობად იქცა: „აფეთქებენ ავტობუსებს, ბაზრებს, სავაჭრო ცენტრებს... თითქმის მოსკოვში მომხდარი აფეთქებების ერთდროულად გაისმა აფეთქებების ხმა ავტოსადგომზე ჰაიფის ნავსადგურში და ელ-ჰადისის ქუჩაზე.. მოსკოველთა ახლანდელი მდგომარეობის გაგება არავის ისე არ შეუძლია, როგორც ისრაელს... იქნებ დაგვარწმუნებდით ამ ბოროტებასთან სხვისი ბრძოლის გამოცდილებას?..."

თქვენთვის, კვალიფიციური არაბისტისთვის, ეს გამოცდილება არცთუ ისე უცხოა. თქვენ არაერთხელ გიმსახურიათ თარჯიმნად საბჭოთა კავშირ-არაბეთის ყველანაირ მოლაპარაკებებზე. თქვენ არაბ ლიდერებთან კერძო საუბრების დროსაც კი მათს ენაზე ლაპარაკობთ. თქვენი წიგნის — „მისია ბაღდადში" — გარეკანზე, — პირადად ვლადიმერ ილიჩის ძის მსგავსად! — სადამ ჰუსეინის გვერდით ხართ გამოსახული, მხარზე ინტიმური ხელის თათუნით მეგხვედრათ ერაყელი ხალხის (კაცმა რომ თქვას, ქურთებისა და ქვეყნისთვისაც) ეს ჯალათი თქვენ ბაღდადში, 1991 წლის დამდეგს, რამაც მაშინ შოკში ჩააგდო დემოკრატიული მსოფლიო.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა არის ამაში უჩვეულო? თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში საბჭოთა არაბისტებს ხელისუფლება მიიჩნევდა „ისრაელის საკითხის საბოლოო გადაწყვეტის" სპეციალისტებად. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ თქვენს ქვეყანას, ჰიტლერული გერმანიის მსგავსად ზოოლოგიური იუდოფობები მართავდნენ. თავად ბრეჟნევი ნამდვილად არ ყოფილა იუდოფობი. მეორე, არც ანდროპოვი. ნატურალური იუდოფობები მესამე როლების შემსრულებლებიც კი არ იყვნენ. მათ, საერთოდ, „შედა ფენებში" არ სწყალობდნენ. როგორც იცით, ამჯობინებდნენ პროფესიონალებს, უპირატესად, თავად ებრაელებს. ტელეეკრანებზე ვუყურებდით არა კიჩკოს ვესელოვთან და ვინმე ი. ივანოვთან ერთად („ფრთხილად: სიონიზმი", საერთო ტირაჟი მილიონი ეგზემპლარი), არამედ თავაშვებულ ცინიზმში ბრწყინვალედ დახელოვნებულ ჰენრიხ ავიეზერის ძე ბოროვიკს (იგი ამჯობინებდა ავერიანეს ძედ მოეხსენიებინათ, რაღაც ასე ძალდაუტანებლად თქვა უარი საკუთარ მამაზე); ჩვენ ვიხილეთ „პრავდაში" კვაზიაკადემიკოსის არბატოვის მიზანმიმართული სტატიები და ბიბლიოთეკებში კი დაცულია არა იმავე ევსეევისა და კიჩკოს უბადრუკი ბროშურები, არამედ საბჭოთა მწერალთა კავშირის წევრის, მწერალ ცეზარ სოლოდარის სოლიდური წიგნი „ველური აბზინდა". ცეზარ სამოელის ძემ იგი სწორედ თავის ებრაელ დედას მიუძღვნა. მაგრამ, მასში ასახა ისრაელის ცხოვრების საშინელებანი.

თქვენ, ევგენი მაქსიმეს ძევ, რა თქმა უნდა, ამ დონის ადამიანებს განეკუთვნებით, არანაირად ნაკლებს არა. იქნებ, უფრო მაღალი სფეროსაც, რადგან არბატოვივით თქვენც აკადემიკოსი ბრძანდებით, მაგრამ ამასთანავე — არაბისტიც. რაც უნდა იყოს, დაჯილდოებული ხართ გ.ა. ნასერის სახელობის მედლით, და თავად სადამ ჰუსეინიც ინტიმურად ხელს გითათუნებდათ მხარზე. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანთან პრივატული გასაუბრების (ალბათ, თქვენთანაც) საშუალება რომ იყოს, აღმოჩნდებოდა, რომ არც ერთი არ ხართ იუდოფობიით დაავადებული, ნაწილობრივ, სიონისტებიც კი ბრძანდებით. მე შევხვედრივარ ამ პუბლიკას. სულის სიღრმეში თითოეული მათგანი მოხარულია, რომ შეიქმნა ებრაული სახელმწიფო — თავშესაფარი ყოველი შემთხვევისათვის. ისრაელის შექმნისთანავე ქნესეთის მიერ მიღებულ პირველ კანონში, — დაბრუნების შესახებ კანონში ხომ არანაირი შესწორება არ არის შეტანილი ვიგინდარებთან დაკავშირებით.

მაგრამ, ვთხოვთ, ნუ მოვყვებით ახლა მსჯელობას პრინციპულ ანტისიონიზმზე... ოდესღაც, 1947 წელს, თავად ანდრია ანდრიას ძე გრომიკო, ნატურალური სლავი, გაეროში მგზნებარე პროსიონისტურ სიტყვებს წარმოთქვამდა „მრავალტანჯული ხალხის ისტორიული სამშობლოს უფლებაზე". რა გასაკვირია?

„სირიელმა და სხვა არაბმა ხალხებმა, — ამბობდა ლ.ი. ბრეჟნევი, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრები, ჰაფეზ ასადთან დაედოთ ხელშეკრულება სსრ კავშირსა და სირიას შორის თანამშრომლობის შესახებ კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და მტკიცედ უჭერს მხარს პროგრესის, დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლების ძალებს, ისრაელის აგრესიისა და იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ არაბი ხალხების ბრძოლას..."

იგი იმ პერიოდში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, მაშინ, როცა ამხანაგი სტალინი ცდილობდა ახლო აღმოსავლეთში — „მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის საზღვრების უშუალო სიახლოვეს" დაეფუძნებინა „სახალხო დემოკრატიის მორიგი ქვეყანა". წამოწყების რეალიზაცია მხოლოდ სანახევროდ მოხერხდა. ებრაული სახელმწიფო დაშვებულ იქნა, მაგრამ „სახალხო დემოკრატიისა" რა მოგახსენოთ. აი, ასეთია ებრაელი მწარე უმადურობა. აქ კი სსრ კავშირში, „გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში" აღმოჩნდნენ სწორედ „რუსულ ფსევდონიმებს ამოფარებული ბოროტმზრახველი კოსმოპოლიტები", ყველა ჯურის „უპასპორტო მაწანწალები" („უცხოურობით ამყრალებენ ყველაფერს, თავად კი რუსულ „სალას" მიირთმევენ") და ბოლოს „მავნებელი ექიმები" (ვოვსი, გრინშტეინი, ბ. და მ. კოგანები... — ანბანის მიხედვით), რომლებსაც განზრახული ჰქონდათ უძლეველი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ამოწყვეტა...

რა თქმა უნდა, ევგენი მაქსიმეს ძევ, ჩვენ ორივენი იმ ხანაში ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვიყავით. მე თქვენ მოგვიანებით გაგიცანით — არა პირადად, რა თქმა უნდა. ჩვენ, შეიძლება ითქვას, ოდესღაც თავად შეგვეყვარა გამალ აბდელ ნასერმა (რომელთან შეხვედრის პატივიც არ მქონია) — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა და არაბული სამყაროს კუმირმა, საბჭოთა კავშირის გმირმა („ოქროს ვარსკვლავი" და ლენინის ორდენი), რომელმაც დაარბია ეგვიპტის კომპარტია და ერთიმეორის მიყოლებით ჩამოახრჩო მისი ლიდერები. ეგვიპტური ყაიდის სოციალისტმა და მართლმორწმუნე მუსლიმანმა, ერთი სიტყვით, „უამრავი თვისების მატარებელმა ადამიანმა", როგორც უკვე ოდესღაც თქვა ვიღაცამ ვიღაცის შესახებ.

ჟურნალი „ოგონიოკი".

(გაგრძელება იქნება).



„შეერთებული შტატები, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას ესწრაფვის ახლო აღმოსავლეთში, — ითქვა სკკპ XXVI ყრილობაზე, — დაადგა კემპ-დევიდის პოლიტიკის გზას, არაბული სამყაროს გახლეჩისა და ისრაელ-ეგვიპტეს შორის სეპარატისტული შეთანხმების ორგანიზაციის გზას"

სურათზე: გამალ აბდელ ნასერი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან
ლია გოგიჩაიშვილი, ლევან ბოჭორიშვილი.

რეგიონი

ქურთის სტაციონარულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას გელა ჭულუხაძე იმ წელიწადს ჩაუდგა სათავეში, როცა დიდი ლიახვის ხეობის ცხრა სოფელი სრულიად მოსწყდა გარე სამყაროს და, მაშინდელი ვითარებიდან გამომდინარე, სათანადოდ აღჭურვილი პოლიკლინიკა-საავადმყოფო ჰაერივით სჭირდებოდა. ის ენთუზიაზმი, რითაც მაშინ გელა ჭულუხაძე შეუდგა საქმეს, დღემდე არ განელებია. ხეობის მცხოვრებნი, მისი თანამშრომლებიც ბევრ საინტერესო ეპიზოდს მიამბობენ ახალგაზრდა კაცის მოღვაწეობის შესახებ, რის მიხედვითაც იკვეთება გელა ჭულუხაძის, როგორც არაჩვეულებრივი, მეტად საინტერესო პიროვნების პორტრეტი.

მთავარი ექიმი თანამშრომლებისადმი მკაცრი და მომთხოვნია. ამის გამო, ზოგი მას ძველი სტილის მუშაკადაც კი მიიჩნევს. გელა კი ფიქრობს, რომ დისციპლინა წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია. სამაგიეროდ, უდიდეს მზრუნველობას იჩენს, როცა რომელიმე მუშაკს ცხოვრებისეული პრობლემა გაუჩნდება. მას შეუძლია ყველა საქმე გადადოს და გასაჭირში მყოფს მხარში ამოუდგეს, მზად არის, ჯიბეში უკანასკნელი თეთრიც არ დაიტოვოს, ოღონდ ადამიანს შეეშველოს. საკუთარ გასაჭირს კი იოლად არავის გაუმხელს, მეტად მორიდებული და გულუბრყვილობამდე ალალია. ირგვლივ მყოფებს იგი გულწრფელად უყვართ და აფასებენ.

იმედის მწვანე კონცხი დიდი ლიახვის ხეობაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1988 წლის ზაფხულში გელა ჭულუხაძემ ჯავის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა, მაგრამ დაიძაბა ურთიერთობა ორ ხალხს შორის და ისიც მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. ჯერ ქურთის ამბულატორიაში მუშაობდა სტომატოლოგად, 1991 წლის აპრილში კი [illegible] დაწესებულების თავკაცობა ანდეს. როგორც განვლილმა წლებმა უჩვენა, არჩევანი სწორად გაკეთდა. სრულიად ახალგაზრდა მთავარმა ექიმმა შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა. მან უწინარესად სამეანო განყოფილება გახსნა საავადმყოფოში, რომელიც დღეს მთელი დატვირთვით მუშაობს. წელს ხეობის სოფლებიდან 62 ორსული ქალი ჰყავთ აღრიცხვაზე. განყოფილების გამგე ლიანა ჩომახიძე, ექიმი თამარ გობეჯიშვილი და განყოფილების მედდები ყველაფერს აკეთებენ, რომ მშობიარობამ ნორმალურად ჩაიაროს და ახალშობილნიც 5-6 დღის შემდეგ ჯანმრთელნი გაწერონ. მერე მათ პატრონაჟს უწევენ პედიატრები ზეინაბ გარაყანაშვილი, ვალერია სერეიატნიკი, ხათუნა კასრაძე.

განყოფილება, ხეობის სოფლების გარდა, მშობიარეებს იღებს ქარელის, გორის რაიონებიდან და თბილისიდანაც კი. მიზეზი ადვილად ასახსნელია — დღევანდელი მძიმე ცხოვრების პირობებში, ქურთის სტაციონარში მშობიარობაც და მკურნალობაც უფასოა. ეს ბევრ მშობიარეს იზიდავს.

სამეანო განყოფილებაში შემოსულ ყველა მშობიარეს, წესით, პოლისი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ოსური სოფლებიდან სამშობიარო ტკივილებით მოსული ქალი ჯერ არავის გაუბრუნებია.

ერთდროულად გაიხსნა საოპერაციო ბლოკიც. თავიდან საკუთარი კადრი არ ჰყავდათ და ქირურგები გორიდან და თბილისიდან მოწვეულობით დადიოდნენ. დღესაც ახსოვთ გორელი ქირურგის გელა თუხარელის გაკეთებული პირველი ოპერაცია. ეს მართლაც ზეიმი იყო. გაჩნდა იმედი, რომ დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობა საგანგებო ვითარებაში და ჩვეულებრივ დროსაც შორს წასვლა და დიდი თანხების ხარჯვა აღარ დასჭირდებოდა. მით უმეტეს, იმ ხანებში ცხინვალზე გავლა პრობლემა იყო, მთაზე გადასვლა კი — რისკთან და სიძნელეებთან დაკავშირებული. ამჟამად განყოფილებაში ახალგაზრდა, იმედისმომცემი ქირურგები მუშაობენ.

თბილისელი პაატა გრიგოლია ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოვიდა აქ და წასვლას არ აპირებს, რადგან კარგად შეეწყო მთავარ ექიმსაც, კოლექტივსაც. ბინაც საავადმყოფოს შენობაში აქვს. იმასაც ეგუება, რომ ხშირად, ხელფასის დაგვიანების გამო თბილისში წასასვლელი გზის ფულიც არა აქვს. სამაგიეროდ, ახალგაზრდა ქირურგს კარგად აქვს შეგნებული ის უმთავრესი დადებითი მხარე, რაც ამ დაწესებულებაში აქვთ მედიცინის მუშაკებს: აქ ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ექიმებად მოკლე დროში ჩამოყალიბდნენ, რადგან დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება ეძლევათ, ხოლო მორიგეობისას, როცა თვითონ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ, ნასწავლსაც იხსენებენ და ახალსაც იძენენ. მორიგე ექიმმა ხომ ავადმყოფს ჯერ თავად უნდა ჩაუტაროს ყველა პროცედურა და სპეციალისტს მერე უნდა მიმართოს: გინდა თუ არ გინდა, აქ ფართო პროფილის ცოდნა უნდა გქონდეს.

ასეთივე აზრისაა სოსო ნებიერიძეც. იგი ადგილობრივი კადრია, ქეხვში ცხოვრობს. სამი წელიწადია, რაც ქირურგად მუშაობს და პაატასთან ერთად დამოუკიდებლად ათობით ოპერაცია გააკეთა.

უფროსი კოლეგების გვერდით გაბედულ და წარმატებულ ოპერაციებს აკეთებს ახალგაზრდა გინეკოლოგი თამარ გობეჯიშვილიც, რომელიც ქურთაში სამუშაოდ სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა.

თერაპიულ განყოფილებას გამოცდილი ექიმი შალვა მაისურაძე უძღვება, მას ამ ხეობაში მუშაობის 48 წლის სტაჟი აქვს და ყველა ოჯახში მინაურია. განყოფილებაში შემოსულ ავადმყოფს ისე უვსებს ისტორიას, ხშირად გვარ-სახელსაც არ ეკითხება. იგი ათეული წლების განმავლობაში იყო ქურთის ამბულატორიის გამგე, ახლა კი გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილეა. მის გვერდით მუშაობენ ახალგაზრდა თერაპევტები მარი ხმიადაშვილი, ნუნუ ჭოველიძე, ელზა მინდიაშვილი, რომლებიც მოსახლეობაში ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ.

გელა ჭულუხაძე ამაყობს თავისი ერთსულოვანი კოლექტივით, სადაც „ჩემი" და „სხვისი" ავადმყოფი არ იციან, ყველა ეხმარება ერთმანეთს საჭიროების შემთხვევაში. იგი ვეძებს ცხინვალელ ქირურგს თემო თიბილოვს: დღეს რომ ქირურგიულ განყოფილებაში, გულმკერდის ღრუს გარდა, ყველა სახის ოპერაცია წარმატებით კეთდება, აქ დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის და ახალგაზრდა ქირურგებიც მისგან ბევრს სწავლობენ. პატივისცემით მოიხსენიებს ლაბორატორიის გამგეს, ექიმ-ლაბორანტ ნელი ლაფაჩს, დღე-ღამის ყოველ მონაკვეთში რომ მზად არის ანალიზის გასაკეთებლად; პედიატრ ვალერია სერვიატნიკს, რომელიც ცხინვალიდან ქურთამდე 8 კილომეტრს ფეხით გადის და სამსახურში მაინც დროზე ცხადდება. არც საშუალო მედპერსონალის როლი ავიწყდება: [illegible] მაღალ დონეზე მუშაობას ხელს უწყობს საოპერაციო დის თამარ ბერიშვილის, ექთნების მაია კახნიაშვილის, თამარ წერეთლის, თამარ ხუციშვილის პროფესიული დონე. მთავარ ექიმს მიზნად დაუსახავს პროფესიული დაოსტატებისთვის თბილისს მიავლინოს პაატა გრიგოლია და სოსო ნებიერიძე, რისი განხორციელებისთვის კვლავ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის იმედი აქვს. სწორედ მისი მზრუნველობით აღიჭურვა ბოლოხანს საავადმყოფო-პოლიკლინიკა ელექტროკოაგულატორით, ელექტროკარდიოგრაფით, საოპერაციო და სამშობიარო მაგიდებით, დიზელგენერატორით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გამოადგათ, რადგან თვეზე მეტია დიდი ლიახვის ხეობაში რატომღაც ელექტროენერგია აღარსაიდან მიეწოდებათ.

საავადმყოფოს არასოდეს ჰქონია წამლების პრობლემა. პირველი დახმარების საშუალებანი, შესახვევი მასალა, ანტიბიოტიკები, ინსულინის ინექციები ყოველთვის დროულად და საკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ. სწორედ ამიტომაც ეგიდებიან გაგებით იმ ფაქტს, რომ ექვსი თვეა, ხელფასი არ აუღიათ. ხოლო რადგან აქ ყველა პროცედურა, რთული ოპერაციების ჩათვლით, უფასოა, ცხადია, ყველა ხელფასზეა დამოკიდებული. სხვა საქმეა, მადლიერი პაციენტი თუ რაიმეთი დააჯილდოებს ექიმს, მაგრამ დღეს ხელმოკლე პაციენტთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე შეძლებულთა და ექიმი ზოგჯერ იქით ეხმარება ავადმყოფს.

ამას წინათ აქ ბორჯომელ მამაკაცს რთული ოპერაცია გაუკეთეს. ცხადია, მკურნალთა პროფესიონალიზმი ასრულებს დიდ როლს პაციენტთა მიზიდვაში, თორემ მარტო ფულის დაზოგვის მიზნით არ გარისკავდნენ.

პროფესიონალიზმთან ერთად კი მოვალეობის მაღალი გრძნობაც ყველას ჭარბად აქვს. ასე რომ არ იყოს, ხეობელთა საყვარელი პედიატრი ზეინაბ გარაყანაშვილი შუაღამისას აჩაბეთიდან (სადაც იგი ცხოვრობს) ქურთის საავადმყოფომდე ავადმყოფის პატრონს ფეხით არ ამოჰყვებოდა, ხოლო საავადმყოფოს აფთიაქის გამგე ია ბაბუციძე საკუთარი ფულით ავადმყოფისათვის სხვა აფთიაქში საჭირო წამალს არ შეიძენდა.

საავადმყოფოში თითქმის ყოველ წელს ჩამოდიან პროფესიონალი ექიმებით დაკომპლექტებული ბრიგადები. ისინი უფასოდ იკვლევენ და მკურნალობენ ხეობის მოსახლეობას, აწვდიან მედიკამენტებს.

ქურთის სტაციონარულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას თავისი პუნქტები აქვს ხეობის სოფლებში. სვერსა და ხეითში საფერშლო პუნქტებია, ქემერტში — საექიმო ამბულატორია, თამარაშენში — სანეპიდსადგური. სულ გაერთიანებაში 130 სამედიცინო და ტექნიკური პერსონალია. ისინი მადლიერებას გამოხატავენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსადმი, რომელმაც გაითვალისწინა, როგორც ხეობის სოფლების მოსახლეობის, ისე დასაქმებულ სამედიცინო მუშაკთა ინტერესი და ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, არსებული საშტატო ერთეული შეუნარჩუნა.

სტაციონარულ-პოლიკლინიკური გაერთიანება იმედის მწვანე კონცხივით დგას დიდი ლიახვის ხეობის 9 სოფლისათვის და არა მარტო მათთვის.

ციალა კახნიაშვილი,
„სრ" საკ. კორ.

პოლიცია

გასულ კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებული იყო 99 სისხლის სამართლის დანაშაული, 7-ით ნაკლები ვიდრე წინა კვირაში.

გრძელდება არა მარტო დანაშაულის საერთო რიცხვის კლების პროცესი, აშკარად გამოიკვეთა მძიმე დანაშაულის კლების ტენდენციაც. მაგალითად, გასულ კვირაში წინა კვირასთან შედარებით ჩადენილი იქნა 5-ით ნაკლები მკვლელობა, 2-ით ნაკლები მკვლელობის მცდელობა, 10-ით ნაკლები ქურდობა, და 4-ით ნაკლები ყაჩაღობა. დაკავებულია 24 ძებნილი.

უფრთხილდით ყაჩაღებს და თაღლითებს

კარგად წარმართული ოპერატიული მუშაობის შედეგად ამ დღეებში შესაძლებელი გახდა ათობით საშიში ბოროტმოქმედის დაკავება, მათი თანამზრახველების ვინაობის დადგენა, გამოძიებისათვის საჭირო მასალების მოპოვება. წლების წინათ ჩადენილი რამდენიმე მძიმე დანაშაულის გახსნა.

3 ნოემბერს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს საჩხერეში მცხოვრები ლევან გრძელიშვილი, რომელიც ამჟამად დაკავებულ იმედა ჭყოიძესა და გურამ მაჭარაშვილთან ერთად 1998 წლის 2 დეკემბერს ყაჩაღურად თავს დაესხა სოფელ კორბოულში მცხოვრებ ოთარ გოგოლაძის ოჯახს.

იმავე სამსახურების თანამშრომლებმა 4 ნოემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად დააკავეს ძებნილი რობერტ მელია, რომელმაც 1997 წლის ზამთარში ამჟამად პატიმრობაში მყოფ ზაზა ლანჩავასთან ერთად, მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა ფოთში მცხოვრებ იური მაქარიძის ოჯახზე.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ერთობლივად დაადგინეს, რომ ამჟამად სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულმა ზურაბ გოგიბერიძემ კობა კუბლაშვილთან ერთად 1994 წლის 3 ნოემბერს ავტომატური იარაღით მოკლა სამტრედიაში მცხოვრები ვახტანგ ჯულაყიძე. ხორციელდება ღონისძიებები კუბლაშვილის ადგილსამყოფელის დასადგენად და დასაკავებლად.

4 ნოემბერს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს, დუშეთის პოლიციის განყოფილებისა და კახეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად დაადგინეს, რომ 2 ნოემბერს საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისათვის დაკავებული საიდ ოქმაევი [illegible] არის ახმეტის რაიონის სოფ. ღუესში მცხოვრები ალბერტ ხანგოშვილი, რომელსაც ახმეტის რაიონის პოლიცია ეძებდა 1992 წლის 23 აგვისტოს საგარეჯოს რაიონში რაჟდენ ბოლოთაშვილის მკვლელობისათვის.

იმავე დღეს, 4 ნოემბერს, ახმეტის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს სოფელ ღუესის მეორე მცხოვრები — გიორგი ბალაკაშვილი, რომელმაც 20 ოქტომბერს ამავე სოფელში სხვა პირებთან ერთად მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა თბილისში მცხოვრებ თემურ ბოგველზე და ავტომატის მუქარით წაართვა ფული და პირადი ნივთები.

კვირა არ გავა, შს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებმა არ გამოავლინონ ნარკოტიკების საქართველოში შემოტანის რეალიზაციის, ან შენახვის რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, 2 ნოემბერს დააკავეს რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ქალაქ კუმერტაუში მცხოვრები პაველ ხრიპუნოვი, რომელსაც აღმოაჩნდა 0,5 გრამი ჰეროინი. მასთან ერთად დააკავეს თბილისში მცხოვრები ერნესტ მამაცაშვილი, რომელსაც ხრიპუნოვმა გადასცა ჰეროინი პირადი მოხმარების მიზნით. დაკავებისას მამაცაშვილი ნარკოტიკით იყო გაბრუებული.

5 ნოემბერს ორგანიზებულ დანაშაულთა ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს არასრულწლოვანთა და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის და რაიონული პოლიციის სამმართველოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის თანამშრომლებმა, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად ჩაატარეს ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რომლის დროსაც გამოავლინეს 57 მაწანწალა და ზედამხედველობას მოკლებული მოზარდი, 32 სკოლის უმიზეზოდ გამცდენი მოსწავლე, რომელთა შესახებ ეცნობა შესაბამისი სკოლების დირექციას.

სამწუხაროდ, კვლავ გამოვლინდა მშობელი, დიღმის მასივში მცხოვრები ეთერ საკაძე, რომელიც მეტროს სადგურ „დიდუბის" ტერიტორიაზე ამათხოვრებდა თავის 13 წლის გოგონას.

3 ნოემბერს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს თბილისში მცხოვრები ორჯერ ნასამართლევი სერგო დალაქოვი, რომელმაც გერმანიის საელჩოში სამუშაოდ მოწყობის დაპირებით 8 მოქალაქეს თაღლითურად გამოსძალა და მიითვისა 2750 აშშ დოლარი.

იმავე დღეს მთაწმინდის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს თბილისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე ტურისტული ფირმა „ელზა კოპალეიშვილის" პრეზიდენტი 35 წლის ელზა კოპალეიშვილი, რომელმაც წლეულს, 5 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაოდ გაგზავნის დაპირებით გლდანის მასივში მცხოვრებ ვაიანე ოგანეზოვას გამოსძალა 800 აშშ დოლარი.

გურიის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და პროკურატურის თანამშრომლებმა ამხილეს ჭიათურის ზღვის სოფელ ხრეითში მცხოვრები ნატალია ალისანიშვილი, რომელმაც ვითომდა თანამდებობის პირისათვის ქრთამის გადასაცემად ოზურგეთში მცხოვრებ იზოლდა სარიშვილს გამოსძალა 700 აშშ დოლარი.

ვალერიან გოგოლაშვილი,
შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მრჩეველი სპეციალისტი.

რომის პაპის ცხოვრებიდან

სპორტი მისთვის უცხო არ ყოფილა

კათოლიკური რელიგიის საჭეთმპყრობელის — რომის პაპის იოანე პავლე მეორის შესახებ ამ დღეებში ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ ცოტამ თუ იცოდა და იცის, რომ მისთვის დასვენების, გართობისა და სხეულის გაჯანსაღების ერთ-ერთ საყვარელ სახეობას სპორტი წარმოადგენს.

ჭაბუკობისას კაროლ ვოიტილა ჩინებული მოთხილამურე, ნიჩბოსანი, ტურისტი, ჩოგბურთელი და მოცურავე ყოფილა.

მის უწმინდესობას იოანე პავლე მეორეს უყვარს თურმე იმ ამბის გახსენება, როცა მაღალი მთიდან თხილამურებით დაშვებისას პირდაპირ მესაზღვრეებს რომ ჩავარდნია ხელთ. მათ, ცხადია, პირადობის მოწმობა მოუთხოვიათ. გენახათ მესაზღვრეთა გაოცება, როცა გაუგიათ, მათ წინ თვით ეპისკოპოსი იდგა.

რომის პაპის ახლობელთა აღიარებით, კაროლ ვოიტილა თურმე ჭაბუკობიდანვე იცავდა ჯანსაღი სულისა და სხეულის ერთიანობის იდეას და დღემდე მისი ერთგული რჩება.

საგულისხმოა ისიც, რომ კაროლ ვოიტილა ჯერ კიდევ 40-50-იან წლებში ჭადრაკით, კერძოდ, საჭადრაკო ამოცანების შედგენითაც ყოფილა გატაცებული, ამას ადასტურებს პოლონური ჟურნალი „მახი", რომლის ფურცლებზეც დაიბეჭდა 1946 წლით დათარიღებული ვოიტილას ოთხი კომპოზიცია.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ რომის პაპის მიერ ჭაბუკობისას შედგენილ ორ და სამსვლიან ამოცანებს. შესაძლოა, ამ საჭადრაკო თხზულებებმა პროფესიონალებზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინოს. ეტყობა, თვით კაროლმაც ვერ იპოვა მათში თავისი მოწოდება, ამიტომაც ვერ გახდა საჭადრაკო კომპოზიტორი, სამაგიეროდ... რომის პაპის უმაღლეს ტიტულს მიაღწია.

იმედია, ჭადრაკის ქომაგებს ამ ამოცანებში არ გაუჭირდებათ მახვილგონიერული სვლების მიგნება...

შამათი ორ სვლაში.



შამათი სამ სვლაში.

რომის პაპის ცხოვრების ჯანსაღი წესი კიდევ ერთი ცხოვრებისეული შემთხვევითაც დასტურდება. რამდენიმე წლის წინათ იოანე პავლე მეორე პოლონეთში მესამედ მოემგზავრებოდა, როცა თვითმფრინავმა კურსი რომიდან ვარშავისკენ აიღო, სტიუარდესამ მგზავრებს საერთაშორისო ხაზებისთვის ტრადიციული მშრალი ღვინო შესთავაზა. პაპმა ბორტგამცილებელს თავაზიანი უარი უთხრა, თან ღიმილით დასძინა: „არ შემიძლია, მით უფრო, როცა ღმერთთან ასე ახლოს ვარ".

ვაჟა დანელია.

შეხვედრა წარსულთან

ქართული ტანვარჯიშის ავანგარდში

საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები (მარცხნიდან): გალინა შარაბიძე, თამარ ბეთანელი, ვალენტინა კლიმოვა, მზია ნინოშვილი, მერი ცნობილაძე, ვალენტინა კომისარენკო, ეთერ ხახუბია.

1956 წელი.

ჭადრაკი

რუბიკონი გადალახეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ხუთი დღეა მიმდინარეობს დედაქალაქის პირველობა ჭადრაკში 10 წლის ვაჟთა და 14 წლის გოგონათა შორის. უკვე გათამაშდა ხუთი ტური. გოგონებში უდანაკარგოდ პირველობს თეონა ოდიშარია, გუშინ მან ანა გაჟამელს სძლია. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება მაკა ფურცელაძე, რომელმაც მე-5 ტურში ალა ეახანიას მოუგო. 4 ქულით მესამე ადგილზეა ნონა დათუაშვილი. მან ბოლო ტურში ეკა ხელაძეს დააყურევინა ფარ-ხმალი. მეოთხე-მეხუთე ადგილებს 3,5-3,5 ქულით ანა გაჟამელი და თამუნა მხეიძე იყოფენ. დღეს ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს: ფურცელაძე — ოდიშარიას, გაჟამელი — დათუაშვილს, ხელაძე — მხეიძეს.

ვაჟთა პაექრობაში 5-5 ქულით ლუკა პაიჭაძე და ვეგა მაისურაძე დაწინაურდნენ. გუშინ მათ, შესაბამისად, გახოკიძეს და ლუაძეს მოუგეს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ მერაბ მერაბიშვილსა და სანდრო ცქიტიშვილს. მომდევნო აიმა მოჭადრაკეებმ 4-4 ქულა მოაგროვეს.

ლევსო ცინცაძე.

ჩოგბურთი

„რვეული" ჩამოყალიბდა

პარიზის ღია ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც ამერიკელი ანდრე აგასის კიდევ ერთი გამარჯვებით დამთავრდა, საბოლოოდ განისაზღვრა ის რვა ჩოგბურთელი, რომელთაც გაინაღდეს ჰანოვერში. მსოფლიო ჩემპიონატზე ATRT [illegible] უფლება. აღრე იქ გასულ ანდრე აგასის, ევგენი კაფელნიკოვსა და გუსტავო კუერტენს შეუერთდნენ პიტ სამპრასი, ნიკოლას კიფერი, ტოდ მარტინი, ტომას ენქვისტი და ნიკოლას ლაპენტი. გასარკვევია, თუ ჰანოვერში ვინ ჩავა სათადარიგო მოთამაშედ, ვინაიდან მარსელო რიოსმა ტრავმების გამო სეზონი დაამთავრა. მის მაგიერ, ალბათ, მე-9 საგზურს რიჩარდ კრაიჩეკი მიიღებს, თუმცა მას, შეიძლება გადაასწრონ ამ კვირაში სტოკჰოლმში მოთამაშე ტომას ჰაასმა და ტიმ ჰენმენმა.

ჯურჯგურობით „ჰანოვერ-99"-ის კვალიფიკაცია ასე გამოიყურება: 1. აგასი — 4650; 2. კაფელნიკოვი — 3127; 3. კუერტენი — 2565; 4. სამპრასი — 2384; 5. კიფერი — 2322; 6. T ტ. მარტინი — 2319; 7. ენქვისტი — 2310; 8. ლაპენტი — 2283; 9. 2245 (ტრავმირებულია), 10. კრაიჩეკი — 2095 (ამ კვირაში არ თამაშობს); 11. ჰაასი — 1921 (ამ კვირაში სტოკჰოლმში ფინალამდე უნდა მიაღწიოს, რათა ჰანოვერში „სათადარიგოდ" წავიდეს), 12. ჰენმენი (ჰაასის ბედშია).

ზოგი ფიქრობს, რომ სათადარიგოთა პრობლემა მსოფლიო ჩემპიონატზე ამინდს ვერ შეცვლისო, მაგრამ ვინ იცის, ჩოგბურთის ბურთიც ხომ მრგვალია?!

ყოველი მხრიდან

თასი დედოფალმა გადასცა

კარდიფში გაიმართა მსოფლიო თასის ფინალი რაგბიში. ალბათ გახსოვთ, რომ ნახევარფინალში მოხდა სენსაცია და მოედანი დამარცხებულებმა დატოვეს ამ ეჟაკაცური თამაშის ფავორიტებმა ახალზელანდიელებმა და სამხრეთაფრიკელებმა. ფინალში კი საფრანგეთისა და ავსტრალიის ნაკრებები გავიდნენ.

სწორედ ამ ორი გუნდის ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა მსოფლიო თასის ბედი. უფრო გამოცდილმა ავსტრალიელებმა იოლად დაამარცხეს ფრანგები 35:12 და მსოფლიო თასის გათამაშების ისტორიაში პირველად ამ მეორეულ ნადავლს მეორედ დაეუფლნენ.

გამარჯვებულებს საპატიო ჯილდო დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II გადასცა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ამ ტურნირის გამარჯვებულები ჩვენი პლანეტის სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნების გუნდები გამოდიან: 1987 წელს — ახალი ზელანდია, 1991 წელს — ავსტრალია და 1995 წელს — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

სურათზე: ავსტრალიის ნაკრების კაპიტანს ჯონ ილზს მსოფლიო თასს გადასცემს დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II.

გამდიდრებული და გაძევებული ტაისონი

კრივის მოყვარულები კარგა ხანს ელოდნენ მათი კერპის, ძალზე სკანდალური, მძიმეწონოსანი მოკრივის მაიკ ტაისონის პატიმრობის შემდეგ რინგზე გამოჩენას. მათი ეს სურვილი კი შეუსრულდათ, მაგრამ ამ ორიოდე კვირის წინ მისი პირველივე შეხვედრა თანამემამულე ორლინ ნორისთან კვლავ დიდი აურზაურით დამთავრდა. „რკინის მაიკმა" პირველი რაუნდის დამთავრების გონგის შემდეგ ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე. მისი მძლავრი დარტყმის შემდეგ ნორისი დაეცა, ფეხი იღრძო და ორთაბრძოლა ვეღარ გააგრძელა.

ყველას ეგონა, რომ ტაისონს ისევ აუკრძალავდნენ რინგზე გამოსვლას, მაგრამ ნევადის შტატის ათლეტიზმის კომისიამ სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. კომისიის სხდომაზე ხუთი წევრიდან ოთხმა ხმა მისცა, რომ ტაისონს მაინც მიეღო კუთვნილი ჰონორარი — 8 მილიონ 700 ათასი დოლარი, როცა ნორისს მხოლოდ 201 ათასი დოლარი ერგო. იმის ძირითადი ფაქტორი, რომ მაიკი გადაურჩა მძიმე სასჯელს, გახლა რიჩარდ სტილის მსაჯობა. მან განზრახ დარტყმის შემდეგ ტაისონს მხოლოდ ორი ქულა ჩამოაკლო. მართალია, ამ შეხვედრისას ტაისონს მოწინააღმდეგისათვის აღარ უკბენია (გაიხსენეთ ჰოლიფილდთან მატჩი!) მაგრამ კომისიის წევრებმა მას აუკრძალეს პროფესიული კრივის „მექაში" — ლას-ვეგასში გამოსვლა.

„ჩვენ არ გვინდა ჩვენს შტატში ხულიგნების ბრძოლის გამართვა!" — თქვა კომისიის თავმჯდომარემ ელიას გენემმა.

როგორც ჩანს, მომდევნო ბრძოლას, 11 დეკემბერს (მოწინააღმდეგე ჯერჯერობით უცნობია) „რკინის მაიკი" ინგლისში ან გერმანიაში გამართავს, ხოლო 26 თებერვალს, ტაისონისა და ბრიგსის ორთაბრძოლის ადგილად დასახელებულია ნიუ-იორკის სახელგანთქმული „მედისონ სკვერ გარდენი".

გარდაიცვალა პრიმო ნებიოლო

მის შესახებ ჩვენი გაზეთი ორიოდე დღის წინ წერდა, (4. XI. 99. „თუ პრეზიდენტი თავის ადგილზეა..."). ახლა კი რომიდან ასეთი სამწუხარო ცნობა მოვიდა: კვირა დილას რომის კლინიკაში **Mater Dei** გულის მეტევისაგან გარდაიცვალა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო. ის 76 წლისა იყო, საიდანაც 18 წელი იტალიელმა შესწირა სპორტის დედოფლის განვითარებას, როგორც მისმა მთავარმა ხელმძღვანელმა მსოფლიო მასშტაბით.

„ნებიოლომ წარუშლელი კვალი დატოვა, — თქვა ამ ფედერაციის სპიკერმა ჯორჯო რაინერმა, — გაველენ წლები და უკან მოხედვისას ყველას გაახსენდება იგი, როგორც კაცი, სპორტის სამყარო რომ გარდაქმნა".

ნებიოლო იააფ-ის ხელმძღვანელის პოსტზე მოვიდა 1981 წელს და ამ თანამდებობაზე უნდა დარჩენილიყო სულ ცოტა ოთხი წელი, რადგან წლეულს, აგვისტოში ფედერაციის კონგრესზე ის კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად. სხვა კანდიდატურა არ ყოფილა.

იააფ-ის წესდების შესაბამისად პრეზიდენტის ფუნქციას იკისრებს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლამინ დიიაკი სენეგალიდან. ნებიოლოს მემკვიდრის გვარს დაასახელებს იააფ-ის მსოფლიო საბჭო, რომელიც მონტე-კარლოში 18-19 ნოემბერს შეიკრიბება.

სურათზე: პრიმო ნებიოლო.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

სურათზე: XIX-XX საუკუნის მიჯნა. ერთ-ერთი ქართული ოჯახი. სიმონ და გაიანე ლვინეფაძეები, შუაში, ქეთევან გოგოლაშვილი (გაიანეს და). ქ. ქუთაისი.

შემოგვეხმიანეთ, გამოგვიგზავნეთ ფოტოსურათები. ტელ: 99-66-10.

გამოცემა

ლაშა იმედაშვილის წიგნი

ამ დღეებში „მერანმა“ გამოსცა ახალგაზრდა მწერლის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, ქართული პენ-ცენტრის წევრის ლაშა იმედაშვილის მეტად საინტერესო წიგნი „ქართული ბესტსელერი“.

ლაშა იმედაშვილის პირველი მოთხრობები 1978 წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“. სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა „ცისკარში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, ალმანახ „სათავეში“.

იგი ავტორია დოკუმენტური ფილმების სცენარებისა: „გუშინ, დღეს, ხვალ“, „სურათი“, „ბერიერი“ და მხატვრული ფილმებისა: „ვირთხა“, „მიზერერე“, „კიდევ ერთი ქართული ისტორია“. 1996 წელს კინოფესტივალ „ოქროს არწივზე“ ფილმი „მიზერერე“ დაჯილდოვდა პრიზით საუკეთესო სცენარისათვის.



ოთხშაბათი, 10 ნოემბერი

07.30 ალიონი. 09.00 აერობიკა. 09.18 ტელემაღაზია. 09.50, 23.20 "ვიდეოპატრული-02". 09.45 "რეიდი ენტებეზე". 11.48, 19.50 მაესტრო. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 12.15, 18.45 "დალასი". 13.05 "მოსკოვი - თბილისი". 13.25 2X24. 13.45 დოკ. ფ. 13.35 "შოკოლადის მიკროფონი". 15.15 "შეხვედრა". 15.30 "რეტროპერსპექტივა". 16.10 "უსაფრთხოება". 16.25 "მისი მსახურის და". 18.15 50/50. 19.35 "ზასტი-ბუბუ". 20.50 "რა ხდება?!" 21.35 ვიზიტი. 22.00 ვესტნიკი. 22.25 ტელე-სინე-ვიდეო. 23.00 "საქმე". 23.35 "გრიფით საიდუმლო". 00.15 კომუნიკატორი. 00.50 "კასანდრას უღელტეხილი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები. 21.10 "ანტონელა". 22.00 ოპტიმისტები. 22.20 პოდიუმი. 22.25 "ჭრიჭინა". 23.55 პიტ-პარადი.

07.00 მუსიკა. 08.00, 09.25 ტული 08.05, 08.30, 12.00, 15.00 კურიერი 08.15 ფიფქია 09.30 „კასნრაფი“ 10.25 „სიყვარულის ოცნებები“ 10.50 „დაკარგული ქალაქი“ 11.20 „გვადალუპე“ 12.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო“ 15.15 მხ. ფ. 16.30 დოკ. ფ. 17.10 „ტაგერტი“ 18.00, 21.00, 22.50, 01.50 კურიერი 18.20 „სიყვარულის ოცნებები“ 18.50 აკუნა მატატა 19.25 „დაკარგული ქალაქი“ 20.05 „გვადალუპე“ 21.50 „ნიკიტა“ 23.50 „აისიდან დაისამდე“. 02.00 კლასიკა.

იბერია

09.00, 19.00, 22.00, 00.10 ახალი ამბები 09.10, 20.50 „ბურთი და მოედანი“ 09.25, 19.20 „ქალაქი“ 09.55 „ძველი პანგები“ 10.00, 21.10 „ყველა ჩემი შვილი“ 10.45, 02.10 „ოვაცია“ 10.55, 19.45 „სტუდია დიალოგი“ 11.35 „გვარიშვილობა“ 11.45 „სახეები“ 11.50 „ძმა - მზე, და - მთვარე“ 14.00, 15.55, 17.30 მუსიკალური ტალღა 14.05, 18.25 დოკ. ფ. 14.35 „მარადიული ძახილი“ 16.00 „მისისიპის შავი ანგელოზი“ 20.30 „ფარული კამერა“ 21.05, 00.20 „ნოსტალგია“ 22.30 „ქორწინება იტალიურად“ 00.25 „სამოთხის გზა“.

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 00.00 „დღე“ 15.15 „ასტეროიდი“ 17.15 მულტფილმი 17.50 „სპორტი, სპორტი, სპორტი“ 19.00 სტუდია „სპექტრი“ 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 „ვარსკვლავები“. 22.00 „ლეონი“. 00.15 მუსიკალური კალეიდოსკოპი.

ევრიკა 14.15 "ზანკონგ-პილტონი". 18.00 "სტუდია-25". 21.00 დოკ. ფ. 22.25 "ზანკონგ-პილტონი".

08.00 „ტონიკი“ 10.30 „წერილი ბოთლში“ 12.45 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.00 „შეხედეთ, ვინ ლაპარაკობს?“-2 20.20 „სიკვდილის ნიღაბი“ 21.55 „უცხო ქალი“. 23.55 „აკრძალული სიყვარული“ 01.30 ნონ-სტოპი.

09.00 დილის საინფორმაციო პროგრამა 09.10, 09.45, 10.05, 20.25, 23.10, 23.50 მუსიკა 09.20 მულტფილმი 9.50 გადაცემა „1951 წელი ზურაბ კიკნაძის კომენტარებით“ 10.10 „ერეკლე მეორე - ტელეპროცესი“ 11.10 „ბოროტი და ლამაზი“ 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.10 მულტფილმი 18.35 „დისქავერი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა 20.55 „რობინ ჰუდი - ქურდების პრინცი“ 23.20 დოკ. ფ. 23.45 „ვისია, ვისია“ 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.10 „უკანასკნელი იმპერატორი“.

08.00, 18.45 მუსიკა 08.30, 19.15 მულტფილმები 09.00, 17.10, 20.00 მხ. ფ. 10.30, 22.00 პოლიტკლუბი 17.00 საერთაშორისო ქრონიკა 19.45, 23.00 ექსპრეს-ქრონიკა 21.30 დოკ. ფ. 23.20 სამი მხ. ფ.

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 01.00 „ექო“ 10.15, 16.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქრონ. მხ. ფ. 12.30, 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე 13.15, 15.15, 21.00, 23.30, 01.15 მხ. ფ. 14.45 დოკ. ფ.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15, 18.00 "НЕЖНЫЙ ЯД". 11.15 Джентльмен-шоу. 11.40 "Жду тебя". 12.20 "ПЕЩЕРА ЗОЛОТОЙ РОЗЫ". 12.50 Домашняя библиотека. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 "БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.45 "Классная компания". 17.00 Зов джунглей. 17.25 "... До 16 и старше". 19.25 Маски-шоу. 19.55 Человек и закон. 20.40 "ЦЫГАН". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 23.00 Трансляция концерта, посвященного дню милиции. По окончании - Новости.

გზა

ჩვენს ყოფნა-არყოფნას ბედისწერას ნუ დავაბრალებთ

საქართველოს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯუმბერ წიწილაძე, პოლიციის პოლკოვნიკი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს 1979 წლიდან — გაიარა გზა რიგითი ინსპექტორიდან. ჰყავს მეუღლე, ქალ-ვაჟი და სამი შვილიშვილი.

— ბატონო ჯუმბერ, წინასწარ შევთანხმდით, რომ დღევანდელი ჩვენი საუბრის ძირითადი თემა იქნება ქვეყნის გზებსა და მაგისტრალებზე არსებული მდგომარეობა. როგორი ვითარებაა ქვეყანაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მხრივ გასული წლის 9 თვესთან შედარებით?

— უნდა გამოგიტყდეთ, პირადად ჩემზე გამაღიზიანებლად მოქმედებს ციფრობრივი შედარებები, როცა იგი ადამიანთა მსხვერპლს შეეხება. კი ბატონო, ყველაფერი შედარებითია, მაგრამ, ვინც შარშან ავტოავარიისას გარდაიცვალა, მათი ჭირისუფლებისთვის რა შეღავათია წლეულს გარდაცვლილთა რაოდენობის მეტ-ნაკლებობა?

— გეთანხმებით, მაგრამ თქვენი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ხომ ავტოავარიათა, გარდაცვლილთა თუ დაშავებულთა რაოდენობის შეფარდებაც არის?

— მართებულად არ მიმაჩნია, თავი მოვიწონოთ იმით, რომ შარშანდელთან შედარებით წლეულს ორით ნაკლები მსხვერპლია. შარშან 10 თვეში აღირიცხა 1365 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა 363 და დაშავდა 1685 ადამიანი. წლეულს, შესაბამის პერიოდში, 1424 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, დაიღუპა 425, დაშავდა 1770 ადამიანი. სხვაობა დაღუპულთა და დაშავებულთა შორის საკმაოდ სოლიდურია. ასე რომ, ჩვენი საქმიანობა შედარებებზე კი არ უნდა ავაგოთ, არამედ მოძრაობის მონაწილეებთან ურთიერთობასა და კანონის განუხრელად დაცვაზე. თორემ შეიძლება მთელი თვის განმავლობაში არავითარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა არ მოხდეს და აგერ უცებ, ორიოდ შემთხვევამ ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს და მთელი ნამუშევარი წყალში ჩაიყაროს. თუნდაც ისეთი, 29 და 31 ოქტომბერს რომ მოხდა ხაშურის რაიონის სოფელ გომთან და აგარებთან.

— მაშ, სხვა რა კრიტერიუმია საგზაო პოლიციის საქმიანობის შესაფასებლად?

— საგზაო პოლიციის მუშაობა ავტოავარიებში დაღუპულთა რაოდენობით არ უნდა შეფასდეს. ხომ შეიძლება, ერთ თვეში მოხდეს 20 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და დაიღუპოს 5 ადამიანი, რადგან ავტომანქანებში მხოლოდ მძღოლები ისხდნენ. ასევე ერთ თვეში მომხდარ 4 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას კი შეიძლება 10 ადამიანი შეეწიროს იმ უბრალო მიზეზით, რომ ავარიაში მოყოლილი ყველა ავტომანქანა სავსე იყო მგზავრებით. მოდი და ასეთ შემთხვევაში შეაფასე საგზაო პოლიციის მუშაობა. თუ ავარიების რაოდენობით ვიმსჯელებთ, პირველ შემთხვევაში ყველა ინსპექტორი, რომლებიც შესაბამის ობიექტს ემსახურებოდნენ, მკაცრად დასასჯელია, მეორე შემთხვევაში კი — დასაჯილდოებელი (4 ავარია ერთ თვეში, მართლაც, არაფერია), მაგრამ რა ვუყოთ მსხვერპლთა რაოდენობას?

— მაინც, რა პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს საგზაო პოლიცია ავტოავარიების შესამცირებლად?

— ავარიათა გამომწვევ მიზეზებს თუ გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ სიჩქარის გადაჭარბება, არასწორი გასწრება, ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა, მოძრაობის წესების იგნორირება ხდება ტრაგედიის წყარო. საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში ფუნქციონირებს მთელი რიგი სამსახურები, რომლებიც მომხდარ ავარიათა ანალიზს აკეთებენ და გამომწვევი მიზეზის გამოკვლევის შემდეგ შესაბამისი სამსახურები პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ. რათა მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს.

— ამის მიუხედავად, მაინც ხომ ხდება ერთი და იგივე მიზეზით ავტოავარიები?

— გეთანხმებით. შედეგებიც სამწუხარო გვაქვს. წლეულს 10 თვეში სიჩქარის გადაჭარბებამ 384 ავარია გამოიწვია, ანუ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 60 ერთეულით მეტი, რის შედეგად 106 ადამიანი დაიღუპა. უნებურად იბადება კითხვა, რა აზრი აქვს ამდენ ანალიზს და პრაქტიკულ ღონისძიებებს, თუ მსხვერპლს ვერ ავიცილებთ? მეგახსენებთ ერთ მაგალითს: წლეულს, 16 ივლისს დიდუბის ავტოსადგურიდან თბილისი-ქუთაისი-ტყიბულის სამარშრუტო მიკროავტობუსს ავედევნეთ ფარული კამერით. სიჩქარისმზომი 130-140 კილომეტრს უჩვენებდა. მიკროავტობუსს, ვიდრე გორის საგზაო პოლიციის საგუშაგოს არ მიუახლოვდით, ვერ დავეწიეთ. მთელ მანძილზე მიკროავტობუსს სიჩქარე არ შეუნელებია. 14 მგზავრი (მათ შორის 3 მცირეწლოვანი ბავშვი) ასეთი მძღოლის ხელში იყო კი დაზღვეული, რომ მის მშვიდობით მიეიდოდა? არადა, მგზავრები საგზაო პოლიციის შენიშვნაზე მძღოლს გამოექომაგნენ. ერთ-ერთმა თავი თბილისის მერიის თანამშრომლად რომ გაგვაცნო, შემოგვეტია, „რა თქვენი საქმეა, როგორი სიჩქარით იმოძრავებსო“.

სწორედ ამგვარი გამოქომაგების შედეგია ის ორი ავარია, გომთან და აგარებთან რომ მოხდა. ხაშურიდან თბილისისკენ მომავალი მიკროავტობუსი, რომელსაც ქალაქ ვანში მცხოვრები დავით ლეჟავა მართავდა, იმდენად სწრაფად მოძრაობდა, რომ გზის მარჯვენა მხარეს გადასვლისას მძღოლმა ვეღარ დაიმორჩილა საჭე, შეეჯახა სკს და შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათგან 6 — თოთხმეტ-თხუთმეტი წლისანი იყვნენ.

ავარიის ადგილის დათვალიერებამ ცხადყო, რომ შეიძლებოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება, რომ ზოგიერთ ხელმძღვანელს მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინა. ვინ იყო დავით ლეჟავა? წლეულს ხუთ თვეში მას 9-ჯერ ჩამოერთვა მართვის მოწმობა სხვადასხვა დარღვევისთვის. დავით ლეჟავას საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროდან არ ჰქონდა მიღებული სერტიფიკატი და არც სატრანსპორტო საგზაო ბარათის ბლანკი, რომელიც მძღოლს უფლებას აძლევს გადაიყვანოს მგზავრები. ყოველივეზე კონტროლის განხორციელება საავტომობილო ტრანსპორტის რეგულირებადი ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახურს ევალება. და კიდევ, იმავე მიკროავტობუსში მოზარდებთან ერთად იჯდა მასწავლებელი, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. თუ თავიდანვე მიკროავტობუსს არ გადატვირთავდით, ან სიჩქარის დაკლებას დროზე მოეთხოვდით, ავარია არ მოხდებოდა.

სამწუხაროდ, სამარშრუტო მიკროავტობუსებს ძალიან ბევრი მფარველი ჰყავს, ამიტომ საგზაო პოლიცია უძლურია მკაცრი ზომები განახორციელოს მძღოლების მიმართ. დღემდე ვერ აღვკვეთეთ მიკროავტობუსებში ვერც ზედმეტი სკამების დამონტაჟება და ვერც ზედმეტი მგზავრების გადაყვანა.

საგზაო პოლიციამ და საზოგადოებამ ერთობლივად უნდა იზრუნონ მძღოლთა თვითშეგნების ამაღლებისათვის, მათი სიხარბის დაოკებისათვის.

— ბატონო ჯუმბერ, მძღოლის თვითშეგნების ამაღლებამ გამახსენა: საშოფრო კურსები სამოციან წლებში დავამთავრე. დღესაც მახსოვს მასწავლებლის დარიგება: საჭის მართვისას მძღოლს ეკრძალება სიგარეტის მოწევა, უნდა იყოს პირგაპარსული, რომ ქავილი არ აუტყდეს, რაც ხელს შეუშლის ავტომანქანის მართვისას. თავს თუ ცუდად გრძნობს, არ უნდა მიუჯდეს საჭეს და სხვა. დღევანდელი კურსების გავლისას არის ამგვარ თემებზე საუბარი?

— სამწუხაროდ, ჩვენი ავტოსკოლები მხოლოდ სახელწოდებით შეეფერებიან დღევანდელობას, თორემ სწავლების მეთოდიკა ოცდაათიანი წლების დონეზეა და, თქვენ წარმოიდგინეთ, პრაქტიკული მეცადინეობაც კი 30-40 წლით ჩამორჩება სადღეისო მოთხოვნებს. ავტოსკოლებში არსად ჰყავთ უცხოური, კომპიუტერულ სისტემაზე აწყობილი ავტომანქანა სამეცადინოდ. არადა, ყოველი მესამე სწორედ ასეთ მანქანას დააქროლებს. სავალალო შედეგიც სახეზეა: წლეულს, 10 თვეში უცხოური მარკის ავტომანქანით 326 ავარია მოხდა, დაიღუპა 123 და დაშავდა 486 ადამიანი.

როგორ გგონიათ, ვინც თვითმფრინავს — ამ ურთულეს მანქანას მართავს, მას ასევე კარგად შეუძლია ავტომანქანის საჭის დამორჩილება, თანაც ნებისმიერი მარკისა? ცხადია, არა. ამდენად, აუცილებლად უნდა გარდაიქმნას საშოფრო სწავლების მეთოდიკა.

რა თქმა უნდა, საამისოდ უნდა შეიქმნას მძლავრი ბაზა. რა დასამალია, და, დღევანდელ ავტოსკოლებში პრაქტიკული მეცადინეობები ზერელედ მიმდინარეობს მწირი ფინანსებიდან გამომდინარე. უპრაქტიკოდ კი გამორიცხულია, ინტენსიური მოძრაობისას სიტუაციაში სწორად გარკვევა.

— მოქალაქეთა უკმაყოფილებასა და საჩივრებზე რას იტყვით, ავტომანქანების ტექნიკურ დათვალიერებასთან დაკავშირებით?

— საგზაო პოლიციასთან არავითარი შეხებაც რომ არ მქონდეს, მოქალაქეთა უკმაყოფილებას მაინც გავიზიარებდი. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ საკმაოდ ძვირია ნებისმიერი ავტომანქანის წლიური ტექნიკური დათვალიერება, თუმცა, ათასჯერ ნათქვამი კვლავ უნდა გავიმეორო: საგზაო პოლიცია და თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო აქ არაფერ შუაშია. განაწყენებულ მოქალაქეთა რისხვა საგზაო პოლიციაზე გადადის მაშინ, როცა იგივე ეკოლოგიის, საგზაო ფონდის, სამოქალაქო პოლისის გადასახადი ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, თითოეულს თავისი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები განაგებენ. ესაა მხოლოდ, გადასახდელების ამკრეფებად პოლიციას იყენებენ.

— მძღოლები რომ საგზაო პოლიციელებს უჩივიან?

— საჩივრებს ჩვენც ხშირად ვღებულობთ, მაგრამ მათი უმრავლესობა ზოგადია და არაკონკრეტული. ასეთ შემთხვევაში გვიჭირს ადრესატის დადგენა. ზოგიერთ მძღოლს კი ჰყოფნის გამბედაობა და ზუსტად ასახელებს საგზაო პოლიციელის გვარსაც და შემთხვევის ადგილსაც. მტყუან-მართალის გარკვევის შემდეგ ბევრი პოლიციელი დაგვისჯია კიდეც. თუმცა, თუ საზოგადოების აზრს დავეყრდნობით, ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა ურთიერთობა საგზაო მოძრაობის მონაწილეებსა და საგზაო პოლიციას შორის.

— ესე იგი, გამოსავალს მაინც ვერ ხედავთ?

— გამოსავალი ყველგან და ყველაფერშია. ხომ ჩატარდა სასამართლო რეფორმა, ხომ გაეზარდათ მოსამართლეებს ხელფასი? მე, როგორც იურისტს, მჯერა, ასი მოსამართლიდან ერთიც არ უღალატებს შეგნებულად ჯერ თემიდის ფიცს და მერე კანონს, რადგან მოერიდება საკმაოდ დიდი შემოსავლის დაკარგვისა. თაკარა სიცხესა თუ კოკისპირულ წვიმაში გზაზე მდგომ საგზაო პოლიციელს კი დასაკარგი დიდი არაფერი აქვს.

— მაინც, როგორ გესახებათ სამომავლოდ თქვენი და საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ურთიერთობა?

— ჩვენი სამმართველო, მისი ხელმძღვანელობა, და ძირეული რგოლები ყველაფერს ილონებენ, რომ საგზაო მოძრაობის ზედამხედველობას აკონტროლებდეს ყოველმხრივ მოწესრიგებული პოლიციელი. რაც შეეხება მოძრაობის მონაწილეებს, მათ უმრავლესობასთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. ცუდზე თუ მიდგა საქმე, ასეთები ჩვენს რიგებშიც არიან, თუმცა, მადლობა ღმერთს, გაცილებით მეტია წესიერი ადამიანი.

ერთიც მინდა დავძინო: ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ყოფნა-არყოფნა ჩვენს ხელთაა და ტყუილად ნუ ვაბრალებთ ბედისწერას.

ესაუბრა
რუბენ ფერაძე.

ღიმილის დოზა



კლიენტი ოფიციანტს:
— რა უნდა ამ ბუზს ჩემს სუფში?
ოფიციანტი აკვირდება ბუზს:
— მგონი, მოიწამლა, სერ.

* * *

პირველკურსელი ქალიშვილი არდადეგებზე სოფელში ჩამოდის.
— დედა, მე უკვე ბიჭი მყავს.
— სად სწავლობს?
— რა დროს სწავლაა, ერთი თვისაა.

* * *

მეგობარი გოგონები საუბრობენ:
— როგორა გყავს საქმრო?
— გუშინ კვლავ წავიჩხუბეთ არაფრის გამო. ვეუბნები, რომ ქორწილში წითელი კაბა უნდა ჩავიცვა, ის კი ცოლის მოყვანის წინააღმდეგია.

* * *

ახალი რუსი ოქროს „როლს-როისს“ ყიდულობს, იხდის ფულს და გამყიდველს ეუბნება:
— ხურდა „ფოლცვაგენებით“ გამომიგზავნე.

კრიმინალი

თავს დაესხნენ და მოკლეს ბორჯომის №1 და №2 ჩამომსხმელი ქარხნების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

8 ნოემბერს, ღამით, დაახლოებით 22 საათსა და 15 წუთზე თბილისში, ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონის მეშვიდე კორპუსში ტრაგედია დატრიალდა. პირველ სართულზე არეშიძეების ბინაში მოტყუებით შეიჭრა ოთხი თავდამსხმელი. როგორც ირკვევა, ოჯახის წევრებმა მამა-შვილმა ამირან და მიხეილ არეშიძეებმა მომხდურებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმხრივი სროლის დროს მამა-შვილი დაიღუპა. მოკლულია ორი თავდამსხმელიც. ერთ-ერთის გვამი კორპუსთან 50 მეტრში იპოვეს. მეორისა კი, ახლომდებარე ხევში. მათი ვინაობა დადგენილია. ისინი იმავე უბნის მცხოვრებნი არიან. მიმდინარეობს ღონისძიებები სხვა პირთა დადგენა-დაკავებისთვის.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია სხვადასხვა ტიპის იარაღი და მასრები. კერძოდ, ავტომატი აკს, კარაბინი, მაკაროვის და პესემის პისტოლეტები.

როგორც თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსმა უშანგი მგელაძემ განაცხადა, საქმე გვაქვს კლასიკური ტიპის ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან: დანაშაულის ჩადენის მოტივია სხვისი ქონებისა და ფულადი სახსრების დაუფლება.

გარდაცვლილი ამირან არეშიძე ბორჯომის №1 და №2 ჩამომსხმელი ქარხნების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო, 43 წლის, ხოლო მისი შვილი მიხეილი — 21 წლის. ამ ეტაპზე ჩატარებული მოკვლევა გამორიცხავს ფინანსურ-კლანური საქმის გარჩევის ფაქტს.

მიმდინარეობს გვამების დათვალიერება. დანიშნულია ექსპერტიზები, რომლებიც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მისცემს გამოძიებას.

ია ფუტკარაძე.

ა. წ. 19 ნოემბერს გაიმართება სს „თეთრონის“ საერთო კრება სააქციონერო საზოგადოების რესტრუქტურიზაციის შესახებ — ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, სს „თეთრონისა“ და სს „ცავარის“ კაპიტალის გაერთიანება და იურიდიულ სუბიექტებად დაყოფა.

მეთვალყურეთა საბჭო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა-98“-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში — წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი - შპს „საქპრესის“ საგაზეთო ჯიხურებში.



შვილები ქეთინო, თამრიკო ფაილოძეები, შვილიშვილები გიორგი, ნიკა ალასანიები, სალომე, ქეთა ქველიძეები, და ლეილა კიკვაძე, დისწულები, ძმისწულები, მაზლიშვილები, სიძეები თემურ ალასანია, ოთარ ქველიძე, გურამ გაგუა, მძახლები გივი, მზია ალასანიები, ლამარა ქველიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუიზა მიხეილის ასული კიკვაძე

პანაშვიდი 11, 12 XI, 4 სთ., გამოსვენება 13 XI, 2 სთ., ფალიაშვილის 11 ა.



საქართველოს რკინიგზის საგზაო სამშენებლო ტრესტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საგზაო სამშენებლო ტრესტის მმართველს ნოდარ კვანტალიანს გარდაეცვალა დედა

ცაცა ივანეს ასული სირაძე-კვანტალიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თინათინ გვენეტაძე, კაკო მგელაძე, ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი ადამიანისა და ძვირფასი მეზობლის

ცაცა ივანეს ასული სირაძე-კვანტალიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქმონტაჟსპეცმშენის კოლექტივი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს გივი გამყრელიძეს მძახლის

ზირან ხორხაძის

გარდაცვალების გამო.

ნაიელა, გივი გამყრელიძეები, ჯუბა ყურაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ზირან ხორხაძის

გარდაცვალებას.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი — შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჟოგულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.